“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№9 (312)
სექტემბერი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეექვსე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულის 400 წლისთავისათვის!

თამარ ფარჩუკიძე

მოვედ, დედოფალო!

შირაზს, ენკენისთვეს, ჯვართამაღლების წინ,
ცად ამაღლდებოდი ვიდრე,
ხალხში მილეთისა, მცირე ამალაში,
ვიდექ, დედოფალო, ვიდექ.
შენ გადამირჩინე მანდილის სიწმინდე,
რწმენა - წამებულის მშვენი,
ჩემი ქართველობა, დედავ ქართველთაო,
შენით, დიდმოწამევ, შენით.
მას აქეთ, ხან ომის ქარცეცხლში ვტრიალებთ,
ხანაც, ვაყურადებთ ებნებს,
წმინდა ნატერფალი, სამუხრანოს გზებზე,
ვძებნე, სანატრელო, ვძებნე.
კატრინ-გვატემალად, ინდოეთს, ესპანეთს
და რომაელებში გპოვე.
ახლა უფრო მეტად გიხმობ, ვარდფეროვანს,
მოვედ, ტყვედპყრობილო, მოვედ!
შენი საქართველო ისევ მწუხარეა
და ახალ იარებს ითვლის,
ისევ ავიშალნეთ, ისევ „ძმამ ძმას ბისტი“,

ქეთევან დედოფალი. აზულეჟუზე, გრასის კონვენტი. ლისაბონი

ისევ „ღვარძლად იქცა იფქლი“.
მცირედმორწმუნენი, ვითარ ბნელსა შინა,
ღერწამნი ქართაგან ვკრთებით,
ფეხზე დაგვაყენე, მამებრ ახოვანო,
ფრთებით, დაკუწულო, ფრთებით!
მრავალმკურნალო და ნაყოფბრწყინვალეო,
წაღმა მოგვიქციე მხარი,
კაცი - ვაჟკაცად და ქალი - დედაკაცად,
ძველი დაგვიყენე დარი!
ისე გაგვაფხიზლე, დედა-დედოფალო,
წინ რომ წარუძეხი ლაშქარს,
კვალად შეავედრე შენი საესავი,
ალავერდს, გრემსა და ლაშარს!
მეც, შენი ურგები მხევალი მპოვე და,
როს განვეშორები მიწას,
შენზე მსასოები, შენი მაძებარი,
მზეო, საცნაურო, მიცან!
ძველი სოფლის გზებზე წლებს გადაუვლია,
საუკუნეების სწორებს,
შენი საკადრისი სიტყვა მოვინდომე,
ვწონე და ვერარა ვწონე.
მუხრანის ცის ტატნობს - თვალნი ურისხველნი,
მზეს სხივოსნობა აქვს შენი,
ივერთა მნათობო, შენი ბრწყინვალება
შვენის, ცას და მიწას შვენის!

თამარ გაბოძე

რწმენის ელჩები

შირაზის მზით
დაფერფლილმა ქეთევანმა,
ზღვა წყალობით მოახედა ჩვენკენ ქრისტე!
ალავერდს რომ სული მხევლის მზედ ევანა,
იდგა ქართლშიც, ოცდაექვსი ენკენისთვე...
დრომ ოთხასი წელიწადი მიითვალა,
დრომ დიდება, რომ იშვიათს, მოჰფინოს! –
სხეულით ვინც შორს, შირაზში მიიცვალა,
სულით – რწმენის ელჩად გასწვდა მსოფლიოს!

ერთის ნაცვლად მისცა რწმენამ ოცი გული?!
საკურნებლად სხვათა სულის გადარჩა...
ის – სიმტკიცის მქადაგებელ - მოციქული,
ქეთევანი – უკვდავების ზარდახშა!...
...სიკვდილით სჯის
შაჰ-აბასი მოძღვარ მოსეს...
,,წელი იყო საუკუნის ოცი“ როცა...[1]
დედოფალთან ქრისტე რომ ქართლს შეიმოსეს.
შეუჩვენა შაჰმა მოძღვარს, რაც ილოცა...
მაშრიყ-მაღრიბს დრომ მოჰფინა ეს ამბები,
დროს – მკაცრ მსაჯულს – არაფერი ეშლება!
ოთხასი წლის მანძილიდან ვესალმებით –
ორ დიდ ქართველს – ქცეულთ რწმენის ელჩებად!

[1] 1620 წელს შაჰ-აბასმა სიკვდილით დასაჯა ქეთევანის მოძღვარი მოსე

თამარ შაიშმელაშვილი

ქეთევან დედოფალს

შირაზის მრუმე ქუჩებში
ასკილის ცეცხლით თენდება...
ცა ღელავს, სულისურჩობით
ხელაპყრობილა ქეთევან!
ასკილის ცრემლის ფერია:
გული, თითები, სანთელი...
დედოფლის განაჩენია
ალმოდებული შანთები.
დედოფლის ცრემლის ფერია
წვიმები მზერალურჯები,
სიცოცხლე არაფერია,
თუ სამშობლოს არ უძღვენი...
ქარი ქრის, ღრუბლის ნაფლეთებს
აუფრიალებს შაჰ-აბასს...
ეს სისასტიკე მაფეთებს,
სული სამყაროს განაბავს...
სული სინათლის ნისლია,
ვნებული სისხლის ცრემლებით,
თუ ქრისტეს სასძლოდ მისვლია,
მზის გულზე ამომერცხლებით...
მზე ლალისფერი სხივებით
მიუსალბუნებს დედოფალს
და ცისკრის ჩამოსხივებით
შეევედრება სვეუფალს...
შირაზის მრუმე ქუჩებში
ასკილის ცეცხლით თენდება...
სიმტკიცე თმენაუჩვევით
ლოცვად დამდგარა ქეთევან!

მზია ხეთაგური

წამებული ქეთევანი

გულს დაიმყნო ვაზის ჯიში,
უმშვენებდა მკერდს მტევანი,
არ კრთებოდა მტრის წინ შიშით
წამებული ქეთევანი!

ჩაივლიან წლები გვერდით
ისე, თითქოს ქუჩებს გვიან...
ვისაც მისებრ ეწვის მკერდი,
ყველას, ქეთევანი ჰქვია!

მათ უმანკო სისხლი ფეხქვეშ
დაიფინეს ცისარტყელად –
ცხრა აპრილს რომ ბარით ჩეხეს,
ქეთევანი ერქვა ყველას!

და მიჰყვება დღესაც მტკიცედ
ბასრ აღმართებს, მარად ქვიანს...
ვინც წრფელ გულში ქრისტეს იტევს,
ყველას ქეთევანი ჰქვია!

ქეთევანი იყო .... შემკული სოცხარი სიტყვამაზითა და სიკეთით. ცანდაზსტი, შაგთვალეზა, „ჭირიმეშვენიერი და დარბაისელი, ვრამეხოტოდ ერთი სამეფოს, ვრამედ მთელი იმერეთის მბრძანებლობის ციხი იყო, მცოდნე სალვთო წერილისა და სათნოებაა მომგები, ქალწული, მორცხვი, ბრძენი, კეთილგონიერი, ქალი ნარნარი და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი.“

რ. გუდბეკიანი,
„ნამდვილი ცნობები საქართველოს ღედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ“

ანზორ სიფრაშვილი

მე, რუსთაველი...

ნაწყვეტი ისტორიულ რომანიდან

(გაგრძ. დასაწყ; წინა ნომერში)

***

ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ ტფილისისკენ მომავალი ქარავანი გზას დაადგა. ვაჭარნი სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ, თუმცა გზა ერთი ჰქონდათ. ტფილისი, საითკენაც მოემართებოდნენ, უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, მათს ცნობისმოყვარეობას ისე აღვივებდა, როგორც ნიავი ნაკვერჩხლებს. ბევრს სმენოდა, რომ ამ ქალაქში ოქრო იმდენია, რამდენიც მდინარეზე ქვაა, რომ ვინც საქონელი ჩაიტანა, ერთიათად მოგებული გაბრუნდა, რომ ფოლორცებზე და ბაზრებზე ქვეყნიერების ყველა ენაზე ისმის ლაპარაკი და რომ ქუჩებში ღარიბსა და ღატაკს ვერავინ შეხვდებაო. ვაჭართაგან უმრავლესნი სპარსნი იყვნენ, რომელთაც გვერდი-გვერდ მოჰყავდათ სხვადასხვა მძიმედ დასაპალნებული პირუტყვი: დრომადერებს ცხენები მოჰყვებოდნენ, მათს უკან კი ჯორები და ვირები მოდიოდნენ. ნაკრაულებში მრავლად ეწყო ბაალბეკიდან და მოსულიდან მოტანილი ქსოვილები, მადინური ატლასი, ნატი, ბასრის ხმლები, მისრეთული ხალათები, საბეური ნელსაცხებლები და ძვირფასეულობა, მრავალნაირი ჯავაირი(ძვირფასეულობა): ბალახში, სპილოს ძვალი.ვაჭრებიც რწევა-რწევითა და თავის ქნევით მოდიოდნენ აქლემებზე მსხდარნი, ხმიანად საუბრობდნენ და დიდი ხეირისა და მოგების მოლოდინში მომავალ ვაჭრობას კიდევ უფრო სარფიანად სახავდნენ. ჭეშმარიტად, ვაჭრობა ხომ მუსულმანთათვის მაღალი ალაჰის მიერაა კურთხეული! ვაჭართა გვერდით კიდევ ერთი მგზავრი მოდიოდა, მაგრამ ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ მას ფული და მოგება სრულიად არ აინტერესებდა, უფრო მეცნიერებისკენ და წიგნებისკენ იყო მიდრეკილი. ახლაც, აქლემის კუზებს შორის მჯდომარეს, ხელთ გადაშლილი ხელნაწერი ეკავა და მხოლოდ დროდადრო მოსწყვეტდა თვალს, რათა პირუტყვისთვის რომელიც ისედაც ჩქარა მოდიოდა, ჯოხით ფეხის ასწრაფება ენიშნებინა. – რა არი, ალ-არაბ, სულ წიგნებს რომ ჩაჰკირკიტებ – გადმოსძახა მის გვერდით მომავალმა ხუჭუჭაწვერიანმა ვაჭარმა და ჯოხით ხელნაწერზე ანიშნა, – განა რა სწერია ისეთი, რომ თვალი ვერ მოგიწყვეტია? – მართალს გეუბნება აბდ ალ-ლაჰი, – ჩაერია მეორე სოვდაგარი, რომელიც ნულლით პირს იტკბარუნებდა, – წიგნი კარგია, მაგრამ აქ კარგი ბევრი სხვა რამეცაა: მწვანე მთები, ანკარა წყაროები, გრილი ნიავი, ხილი. – რასაც სპარსეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვერ წააწყდები, არა, ჰამრ-ად-დინ? – გამოელაპარაკა ის ვაჭარი, რომელსაც აბდ ალ-ლაჰი უწოდეს, – ახლა გოგოები. პირდაპირ მარწყვივით დნებიან! შენ ი მაგ წიგნებს ჩაჰკირკიტებ და თვალს არ აცილებ. – მაინც რას კითხულობ მაგდენს, ალ-არაბ, რომ დღეცისმარე თვალი ვერ მოგიწყვეტია? იქნებ გვითხრა ალაჰის მონებს, ჩვენც გაგვეგება რამე ასე არაა, მურადინ? – და აბდ ალ -ლაჰმა თავზე თეთრი ჩალმა სიამოვნებით შეისწორა. – ალ-არაბი იძულებული გახდა თანამგზავრებისთვის პასუხი გაეცა: – ეს, ძმებო, სიბრძნის წიგნი გახლავთ. ქვეყანაზე უამრავი ასეთი წიგნი დაწერილა, მე ბევრი წამიკითხავს, მაგრამ მინდა კიდევ უფრო მეტი ვიცოდე ის, რაც ამ წიგნებში სწერია. – რამდენადაც ვხვდები, შენ ერთ-ერთი კალმოსანი უნდა იყო, მაგრამ მთელი ქვეყნიერების სიბრძნე ერთი მარტო ალაჰმა უწყის, – თვალები ცისკენ აღმართა ჰამრ-ად-დინმა, – მისი შექმნილისთვის შეუძლებელია ყველაფრის ცოდნა, მხოლოდ ალაჰია იდუმალებათა მცოდნე, ჯალლა ჯალ-ალუჰუ . – სამი'ა-ლ ლაჰუ ლიმან ჰამიდაჰუ, – არაბულადვე მიუგო ალ-არაბმა, – ყოველივე რასაც ბრძანებს ალაჰი – ამ წიგნში სწერია, ხოლო ალაჰი ბრძანებს სამართალს, კეთილ საქმეს, ნათესავთა წყალობას, კრძალავს მრუშობას, გასაკიცხ საქმესა და უსამართლობას, თუ გსურთ, შემიძლია მოკლედ მოგითხროთ რაც ამ წიგნში ჩემი ყურადღების სავანედ იქცა. – გვითხარი, ალ-არაბ, და ნუ აღგვიკვეთ იმ სიამეს... – სთხოვა ჰამრ ად-დინმა და მცირე ხნის წინ ღულამის(იგივეა რაც ყმა, მცველიმეომარი არაბულად. იგი საჭურისი არ არის) მიერ წყაროზე ახლად ავსებული კუმკუმა მოიყუდა, ერთ ხანს ხარბად სვამდა, ისე რომ წყლის წვეთები წვერზე ეღვრებოდა, და როცა წყურვილი მოიკლა და პირიც აბრეშუმის ხელსახოცით მოიწმინდა, სიამით ჩაილაპარაკა: პირდაპირ ქავსარის წყალიაო და სათქმელი მხოლოდ ამის შემდეგ დაამავრა: – ...რომლის ნებაც ალაჰმა დაგვრთო ბარემ ისიც მოგვახსენე, მთვარის გაპობაზე ხომ არ არის ეგ წიგნი(მთვარის გაპობა ყურანის მიხედვით სამყაროს დასასრულის მაუწყებელია, სურა 54, აია 1) და თავზე მინა ხომ არ უნდა გადავიყაროთ? – მაშ ისმინეთ თუ რას მოგვითხრობს ეს წიგნი, რომელიც მე მუდამ მუხლებზე მაქვს გადაშლილი, მის სიბრძნეს ვეწაფები და შალის ფარჯიში გამოწყობილი დავდივარ, მიუგო ალ არაბმა და აქლემზე შესწორდა, ისე როგორც მბრძანებლები შესწორდებოდნენ ხოლმე ტახტზე ვინმე საპატიო სტუმრის დანახვისას, – სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისა. ეს წიგნი გადმოგვცემს სხვადასხვა ლოცვებს, საგალობლებს, სამკურნალო წესებს, გვიამბობს თუ ებრაელთა მეფე სულეიმანმა როგორ დაიმორჩილა სულები და როგორ მბრძანებლობდა მათზე; როგორ ჰკურნავდნენ აქაველები სნეულთ და როგორ ამარჯვებინებდნენ თავიანთ მეომრებს მტრებზე; აქაა საუბარი ეგვიპტეში არსებულ ვეება ნაგებობებზე, ანუ პირამიდებზე, რომლის სიახლოვეს გარდაცვლილებს მკვდრეთით აღადგენდნენ, და როგორ იცილებდნენ თავიდან მხეცების თავდასხმას; როგორ გვყავდეს მორჩილებაში მოქიშპენი და როგორ ვაიძულოთ ისინი გვემსახურონ; როგორ შევაყვაროთ თავი მათ, ვისაც არ ვუყვარვართ, ანდა არ ვუნახივართ; როგორ დავაძინოთ ადამიანები; გავუძლიეროთ მამაკაცური ძალა; უშვილოებს როგორ მივანიჭოთ შვილოსნობა; როგორ აღმოვაჩინოთ სულეიმან მეფის განძეული სადღაც აფრიკაში და როგორ მივაღწიოთ იქამდე უმცირეს დროში; როგორ მოვაწყოთ სხვადასხვა სახის სასწაულები: გავიაროთ წყალზე, ავფრინდეთ ჰაერში, გამოვიწვიოთ ქარიშხალი, გვალვა და ხანძარი, შევქმნათ ოქრო და მრავალი კიდევ სხვა რამ. გარნა ყოველივე ამის ნება მხოლოდ ალაჰის ხელთაა, რომელიც, როცა კი რაიმეს ინებებს, მისი ბრძანება ის იქნება, რომ იტყვის; „იყავნ!“ და იქნება კიდეც. – ეგ ყოველი გასაგებია, – ჰამრ ად-დინმა აქლემი შეაჩერა, – ჩვენ, ვაჭარნი, დიდ ქალაქ ტფილისს სავაჭროდ მივემართებით. ყოველი ადამიანი სადღაც რაღაც მიზნით მიდის. შენ ვაჭარი არა ხარ. მაშ რისთვის აგიღია თავი და მოერეკები ჩვენთან ერთად მაგ შენს აქლემს? – ო, ჩემო ძვირფასო ადამიანო და ძმაო, უფალი სამყაროთა ყოველ ჟამს წარმართავს ჩვენს გზა-სავალს ისე, ვითარც ინებებს. ის, რაც დაიწერა კალმით, არ შეიცვლება მალვით, – უპასუხა ალ-არაბმა, – თქვენ დღეს პირველად უნდა იხილოთ აღმოსავლეთის დედოფალი – ტფილისი, მე კი აგერ ერთი წლის წინაც გახლდით აქ და ვიხილე ყოველივე, რითაც აგრე აქებენ ამ ქალაქს. ჰოდა, რადგან ერთხელ უკვე ვიყავი ტფილისს, მეორედაც იმიტომ მოვდივარ. ვაჭრებმა გაიცინეს: – ჩვენ რატომ ოცჯერ არ ვყოფილვართ ქაიროს, მაგრამ თავს სულაც მოვალედ არ ვთვლით კვლავ დავბრუნდეთ მის სანახავად. დავბრუნდებით თუ არა, ჩვენი ნებაა. – მომაპყარნით ყურნი და გაიხსენეთ, განა წმინდა წიგნი არ გვასწავლის: „შეასრულეთ პირობა, თორემ მოგეკითხებათ„? მეც, როდესაც ტფილისს გახლდით, გურჯთა მეფეს პირობა მივეცი და ახლა იმ პირობის აღსასრულებლად მივდივარ. – განა რა პირობა იყო ისეთი?—გაკვირდა ჰამრ ად-დინი, – მე კი გირჩევ, ჩემო ძმაო, ერიდო მეფეებს, რადგანაც ხშირად ისინი იმასაც სჯიან, ვინც პირობა ვერ შეასრულა, და იმასაც, ვინც შეასრულა. – ო, მე მაგისი არ მეშინია, ჰამრ ად-დინ, – თავი გაიქნია ალ-არაბმა, – ჯერ ერთი, რომ მე ალაჰის ბრძანებას ვასრულებ და, მეორეც – გიორგი მეფე მკაცრი კი არის, მაგრამ სამართლიანია. – მაინც რა პირობა მიეცი მეფეს, რომ ისე ისწრაფვიდი მის აღსასრულებლად, არც სასჯელის გეშინია და არც საპყრობილესი?– ჩაერია აბდ ალ-ლაჰი. – მაგის გამხელის ნება მეფეს არ მოუცია. აი, ჩავალთ და თუ ყოველივე ისე აღსრულდა, როგორც მე აღუთქვი მეფეს, მერმე მოგითხრობთ ყოველივეს. ნელნელა შორს ქალაქის ციხის კედლები გამოჩნდა, რომელიც მაღალი მთიდან ქვემოთ ეშვებოდა და ზედ მდინარესთან წყდებოდა. რაკი კარგად გათენდა, გზაზეც მრავლად გამოჩნდნენ იქით და აქეთ მომავალნი, რომელნიც, როგორც სპარსი ვაჭარნი ხედავდნენ, სხვადასხვა ხელობისა და სახელოს პატრონნი უნდა ყოფილიყვნენ. წინ შეგხვდებოდათ როგორც მხედრები, ისე ურმებითა და ფეხით მოსიარულენი, ზოგი რომ მდიდრულად იყო გამოწყობილი და ამალაც მოსდევდა, ზოგს ღარიბად ეცვა და ნაკრაულებაკიდებული სახედარი მოჰყავდა. იყვნენ დიაცებიც, როგორც ხნიერები, ისე ახალგაზრდები, ზოგს რომ მატყლი მოჰქონდა გასაყიდად და ზოგს ქათმები და ბატები გადაება ერთმანეთზე; მოჩანდნენ შეჯავშნული მეომრებიც, მღვდლებიცა და მწირებიც, მეთუნეები ურმებზე თიხის ქოთნებითა და დიდ-პატარა დოქებით, ერთს რამდენიმე მოხარატებული აკვანი წამოეკიდა, მეორე – თოკით გადაბმულ ცხენებს მოერეკებოდა, ცოტა მოშორებით დაკონკილ, ხელებდაბორკილ ადამიანთა ჯგუფს აჩქარებდნენ ყვირილითა და გინებით, ჩანდა გასაყიდად გამზადებული მონები იყვნენ; შემოხვდათ ორი სხვა ქარავანიც, რომლებსაც ადრიანად დაეტოვებინათ ქალაქი და ახლა სამხრეთისკენ აეღოთ გეზი... მოკლედ, უამრავი ადამიანი შეხვდათ ვაჭრებს, გარდა სალოსებისა და გლახაკებისა, რაც გაკვირვებულ თანამგზავრებს ალ-არაბმა ამგვარად აუხსნა: – ჯერ კიდევ გურჯთა დიდმა მეფემ დაუდმა დააარსა უამრავი ქსენონი დავრდომილთა და სნეულთა სამკურნალოდ. დღე ისე არ გავიდოდა, რომ გლახაკებისთვის თავად არ მიეკითხებინა და ფული არ დაერიგებინა. დღევანდელმა მეფემაც – გიორგი ჰქვია – ბრძანა, ვინც კი ქალაქში ფეხს დაადგამს, ყულაბაში მათთვის შესაწირი უნდა გაიღოსო. აი ხედავთ? ასეთი ყულაბები ქალაქის ყველა კართან დგას,– და ალ-არაბი ქვის მოზრდილ ყუთთან მივიდა, რომლებიც ვერცხლისა და სპილენძის ფულით იყო სავსე, ოქროც მრავლად მოჩანდა, და რამდენიმე დინარი ფრთხილად ჩაუშვა. დანარჩენმა ორმა ვაჭარმაც მას მიბაძა,– ამას გარდა, აგერ, ხედავთ მაგ შუბზე დაყდნობილ მცველებს? ეგენი მანდატურნი არიან, ყველა მომსვლელს აკვირდებიან და საეჭვოს აქავე ჩხრეკენ. – ჩვენ მშვიდობიანად ჩავუარეთ, გამოდის საეჭვოებად არ მიგვიჩნიეს?– გადაულაპარაკა ჰამრად დინმა აბდ ალ-ლაჰს, რასაც ალ-არაბმაც მოჰკრა ყური: – გულს აგრეც ნუ დაიარხეინებ, ჰამრ-ად დინ. გაფრთხილებ: გიორგი მეფეს ისეთი მსტოვრები ჰყავს, ფრჩხილში ჩაიხედავენ და ავისმდომს აღმოაჩენენ. გირჩევთ, ზედმეტი არ ილაპარაკოთ, თანაც ახლავ გაამზადოთ საუკეთესო ძღვენი მეფისა და დედოფლისათვის. – დედოფლისთვისაც?– ოდნავ გაიკვირვა აბდ-ალ ლაჰმა,– გზაში შევიტყე, მეფე დედოფალს აღარს სწყალობსო. – ეგ ადრე იყო, მეც მსმენია, – დაეთანხმა ალ-არაბი, – მახსოვს ბურდუხან-ხანუმის მონასტერში აღკვეცასაც კი იზრახავდა მეფე. – ეგ რათაო, ვითომ?– იკითხა ჰამრ-ად-დინმა. – იმად, რომ დედოფალს შვილი არ ეძღეოდა და მეფეს უმემკვიდროდ გადაგება არ ნებავდა, – განუმართა ალ-არაბმა, – სწორედ მაშინ იყო, მეფეს რომ ვეახელი და აღვუთქვი, შვილი აუცილებლად მიეცემოდა, თუ ისიც და დედოფალიც ყოველივეს ისე იქმოდნენ, როგორც მე დავარიგებდი. წეღან რომ გითხარით ალაჰის მოციქულის ნათქვამი– მშვიდობა მას, ალაჰიმც აკურთხებს და გაუმარჯვებს – პირობის შესრულების შესახებ. აი სწორედ მაშინ აღვუთქვი მეფეს და დედოფალს, ის რაც გითხარით და ახლა მოვდივარ ტფილის-ქალაქს იმისთვის, რომ გავიგო, რა მოჰყვა ჩემს მაშინდელ მცდელობას – შეეძინა მეფე-დედოფალს შვილი თუ არა. აგერ ქარავან-სარაი,– დაანახა ალ-არაბმა მოზრდილი შენობა, რომლის წინაც უამრავი მგზავრი იყო გაჩერებული, რომელთა შორის დავთრიანი მოხელეები დარბოდნენ და რაღაცეებს გამალებული იწერდნენ,– თქვენ აქ ჩამოხადეთ საპალნეები ჯორ-აქლემს, მე კი მეფეს უნდა ვეახლო, გული არ მითმენს. – ო, ალ-არაბ, მჯერა რომ შენი საქმე მუდამ სწორი გზით მიდის,– აბდ ალ-ლაჰმა გამოთხოვების ნიშნად ხელი შუბლზე მიიდო, – დე, გურჯთა მეფემ გარგუნოს ის, რასაც მთები ღრუბელთაგან იღებენ. ერთს გირჩევ მხოლოდ: ნუ განარისხებ მბრძანებელს, რომელსაც თავის ქვეყანაში ძალაუფლება უსაზღვრო აქვს. ალ-არაბი სასახლეს მიადგა და დიდი და მაღალი ალაყაფის შუბოსან მცველებს მეფესთან ხლების სურვილი აუწყა. ერთმა მცველმა დაწვრილებით გამოჰკითხა თუ ვინ იყო და რატომ ითხოვდა მეფესთან წარდგომას, ხოლო როცა ალ-არაბმა მოკლედ აუხსნა თავისი ვინაობა და დასძინა, მეფემ რომ შეიტყოს მის წინაშე მუხლმოყრას ამ ერთი წლის წინ უკვე მისგან დიდად დასაჩუქრებული დერვიში ითხოვს, დაახლა მართლაც რომ თვალებს არ უჯეროდა, რადგან ამგვარი აღტაცება მას არც ქაიროს, არც კონსტანტინეპოლის, არც შირაზისა და არც სხვა რომელიმე სასახლეში არ უგრძნია. მარმარილოს კიბეებზე, რომელიც ვრცელი შესასვლელის ბოლოში იწყებოდა და ათიოდე საფეხურის შემდეგ ორად იყოფოდა – ერთი ნაწილი მარჯვნივ ადიოდა ხვეულად, მეორე მარცხნივ, – მრავლად მოჩანდა ბიზანტიიდან თუ სპარსეთიდან ჩამოტანილი თეთრი, შავი თუ ოქროსფერი ქანდაკებები, რომლებიც სხვადასხვანაირად იყვნენ განლაგებულნი და ასევე სხვადასხვა ვითარებას გამოსახავდნენ. აქ იყო უნაზესი ქალწულების, მამაცი ვაჟების, მტრედების, ფარშევანგების, ლომების, ვეფხვების, აყვავებული თუ ნაყოფით დახუნძლულის ხეების, არწივებისა და კიდევ ვინ იცის, რისი გამოსახულებანი, ოქროს ამფორები, ძვირფასი ქვებისგან გამოკვეთილი ყვავილები, თეთრი თუ შავი მარმარილოს ცხენები... ალ-არაბს თავბრუ დაეხვა და ფეხებსაც ძლივს მიათრევდა, მაგრამ ჯერ კიდევ წინ იყო ხალეებისა და ხალიჩების, ოქროსა და ვერცხლის სამკაულების, ოქრომკედით მოქარგული ნაირფერი ქსოვილების, ძვირფასად ნაჭედი იარაღ-საჭურვლის, ლამაზ ყდებში ჩასმული წიგნებისა და ეტრატების, ფაიფურისა თუ მინის ჭურჭლისა და სასმისების, ძვირფასად ნაჭედი გამოსახულებების ფართო და ფერადი მინით გაწყობილი სარკმლებიანი პალატები, რომელთა ოქროს მაღალი კარებები მზესავით ბრწყინავდა და ყურთამდე ღია იყო, თითოეულის შუაგულში პაწია შადრევანი ამოჩუხჩუხებდა და იქვე იდგა გრძელი ძვირფასი ხის სკამები თუ მოკლე საკარცხულები, ალბათ იმისთვის, რომ აქ მოსული ჩამომჯდარიყო და გაკვირვებას მისცემოდა: როგორი დახელოვნებული უნდა ყოფილიყვნენ ის ოსტატები, რომელთაც შეძლეს და შექმნეს ეს ყოველივე. „ასეთი სასახლის აგება და ამგვარი სიმდიდრის მოპოვება მხოლოდ სულაიმან იბნ დაუდის ჯინებს ძალუძდათ, თუ თითბრის ბეჭედის დასმით უბრძანებდათ,– გაიფიქრა გაოცებულმა ალ-არაბმა,როდესაც მცველთა თანხლებით ამ უჩვეულო სილამაზის კიბის საფეხურებზე ადიოდა და იმ პალატებს ათვალიერებდა, რომლებიც ვახსენეთ,– ჰარუნ არ-რაშიდის სასახლე ამასთან სრულიად დაიჩრდილებოდა“. მცველებმა სამეფო დარბაზამდე მიაცილეს ფაკირი და ერთ ადგილზე გაქვავდნენ. მათი შემყურე ალ-არაბიც შედგა და ლოდინი დაიწყო, რა მოხდებაო. არ გასულა დიდი ხანი, დარბაზის მოჩუქურთნებული, ოქროს ვარაყიანი ფართო და მაღალი კარი რბილად გაიღო და ხელჯოხიანი ეჯიბი გამოვიდა, რომელმაც ძლივს შესამჩნევი წარბის აწევით მცველებს ანიშნა გაბრუნდითო, ალ-არაბს კი მცირედ, ღირსეულად დაუხარა თავი და ხელით მიუთითა კარებზე, მერმე შეტრიალდა და პალატში პირველი შევიდა. ალ-არაბიც შეჰყვა, მაგრამ მყისვე გაოცებული შედგა და სუნთქვა შეეკრა. გიორგი მეფის პალატაში საოცარი სისადავე სუფევდა. აქ არსად იყო რაიმე ზედმეტი: ნივთები, ჭურჭელი, ტანსაცმელი, იარაღები... ხის უბრალო საწოლს ასევე სადა ქსოვილი ეფარა და გარესამყაროსგან ნახევრადგაწეული კრეტსაბმელით იყო გამოყოფილი. ნიშში მომცრო ვერცხლის ხელადა იდგა და

→

ფიალაც ვერცხლისა მოჩანდა. ერთადერთი იარაღი – ჩვეულებრივი ხმალი, ქარქაშში ჩადებული, და მრგვალი ფარი – კედელზე ეკიდა. ოთახში, რომელზედაც მნახველი იტყოდა უფრო განდეგილი ბერის სენაკს მიაგავს, ვიდრე უმდიდრესი ქვეყნის მფლობელი მეფის პალატასო, იატაკიც კი ბრტყელი ოთხკუთხა აგურისა ჰქონდა და არა ძვირფასი აბანოზის ხისა, ეგ იყო, ლამაზი სპარსული ხალიჩა ეფინა და სარკმლები ჰქონდა მეტად მაღალი, ისრული, საიდანაც უხვად შემოსული შუქი მთელ ამ უბრალოებას რაღაცნაირ შთამაგონებელ სახეს აძლევდა, და ყველა, ვინც პალატაში შემოსვლისას ოქროთი და თვალ-მარგალიტებით გაწყობილ სამყოფელის ნახვას მოელოდა, თვალებს უეჭველად განცვიფრებისაგან რამდენჯერმე დაახამხამებდა. სწორედ ამგვარად დაემართა ალ-არაბსაც, რაც სარკმელთან მდგარმა გიორგიმ კარგად შეამჩნია და წვერ-ულვაშში ჩაეღიმა. გიორგი მეფე ლოცვასს კითხულობდა, როდესაც მორიდებული ფეხის ხმა შემოესმა, წიგნიდან თავი აიღო და შემოსულს დაკვირვებით ახედ-დახედა. საერთოდ, მეფე მთხოვნელთ მდიდრულად მორთულ სააჯო დარბაზში იღებდა ხოლმე, უცხო ქვეყნის ელჩებს – კიდევ უფრო ლამაზ და მომხიბლავ პალატაში, აქ კი მასთან ყველაზე ახლობელი ადამიანი თუ მოხვდებოდა, ის, ვინც მისი განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ალ-არაბმა მხოლოდ ყურმოკვრით უწყოდა ამის შესახებ და აი, დღეს გაგონილის სინამდვილეში დარწმუნდა. „ –ო, ალაჰ, ჭეშმარიტად შენა ხარ ყოვლისშემძლე,– წამოიძახა მან გუნებაში, – ეს შენ შთააგონე გურჯთა ძლევამოსილ მეფეს, რომლის სასახლეში ოქროსა და ძვირფასი თვლების სათვალავი არავინ უწყის, თავისი მოსასვენებელი მივარდნილი მღვიმისთვის დაემგავსებინა, სადაც არაფერია, თვით არაფერიც კი! მაგრამ რისთვის?“ – მშვიდობა შენდა და გამარჯვება მტერსა ზედა, დიდო მეფეო!– ალ-არაბი გიორგის წინაშე აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით პირქვე დაეცა და შუბლით იატაკს შეეხო, მერმე მუხლებზე წამოიწია და გაიმეორა: – ალაჰისა და შენი მონა ვიხარებ სიხარულითა დიდითა, რამეთუ ჯანმრთელად გხედავ და მორჭმულად. – წამოდექ, ალ-არაბო, და მშვიდობა შენცა, – გიორგი მეფე თავს დაადგა მის წინ დაჩოქილ ფაკირს და ვიდრე ის ცოტათი კიდევ არ წამოიმართა, თვალი არ მოუცილებია, – კარგი გიქნია, რომ კვლავ სტუმრებიხარ ჩვენს სატახტოს და ჩემთან ხლებაც განგიზრახავს. თუმცა, თავად რომ არ მხლებოდი, უეჭველად გიხმობდი სასახლეში, რადგან მინდა მადლი მოგიზღო. მე უმადური არ ვარ და არც სხვას მივუტევებ მსგავს საქციელს, შენ კი ნამდვილად იმსახურებ ჩემგან წყალობას. ალ-არაბი მთლიანად გაიმართა წელში, ოღონდ კვლავაც თავდახრით იდგა, ვითარც მეფეთა წინაშე დგომის წესია. – ო, ბრწყინვალე მეფეო,– მიუგო მან,– უსაზღვროა სიკეთე შენი, რომელიც ისე სწვდება ყველას და სიხარულს აგრძნობინებს, ვითარც გაზაფხულის წვიმა მოეფინება ხოლმე ხეებსა და ბალახებს, და სიცოცხლესა და ბედნიერებას ანიჭებს მათ. მაგრამ ნება მიბოძე გკითხო: რით დავიმსახურე შენი წყალობა, განა რა ვქმენ ისეთი, რომ ღირსი ვიყო თუნდაც შენი ერთი შემოხედვისა? – როგორ თუ რით დაიმსახურე?– გიორგი გულწრფელად გააოცა ფაკირის ნათქვამმა, – განა შენ არ ხარ ის დერვიში, წინასწარმეტყველი, რომელმაც მე, უძეოსა და უშვილოს, რომელსაც მაღალი ღმერთი შთამომავალს არ აძლევდა და მეც ვფიქრობდი უშვილოდ გადავეგებოდი, შენი შელოცვებითა და მკურნალობით მომეცა უნარი მყოლოდა ჩემი სისხლი და ხორცი, შვილი, რომელიც ჩემთვის სიცოცხლეზე მეტს ნიშნავს? შენ რომ არა, მე ხომ უშვილოდ დავრჩებოდი და ვერ ვიგემებდი იმ ბედნიერებას, რასაც სიცოცხლის გამგრძელებლის მოფერება ჰქვია? ალ-არაბი ერთ ხანს შედგა, გუნებაში სწონიდა მეფისთვის რა უნდა ეთქვა, რომ არ განრისხებულიყო და თანაც, მომავლის იმედი უფრო მეტად ჩასახოდა გულში:

– დიდებულო მეფევ, შენ, ვინც იქმ იმას, რაც შეჰფერის ყოველ სახელოვან მბრძანებელს, – მორიდებით დაიწყო ალ-არაბმა, – ვხედავ, სიხარული მოგიტანე, როდესაც შენს სახელზე რამლი ვყარე და გამცნე შთამომავალი შეგეძინებოდა, და როგორც მესმა, ასული შეგეძინა, კიდეც... –დიახ, ფაკირო, ასული შემეძინა, და მე მას რუსუდანი დავარქვი, რამეთუ ეს სახელი ფრიად მეკეთილა მისთვის – აკი დასაც ჩემსა სწორედ ეს სახელი ჰქვია. – ალაჰის რჩეულო მეფევ, ბრწყინვალეო სიტყვითა და საქმითა შენითა, მომიტევე, თუ ახლა მე შენ იმას გამცნობ, რაც არის შენი ნამდვილი ხვედრი, ანდა უნდა ყოფილიყო, გარნა ისევ და ისევ სხვათა ჩარევის გამო ეს ხვედრი არ ერგო შენს მაღალ ხელმწიფობას... გიორგი გამომცდელად დააცქერდა მის წინ კვლავაც თავდახრით მდგარს არაბ წინასწარმეტყველსა და შემლოცველს. – თქვი, ფაკირო, და ნურაფერს დამიმალავ:

– ყოველმხრივ აღმატებულო მეფეო, დიახ, მე აღგითქვი, რომ შვილი უეჭველად შეგეძინებოდა. მომიტევოს შენმა მეფურმა დიდებულებამ, განა აგრე არ იყო? – დიახ, აგრე იყო და შემეძინა კიდეც, როგორც გითხარი, და როგორც ყველასთვის ცნობილია. – ო, მეფეო, მე რამლმა ისიც მიჩვენა, რომ შენ ასული შეგეძინებოდა. – დიახ, აგრეც მოხდა. მერმე? —მერმე კი ის, მეფეო, რომ შვილი დედოფალთან უნდა შეგძინებოდა, მე კი მამცნეს, რომ შენ დედოფალთან კი არა, ხარჭასთან გყოლია ასული. – დიახ, აგრეა. – დიდო მეფეო, ჩემი შელოცვა და მკურნალობანი დედოფლის გასაჯანსაღებლად იყო მიმართული და მას აუცილებლად უნდა გაეჩინა შვილი. – აუცილებლად დედოფალს? – – დიახ, აგრე გახლავს. —მერმე, რატომ არ შეეძინა? – იქნებ მას შემდეგ, რაც მე მას ვუწინასწარმეტყველე, მეფემ არ ინება ბრწყინვალე დედოფალთან სარეცლის გაყოფა? – არა, ფაკირო, მე დედოფალი ახლა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე პირველ ხანებში მიყვარდა, და მისადმი გულგრილობას ვერავინ დამწამებს. „– ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ო, ალაჰ, მე ხომ დედოფალს ის შელოცვაც გავუკეთე, რომლის ძალითაც მეფე თითქმის ყოველ ღამე ყოფილიყო მასთან. მერმე კი ძველთაძველ სამაჯურსაც შევულოცე და მივართვი, „– გაიფიქრა ალ-არაბმა, ხმამაღლა კი მოახსენა: – რაკი ასეა, მაშ დედოფალს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა შვილი, მეფეო, ოღონდ ასული, რამეთუ მასაც ძლიერი შელოცვა ჰქონდა გაკეთებული, რომელიც მე ავხსენი, მაგრამ ის იმდენად ძლიერი იყო, რომ მხოლოდ ასულის შეძენაღა შეიძლებოდა. დიახ, უცილობლად უნდა ჰყოლოდა შენგან მას ასული, თუ... – თუ რა, ფაკირო? – საქმე იმაშია, მეფეო, რომ იმ წამლებს, რაც მე განვუსაზღვრე დედოფალს და რაც ბევრ სხვადასხვა ნივთიერებას შეიცავს, თუ სწორად მისცემდნენ, არაფერს მოაკლებდნენ და ზომა-წონასაც დაიცავდნენ, მაშინ დედოფალი უეჭველად უნდა დაორსულებულიყო. – უეჭველად უნდა...? მაშინ რა გამოდის, ფაკირო?– მეფემ ალ-არაბს გადახედა და მის თვალებში რისხვა და სისასტიკე ისე ავარდა, თივის ბულულზე რომ ავარდება ხოლმე უცებ ცეცხლის ალი. – ო, მეფეო, ყველა შენი ქვეშევრდომი ალაჰმა დაიფაროს შენი რისხვისგან... – ფაკირო, შენ ამბობ, რომ დედოფალს შენს დაწესებულ წამლებს არ ასმევდნენ? – ან არასწორად ასმევდნენ – აკლებდნენ... მეტს აძლევდნენ... – და შენ შეგიძლია ეს ამბავი დაადგინო? – მომიტევე, მაგრამ რა ამბავი, მეფეო? – შენს მიერ დანიშნულ წამლებს ხომ არ ცვლიდნენ, მეტს ხომ არ აძლევდნენ ან ნაკლებს... ამას თუ შეიტყობ, ფაკირო? – ო, მეფეო, მაგაზე ადვილი რა არის. უბრძანე, ვიდრე დედოფალი დალევდეს, ის წამალი შენს წინაშე მოიტანონ. – მერმე? – მერმე ის, დიდო მეფეო, რომ ის წამალი თუ ისეთი ტკბილი არ არის, როგორიც უნდა იყოს, გამოდის, რომ რაღაც დააკლეს, ან მოუმატეს. – განა დედოფლისთვის დასალევი წამალი ტკბილი უნდა ყოფილიყო, ფაკირო? – დიახ, მეფობამან შენმან, თანაც ძალზე ტკბილი. მისთვის მსუქანი, მხურვალი, კარგი საჭმელები უნდა მიეცათ და ტკბილი წამლები დაელევინებინათ. – დედოფალი კი ყოველთვის მეუბნებოდა, რა მწარე და წმახეა ეს წამალი, ფაკირმა რომ დამინიშნა, თითქოს დარიშხანს ვსვამდე, მაგრამ არ იქნა და არ მეშველაო. – აი, ხომ მოგახსენებდი, მეფეო. უბრძანე აქ მოიტანონ, ან თავად დედოფალმა მოგართვას, ვიდრე დალევდეს. მეფე მრისხანების კანკალმა აიტანა და ფაკირი მიხვდა, რომ ვიღაცისთვის შავი დღე უკვე დამდგარიყო. გიორგი ერთ ხანს ხმას არ იღებდა, სიმწრისგან ოქროქსოვილ კაბაზე ზონრებს იწყვეტდა, ხელებს მუშტავდა, მძიმედ ქშინავდა და თითოეულ ამოსუნთვას მთელ გულს ატანდა. როგორ! ვიღაცამ შეთქმულება მოუწყო, მისი ნების წინააღმდეგ გაილაშქრა, ხელთ იგდო მისი ბედი, მომავალი, და არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ქვეყნისა?! დახლართა გზები, შეცვალა მეფის ბრძანებანი, სასახლეში თავად განაგებდა ყველაფერს, დედოფალს თავის ხელში ათამაშებდა და გიორგიმ ეს ყოველივე მხოლოდ ახლა შეიტყო? ხოლო სიმართლე რომ არის ყოველივე, ეს ცხადია! და რა სიმწარე გამოიტანა ამ სიმართლემ! მეფეს ეგონა, რომ მაღალმა ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა და ასული უბოძა, მაგრამ, თურმე, უკეთესი წყალობის გარდმოვლენას ვიღაც ეწინააღმდეგებოდა, ვიღაცამ ხელი შეუშალა, გიორგის ბედნიერებას წიხლი უკრა, მახე დაუგო, სარმა გამოსდო და სანეტარო ცხოვრება სანანებლად გაუხადა, მემკვიდრის გაჩენის იღბალი მოუსპო! ვინც არ უნდა იყოს ამის მომწყობი, დიდებული თუ გლახაკი, დიაცი თუ ჭაბუკი, ერი თუ ბერი, თუ დადასტურდა ის, რაც ამ სწავლულმა ფაკირმა მეფეს მოახსენა, უმკაცრესად დაისჯება! გიორგი თავისი ხელით გამოსჭრის ყელს! მისთვის სამსჭვალთა გაყრა ან ასოთა დასხეპა ცოტა იქნება, შუაზე უნდა გაიკვეთოს და საჯიჯგნად ძაღლებს უნდა მიუგდონ! მცირე ხნის შემდეგ მეფემ თავი მოთოკა, ბოღმა გულში ჩაიკლა, კართან ჩამოკიდებულ სპილენძის მცირე ფირფიტას გრძელი, ნვრილი ლითონის ძელაკი შემოჰკრა და უმალ შემოსულ ქეშიკს უკვე წყნარი ხმით უბრძანა, დედოფალს ეახელ და ჩემი ნება ამცნე, რომ ვახშამზე მინდა ვესტუმრო და სერობას უჩემოდ არ შეუდგესო, მერმე ალ-არაბიც დაითხოვა, მაგრამ სასახლიდან გასვლა აუკრძალა და საღამომდე მცველებს ჩააბარა, რომელთაც ასევე უბრძანა, ვიდრე არ ვინებებ, ჩემი შეწუხება არავინ გაბედოსო.

გიორგი მეფე არ იყო უაზრო და გონიერებას მოკლებული კაცი, პირიქით, ბევრჯერ ყოფილა, რომ ესა თუ ის მოსახდენი საქმე ისე სწრაფად მოუაზრებია, ვერც მტერი და ვერც მოყვარე გონს ვერ მოსულა, მაგრამ თუ ვინმეზე გულში ძვირს ჩაიდებდა, მერე იმას ვეღარავინ შეაცვლევინებდა. ამრიგად შეიძულა თავისი ძმაცა და ძმისშვილიც. ძმა იმიტომ, რომ რაკი ტახტის მემკვიდრე იყო, ამ უფლების ძალით ყოველივეს თავის ჭკუაზე აკეთებდა და უმცროსი ძმის, გიორგის სურვილებს არაფრად აგდებდა, ავყიობდა და ნიადაგ თავგასული მის დასამცირებლად ყველაფერს აკეთებდა. მერმეც, როცა უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, უმცროს ძმას ყოველი იმედი გადაუწურა: მეფობა შენ არანაირად არ გეკუთვნის, ტახტი ჩემი ძისაა, შენ მხოლოდ დროებით განაგე ქვეყანა, მერმე კი მეფობა მას უნდა გადააბარო, ახლავ მომეცი ამის ფიცი, რომელსაც თუ დაარღვევ, ყველას წინაშე პასუხს აგებ და სასჯელსაც მიიღებო. გიორგიმაც ითვალთმაქცა, შეჰპირდა, აგრე ვიქმო, გულში კი იმაზე ოცნებობდა, რომ იმ დამცირებათათვის, რასაც ჯერ მემკვიდრე უფლისწული და მერე უკვე მეფედ კურთხეული დავითი მის მიმართ სჩადიოდა, მისი ძისთვის მიეგო სამაგიერო, იმით, რომ მისთვის სამეფო არასგზით არ ჩაებარებინა. შემდგომში თავისი ძმისშვილის მიმართ ის სიძულვილი კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა, და მას ვეღარაფერი შეცვლიდა. დღეს კი გულში ახალი რისხვა ჩაუსახლდა, ვის მიმართ – ეს ჯერ განსაზღვრული არ ჰქონდა და იმისკენ იყო მიმართული, ვინც ასეთი უკადრისი და უგვანო საქმე ჩაიდინა: მას, მეფეს, მემკვიდრის ყოლის საშუალება არ მისცა! ვის შეეძლო ჩაედინა ეს, ვის ჰქონდა იმისი გამბედაობა, რომ მეფის ბრძანება შეეცვალა და დედოფლისთვის დაელევინებინა არა ფაკირ ალ-არაბის მიერ დადგენილი წამლები, არამედ სულ სხვა რამეები? ვის აძლევდა ხელს, რომ დედოფალს შვილი არ ჰყოლოდა და გიორგი მეფეც უმემკვიდროდ გადაგებულიყო? ცხადია, ასეთი ვინმე ნამდვილად არსებობდა, ის სასახლეში ბოგინობდა და თვით დედოფლისთვის წამლის მიცემაზეც მიუწვდებოდა ხელი. სასახლის აქიმი? დედოფლის შიმუნვარი? თუ ორივე ერთად? მაგრამ ვინ იხეირებდა ამით, ვის არ სურდა მეფის უშვილობა? დიდებულებს? დემნა უფლისწულს? მაგრამ დემნა სასახლეში არ იმყოფება უკვე წელიწადზე მეტია, დიდებულნი თავიანთ სამფლობელოში არიან, ქვეყანაშიც სიმშვიდეა... მაგრამ ჯერ უნდა დარწმუნდეს, რომ წამალი, რომელსაც დედოფალს ასმევენ, ის არ არის, რაც ალ-არაბმა ურჩია. ეს კი საღამოს გამოჩნდება, როდესაც დედოფლისთვის მისართმევ სასმელს ფაკირი შეამოწმებს. გიორგი სავარძელში გაუნძრევლად იჯდა და ჩამავალ მზეს გაჰყურებდა, რომელიც სულ არ ჩქარობდა მთებს მოჰფარებოდა. პალატაში ჯერ მსუბუქი ბინდიც არ ჩამომდგარიყო, ყოველივე კარგად განირჩეოდა, განსაკუთრებით ლამაზად მოჭედილი ფარი, რომელიც სწორედ სარკმლის მოპირდაპირედ ეკიდა კედელზე და თითქოს იქვე ჯვრის ფორმის ვადიან ხმალს ეუბნებოდა: მე შენ არასოდეს გაგეყრებიო. მეფეც, ფეხი ფეხზე გადადებული, სწორედ ამ იარაღებზე გადმოიტანდა ხოლმე მზერას და თვალს ავლებდა, თითქოს ფარს სიმტკიცეს უსინჯავს, ხმალს კი სიბასრესო. ერთიც და მეორეც ერთგული მსახურნი იყვნენ მეფისა და გიორგი ალბათ კიდევ დიდხანს არა ერთ გამარჯვებას იზეიმებდა მათთან ერთად. ვახშმის დრო მოახლოვდა, მაგრამ რაოდენ გაოცდნენ მსახურნი, როცა პალატაში შესვლისას მცველებმა მკაცრად გააფრთხილეს – მეფე არ შეაწუხოთო. ხელებჩამოშვებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ვერ გაეგოთ როგორ მოქცეულიყვნენ. სწორედ ამ დროს მეფეც გამოვიდა და მცველებს უბრძანა, ალ-არაბი მომგვარეთო, მერე კი მასთან ერთად დედოფლის სამყოფლისკენ გაემართა, თან ყველას ხელით ანიშნა, თქვენს ადგილზე დარჩითო. ბურდუხანი გაფრთხილებული იყო და ამიტომ არც საჭმელს და არც სასმელს არ გაჰკარებია. მაგიდაზე გვერდი-გვერდ ელაგა ვერცხლის სინებითა და ოქროს ლანგრებით მორთმეული მადის აღმძვრელი საჭმელები, იქვე რამდენიმე სურაც იდგა, რომლებშიც წყალი, შარბათი, მოტკბო ღვინო და თაფლშერეული ხილის წვენები ესხა. მეფის შემოსვლაზე დედოფალი ფეხზე ადგა, ხოლო მხევლებმა თავი დახარეს და პალატის შორეულ კუთხეს მიაშურეს. გიორგიმ მაგიდას გადახედა, თვალის ერთი გადავლებით მიხვდა, რომელ სინსა და ჯამში რა საჭმელი იყო და ბურდუხანს მიმართა: – კარგ მადას გისურვებ, დედოფალო, ვგონებ მზარეულს ყოველივე საუკეთესო მოურთმევია, ყოველ შემთხვევაში, ეს კაკაბი მშვენივრადაა შემწვარი, ეს ბატკნის ხორციც კარგადაა მოხარშული, მშვენიერი სურნელი ასდის. სიამოვნებით დაგეწვევი, ან იქნებ სტუმარს არ ელოდებოდი? – ჩემი ხელმწიფე მუდამ სასურველია ჩემთვის, გინდ ვახშამი იყოს და გინდ საუზმე, – მორიდებით მიუგო დედოფალმა,– მამცნეს რომ მობრძანდებოდი, მეფეო, და მადლობას გიხდი, რომ ჩემი ტრაპეზის გაზიარება ინებე. – მაგრამ, დედოფალო, როგორც მახსოვს, ვიდრე სერს შეუდგები, ვგონებ აქიმისგან დანიშნულ სასმელს მიირთმევ, განა ასე არ არის? – ო, მეფეო, რადგან შენი ნება იყო, რომ მე უეჭველად შემესვა ის სასმელი, რომელსაც, როგორც ბრძანებდი, უშვილობა შვილიანობით უნდა შეეცვალა ჩემთვის, ყოველთვის მზად ვიყავი დამელია იგი, რაოდენ მწარე სამსალაც უნდა ყოფილიყო, და მეც მუდამ ვსვამდი მას. – ხომ არ მეტყვი, დედოფალო, რომელია ეგ სამკურნალო სასმელი, რომელიც, როგორც შენ ამბობ, მეტად მწარე ყოფილა?– მეფემ მაგიდაზე თვალი მოატარა და რადგან რამდენიმე სურა იდგა, ბურდუხანს კითხვის თვალით შეხედა. – ო, მეფეს ნებავს დარწმუნდეს, მე იმ წამალს ვსვამდი თუ არა? ვაი იმ დალევას, მეფეო, პირში ისეთი საშინელი გემო მრჩებოდა, ღამის გული მერეოდა, მაგრამ ჩემს თავს ვაიძულებდი დამელია და აი ახლაც დავლევ. დედოფალმა ვერცხლის მაღალ და ტანწვრილ ქოთანს სახურავი ახადა და ის იყო, პირთან უნდა მიეტანა, რომ მეფე სწრაფად ხელში სწვდა და შეაჩერა: – მოიცადე, დედოფალო, ეს არ გახლავს შენი სარგო წამალი. მცირე ხანს მოიცადე, და მერმე უკვე ნამდვილად რომ სამკურნალო წამალს მოგართმევენ, სწორედ იმას, რაც განკურნავს იმისგან, რაც დღემდე ორივეს დიდად გვაწუხებს. დედოფალი შეცბა, ხან ვერცხლის ქოთანს დასცქეროდა, ხან მეფეს შეხედავდა და ცდილობდა მიმხვდარიყო, რა ჰქონდა მას განზრახული. – ნუთუ, მეფეო, ეს წამალი არანაირად შემრგო არ იყო? აკი მარწმუნებდნენ, მცირე ხანსაც მოიცადე და მერმე შენი იმედი აღსრულდებაო? მაშ იგი უშედეგოა და მე ამდენ ხანს ტყუილად ვსვამდი? – მაგას ახლა შევიტყობთ, დედოფალო, რადგან მე ეჭვი მაქვს, რომ ყოველივე სწორედ ისეა, როგორც შენ ივარაუდე,– მეფემ შორიახლოს მდგარ შიმუნვართაგან ერთერთს ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო და უბრძანა:– დე, შემოვიდეს ალ-არაბი, რომელიც კართან დგას და მოგვახსენოს ამ წამლის შესახებ: სწორედ ისაა, რაც მან დედოფალს დაუწესა თუ არა? და როდესაც ფაკირიც დიდის მორიდებითა და მოწიწებით შემოვიდა, მეფემ ვერცხლის კოჭობი გაუწოდა და მკაცრად უთხრა: – ალ-არაბო, აჰა შენ ის წამალი, რომელსაც დღიდან შენი წასვლისა დედოფალს ასმევდნენ და გვითხარ, სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო იგი თუ მასში რაიმეა შეცვლილი? თუ სწორედ ისაა, მაშინ ჩემი რისხვა მოგეწერება სწორედ შენ, რამეთუ ამაოდ კურნავდი თანამეცხედრეს ჩემსას, და თუ ის არ არის, მაშინ უმკაცრესად დავსჯი იმას, ვინც გაბედა და შეცვალა იგი, ხოლო დედოფალს ამდენ ხანს ტყუილად ასმევდა მას და ასევე ტყუილი იმედით ასულდგმულებდა, რომ შვილი აუცილებლად შეეძინებოდა. მომიახლოვდი და იხილე ის, რაც ამ ქოთანშია ჩასხმული. ალ-არაბმა პატივისცემის ნიშნად გულზე შეტყუპებული ხელები მიიდო, მეფეს თავი დაუკრა და მაგიდას მიუახლოვდა: – დიდებულო მბრძანებელო, მაშინაც მოგახსენე, რომ დედოფლისთვის უნდა ეძლიათ მომსუქნო, მომხურვალო საჭმელები და ის წამალი, რომელიც გემოთი ტკბილი გახლავს. ჯავაშერი, ჰნდი ყუსტის ზეთი, მუყლი აზრაყი. ესენი ერთმანეთში უნდა აირიოს, დაემატოს შავი ყურძნის წვენი და თაფლი და ესე შარბათი უნდა მიეცეს, და დიაცი უეჭველად დაორსულდება. ამ წამალში კი,—ალ-არაბმა ჯერ დაკვირვებით უყურა, მერმე დაყნოსა, მერმე შეანჯღრია და სანთლის ახლოს მიიტანა უფრო კარგად რომ ენახა, ბოლოს კი მეფეს ბოდიში მოუხადა, ხელსახოცი აიღო, მისი წვერი იმ შარბათში დაასველა, ენის წვერით ფრთხილად გემო გაუსინჯა და მცირე ხნით დაყოვნების შემდეგ მოახსენა,– ამ წამალში კი, დიდო მეფეო, მუყლი აზრაყს მე ვერ ვგრძნობ, და შავი ყურძნის ნაცვლადაც ანწლის წვენია ჩარეული. ალ-არაბმა ვერცხლის ქოთანი ფრთხილად დადგა, კიდევ ერთხელ დახარა თავი და ორი ნაბიჯით უკუ დგა. – ალ-არაბო, გრძნობ თუ რა დაგაკისრე შენს თავს?– მიუბრუნდა გიორგი მეფე, რომლის თვალებში უკვე ელვის ისრები ირეოდა,– დარწმუნებით ამბობ, რომ დედოფალს აძლევდნენ არა სამკურნალო წამალს, არამედ სულ სხვა რაღაცას, რითაც იგი უშვილობისგან განკურნებას ვერ ეღირსა? – დიდო მეფეო, ალ-არაბს სიცრუე ერთხელაც არ წამოსცდენია, და თანაც, ტყუილს ალაჰი არ მაპატიებს, სასჯელს მომაგებს სააქაოშიცა და საიქიოშიც,– მტკიცედ მიუგო ფაკირმა,– ეგ ის წამალი არ გახლავს, რომელსაც ბრძენნი გვისახავენ უშვილობისგან განკურნებისთვის და რომელიც მე შევთავაზე ბრწყინვალე დედოფალს. – მაშ შენ ამბობ, ფაკირო, რომ თუ დედოფალი შენს მიერ დანიშნულ წამალს მიიღებდა, იგი უცილობლად დაორსულდებოდა? – დიახ, მეფეო, ეს მე ამ ერთი წლის წინაც აღგითქვი. – გამოდის, რომ თუ იმას, რაც ამაში ასხია,– მეფემ თვალით ანიშნა მცირე კოჭობზე, რომელიც მის შორიახლოს იდგა და რადგან თავდაუხურავი იყო, არც თუ სასიამოვნო სუნი ასდიოდა, ისეთი, რომ მეფე ზოგჯერ ცხვირსაც კი იჭმუხნიდა,– იმით შევცვლით, რომელიც შენი დარიგების მიხედვით უნდა მომზადებულიყო, დედოფალი განიკურნებოდა? – ო, მეფეო, თუ ნებას მიბოძებ, მე შენს თვალწინ დავამზადებ იმ წამალს, შემდეგ ორი-სამი თვის განმავლობაში თავად მივართმევ დედოფალს, და დარწმუნდები, რომ სიმართლეს მოგახსენებ. გარდა ამისა, უბრძანე მოძებნონ ის ბრტყელი სამაჯური, რომელზედაც კაცის თავი და ნახევარმთვარეებია გამოსახული, არაბული წარწერებით, და დედოფალმა კვლავ მოირგოს იგი ხელზე. გიორგი დაფიქრდა, ერთ ხანს რაღაცას ანგარიშობდა, წონიდა, თან ალ-არაბს თვალს არ აცილებდა, შემდეგ კი წარმოთქვა: – კეთილი, იყოს ესრეთ. ამ სამ თვეს შენ თავად დაამზადებ წამალს და დედოფალს მიართმევ, და თუ იგი უშვილობისგან განიკურნა, შენ უხვად დაგაჯილდოებ, ხოლო მათ, ვინც წამლის მაგივრად საწამლავს ამზადებდა და დედოფალს ასმევდა, დავატუსაღებ და სასტიკად დავსჯი. მანამდე კი მანდატურებს ვუბრძანებ თვალყური გადევნონ, რომ არსად გაპარვა არ სცადო. დე, იყოს ისე, როგორც ვთქვი. და გიორგი მეფე დედოფალს გამოემშვიდობა...

ბეჭან ხორავა

(დასასრ. დასაწყ, იხ, N7-8)

11 ოქტომბერს მიხაილ რომანოვი სოხუმში ჩავიდა. აქ მას მიხეილ შარვაშიძის 9 ოქტომბრის ორი წერილი დახვდა. მეფისნაცვლისადმი წერილში მიხეილ შარვაშიძე წერდა, რომ როცა აფხაზეთი უსიტყვოდ გადასცა სამხედრო მმართველობას, ის მშვიდ ცხოვრებას ელოდა, მაგრამ სამხედრო ადმინისტრაცია, მიუხედავად ავადმყოფობისა, რომელიც მას მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა, დაჟინებით მოითხოვდა მის წასვლას აფხაზეთიდან. ყოფილი მთავარი ამტკიცებდა, რომ მისი აფხაზეთში ყოფნა არ იქნებოდა ხელისუფლებისათვის საზიანო, არა-მედ პირიქით, სასარგებლოც იქნებოდა, და სთხოვდა გულმოწყალება გამოეჩინა, დაეტოვებინათ აფხაზეთში, რათა დარჩენილი დღეები აქ გაელია. თუ ეს თხოვნა არ იქნებოდა გაზიარებული, მიხეილ შარვაშიძე სურვილს გამოთქვამდა ოჯახთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად იერუსალიმში წასულიყო.

მეორე წერილი იმპერატორის სახელზე იყო, რომელშიც მიხეილ შარვაშიძე ფორმალურად ითხოვდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამსახურიდან გათავისუფლებას სამხედრო წოდების აღნიშვნის გარეშე. კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ეს უკანასკნელი გაღიზიანებული ავადმყოფის თხოვნად ჩათვალა და ყურადღება არ მიაქცია.

მთავარსარდლის აზრით, რადგან უშუალო რუსულ მმართველობაში სამთავროს გადაცემის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძისადმი უკმაყოფილების საბაბი არ ჰქონდა, ამასთან მისი დასახლება გაზაფხულამდე გადაიდებოდა.

თურქები, ჩვეულებრივ, XVI საუკუნიდან აფხაზებს აბაზების სახელით მოიხსენიებდნენ. XIX საუკუნეში, ხშირად, რუსულ დოკუმენტებშიც აფხაზები აბაზების სახელით მოიხსენიებოდა. ნ. იგნატიევმა კავკასიის ადმინისტრაციისაგან შეიტყო, რომ ჰამიდ-ბეის სახელით ოსმალეთში მიხეილ შარვაშიძეს იცნობდნენ. მაშინ რუსეთის ელჩმა ალი ფაშას მოსთხოვა ასეთ მცდელობაზე საბოლოოდ უარი ეთქვა. მან განმარტა, რომ მიხეილ შარვაშიძე იყო იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი და მისი ოსმალეთში გადასახლება ისეთსავე უხერხულობას შექმნიდა, როგორც, მაგალითად, სულთნის გენერალ-ადიუტანტის ფუად ფაშას რუსეთში გადასახლება. რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძეს, საკითხის ასე დასმის გამო, ის რუსეთის კანონებით დასჯას ექვემდებარებოდა. ალი ფაშა შეეცადა მიხეილ შარვაშიძე დაეცვა, მაგრამ აღიარა, რომ თხოვნა მისი სახელით იყო შემოტანილი და ამ თხოვნაში ის თავის თავს და თავის ტომს წარმოაჩენდა ფარულ მუსლიმებად, რომლებიც იძულებული იყვნენ გარკვეულ ხანს თავიანთი სარწმუნოება ქრისტიანობის ნიღბით დაეფარათ. იგი პორტას აფხაზების ოსმალეთში გადასახლების საქმეში დახმარებას სთხოვდა. ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორის ემინ მუხლის ფაშას შუამდგომლობის საფუძველზე პორტას განზრახული ჰქონდა ამ თხოვნის შესრულებაზე განკარგულება გაეცა. გადასახლებულთა რაოდენობა სავარაუდოდ 20 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. ალი ფაშამ დაადასტურა, რომ მიხეილ შარვაშიძემ ეს თხოვნა პორტას ემინ მუხლის ფაშას მეშვეობით გადასცა. ნ. იგნატიევის აზრით, ალი ფაშას ამით სურდა

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი

ავადმყოფობისა და ასაკის გათვალისწინებით, ხელისუფლება აფხაზეთის ყოფილ მთავარს მოწყალედ უნდა მოჰქცეოდა. მას მიაჩნდა, რომ არსებულ ვითარებაში შეიძლება უფრო სწორი ყოფილიყო ნება დაერთოთ მიხეილ შარვაშიძისთვის, აფხაზეთში 1 იანვრამდე ან გაზაფხულამდეც კი დარჩენილიყო; მის საცხოვრებლად განესაზღვრათ კავკასია, კერძოდ, ქუთაისისა და რაჭის მაზრები. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მისი იძულება, დაეტოვებინა აფხაზეთი და უკვე არ გაეთვალისწინებინათ სხვა მიზეზები, რადგან ყველა მისი თხოვნა შესრულდა. მთავარსარდალი მზად იყო მიხეილ შარვაშიძისთვის ეს გადაწყვეტილება გამოეცხადებინა და იმპერატორის წინაშე შესაბამისი შუამდგომლობა აღეძრა. მაგრამ მოულოდნელად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მიხეილ შარვაშიძეს როგორც ჩანს ნერვებმა უმტყუნა და განწირული ნაბიჯი გადადგა. მოსახლეობის ნაწილთან ერთად მან ოსმალეთში გადასახლება გადაწყვიტა. 29 ოქტომბერს მეფისნაცვლის დიპლომატიურმა კანცელარიამ მიიღო კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩის, გენერალ-ადიუტანტ ნ. იგნატიევის უწყება, რომ ბრწყინვალე პორტამ მიიღო აბაზების მთავრის ჰამიდ-ბეის თხოვნა, მიეცათ მისთვის ოსმალეთში ჩასვლის ნება და ამ მიზნით სოხუმში გემი გამოეგზავნათ. ნ. იგნატიევმა მოითხოვა ამ თხოვნის შესრულების მცირე ხნით გადადება, რათა მას საშუალება ჰქონოდა ეს ცნობა კავკასიის ადმინისტრაციისათვის გადაეცა.

მალე ნ. იგნატიევმა თავისი ცნობა უფრო დააზუსტა: აბაზებმა ოსმალეთში გადასახლების თხოვნით მიმართეს პორტას. ამ ტომის თხოვნაში ნათქვამია, რომ მათი უფროსია ჰამიდ-ბეი. ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. იგნატიევს განუცხადა, რომ განზრახული ჰქონდა სოხუმ-კალეში სამხედრო გემების გაგზავნა ამ მთიელთა გადმოსაყვანად, მაგრამ რუსეთის ელჩმა ამ განზრახვის შესრულების გადადება დაჟინებით მოითხოვა. მან ალი ფაშას შეახსენა პორტას პასუხისმგებლობა ყველა იმ უხერხულობაზე, რომელიც ამ ტომს შეექმნებოდა წელიწადის ასეთ დროს გადასახლებისას; ამასთანავე, ეს გადასახლება ვერ მოხდებოდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის დახმარების გარეშე და გამოთქვა აზრი, რომ ასეთ შემთხვევაში აბაზების გარამდენადმე აეცილებინა მორალური პასუხისმგებლობა პორტასათვის აფხაზებთან და მათ ყოფილ მთავართან პირდაპირი ურთიერთობის გამო.

მიტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსულის ა. მოშნინის ცნობით, მიხეილ შარვაშიძემ ემინ ფაშას სთხოვა მისი მდგომარეობა გაეთვალისწინებინა და მისთვის და მისი ტომისთვის ანატოლიაში მიწები გამოეყო. წერილი რუსულ ენაზე იყო შედგენილი. ფაშამ იგი სტამბოლში გადააგზავნა და თავისი აზრიც დაურთო, რომ პორტა ჰამიდ-ბეის საქმეში არ უნდა ჩარეულიყო, რადგან ამას შეეძლო ოსმალეთი რუსეთთან წაეკიდებინა; და, მეორე, უხერხული იყო ჰამიდ-ბეის თხოვნის შესრულება, რადგან მას სურდა პორტას ვასალ მთავრად დარჩენილიყო.

მიხეილ შარვაშიძის ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ პირველი ცნობის მიღებისთანავე კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-მაიორმა ვ. ლიმანოვსკიმ ეს ინფორმაცია დ. სვიატოპოლკ-მირსკის მიაწოდა. ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ, 31 ოქტომბერს, სოხუმში პოდპოლკოვნიკი, გრაფი პაველ კუტაისოვი გააგზავნა აფხაზეთის ჯარების სარდალთან, რომ მას მიხეილ შარვაშიძე დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინა, სოხუმში ჩაეყვანა და შემდგომ მითითებებს დალოდებოდა.

1 ნოემბერს დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ წერილი გაუგზავნა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, დიდ მთავარს მიხაილ რომანოვს, რომელიც ყირიმში იმყოფებოდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი წერდა, რომ მიხეილ შარვაშიძის პორტასთან ურთიერთობის თაობაზე ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა. აფხაზეთის ყო-ფილი მთავარი ოსმალეთში გადასახლების ნებას და ამ მიზნით სოხუმში გემის გამოგზავნას ითხოვდა, რის გამოც მას მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთში დატოვება დაუშვებლად მიაჩნდა.

ამ ცნობის მიღებისთანავე მიხეილ რომანოვი სასწრაფოდ ჩამოვიდა თბილისში. მისი აზრით, არსებული ცნობები სრულიად საკმარისი იყო მიხეილ შარვაშიძის დასადანაშაულებლად, რის გამოც ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მის არათუ ქუთაისში, არამედ, საერთოდ, კავკასიაში დატოვებაზე. მთავარსარდალმა მოიწონა დ. სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულება მიხეილ შარვაშიძესთან დაკავშირებით და ბრძანა ეს უკანასკნელი გემით ნოვოროსიისკში გაეგზავნათ.

დ. სვიატოპოლკ-მირსკის 31 ოქტომბრის ბრძანება პ. შატილოვმა გრაფ კუტაისო-ვისაგან 1-დან 2 ნოემბრის ღამით მიიღო და მისი შესრულებისათვის მზადებას დაუყოვნებლივ შეუდგა. 2 ნოემბერს განზრახული იყო ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკის ორი ბატალიონის ჩასხდომა გემში მათი ფოთში გადასაყვანად. რადგან კაზაკთა ერთი ასეული ოჩამჩირეში იდგა, პ. შატილოვმა, დრო რომ არ დაეკარგა მეორე ასეულის ბზიფის ოკრუგიდან ჩამოსაყვანად, ამასთანავე გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ შეენახა მისთვის მიცემული დავალება, გადაწყვიტა ეს ორი ბატალიონი და ოჩამჩირის კაზაკთა ასეული გამოეყენებინა დავალების შესასრულებლად. ზღვაზე ცუდი ამინდის გამო, გემში ჯარის ჩასხდომა 3 ნოემბრის ნაშუადღევამდე გაჭიანურდა.

მიხეილ შარვაშიძე იმხანად ოჩამჩირეში იმყოფებოდა. მასთან ერთად ოჩამჩირის სასახლეში იმყოფებოდნენ: აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე (1862-1869), მთავრის მოძღვარი, დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარდიაკვნები – ივანე თვალთვაძე და იოსებ ტიტვინაძე, მედავითნეები – გრიგოლ კასრაძე და ალექსი დგებუაძე, ასევე მისი მოსამსახურეები: ბაზიერი – ოტია კახიანი, მემიმინოვე – მანჩა შარაშენიძე, მემეძებრე – ბესო მიქელაძე და სხვები. ნოემბრის მშვენიერი, თბილი ამინდები იდგა. მიხეილ შარვაშიძეს ნადირობა მოესურვა და ტყვარჩელის აბანოების მახლობლად, სოფელ კვასკესკენ გაემართა ამალით.

3 ნოემბრის მთვარიანი ღამე იყო. დაახლოებით 11 საათი იქნებოდა, როცა ოჩამჩირის ნავსადგურში სამი გემი შევიდა, საიდანაც ჯარი სასწრაფოდ გადმოსხდა. მას შეუერთდა ოჩამჩირეში მდგარი კაზაკთა ასეულიც. ჯარმა ალყა შემოარტყა ყოფილი მთავრის სასახლეს და ყოველი ღონე იხმარა, რომ იქიდან არავინ გასულიყო. ყოფილი მთავრის უფროსი მსახური და მოლარე ქუთია კოზმავა მიხვდა, რომ ეს ჯარი სასიკეთოდ არ იქნებოდა მოსული, თვალსა და ხელს შორის გასხლტა და თავის ბატონთან გაიქცა ამბის შესატყობინებლად.

4 ნოემბერს, განთიადისას, დაახლოებით 5 საათზე, პ. შატილოვმა შეძლო კაზაკთა ასეულის და ქვეითთა ორი ასეულის სოფ. კვასკეში გაგზავნა პოდპოლკოვნიკ კუტაისოვის მეთაურობით. კოლონას აბეუის ოკრუგის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მაიორი ი. კიშელსკი ახლდა. 6¼ საათზე პ. შატილოვი თვითონაც დაიძრა სოფელ კვასკესკენ ერევნის პოლკის ორი ბატალიონით, ხოლო ამ პოლკის ორი ასეული ოჩამჩირეში დატოვა. პ. შატილოვი ფიქრობდა, რომ მიხეილ შარვაშიძე ადვილად არ დანებდებოდა, წინააღმდეგობას გასწევდა და შეიძლებოდა აფხაზები აჯანყებულიყვნენ, ამიტომ გაგზავნა ამდენი ძალა და შემდეგ კვასკესკენ თვითონაც გაემართა. ოჩამჩირეში დატოვებული ნაწილი კი დაბას შემოერტყა და არავის უშვებდა.

ქუთია კოზმავამ რუსთა რაზმს დაასწრო და ყოფილი მთავრის გაფრთხილება მოასწრო. მიხეილ შარვაშიძემ რამდენიმე ერთგული კაცი იახლა და სოფელ გუფუსკენ გაემართა მარშანიებთან, უმცროსი შვილის არზაყანის (მიხეილის) გამზრდელებთან და დახმარება სთხოვა, მაგრამ მარშანიებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს, რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებს ომში გაუწვრთნელი აფხაზები წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ და ტყუილად სისხლი დაიღვრებაო. მიხეილ შარვაშიძე ბედს შეურიგდა და გუფუდან ჯარის შესახვედრად გაემართა.

პ. კუტაისოვის კოლონამ კვასკეში მიხეილ შარვაშიძეს ვერ მიუსწრო. ღამის 11 საათზე პ. შატილოვიც ჩავიდა კვასკეში, სადაც მას აცნობეს, რომ მიხეილ შარვაშიძე სოფელ გუფუს გავლით დალის მიმართულებით გაიქცა და რომ მისი მომხრეები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს რუსის ჯარი აფხაზეთს აიკლებდა, საპატიო კაცებს აიყვანდნენ, ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებულიც იყო სოხუმში და ა.შ. ამ ხმების გამო მოსახლეობა სოფლებს ტოვებდა და ტყეს აფარებდა თავს. პ. შატილოვმა გარკვეული ზომები მიიღო ხალხის დასამშვიდებლად და გუფუსკენ გაემართა. ამ დროს მაიორ ი. კიშელსკისთან მიხეილ შარვაშიძის გამოგზავნილი კაცი მოვიდა, აუხსნა კვასკედან ყოფილი მთავრის გაქცევის მიზეზი და მასთან შესახვედრად სოფელ თხინაში მიიწვია. პ. შატილოვმა მიხეილ შარვაშიძესთან შესახვედრად დაუყოვნებლივ გააგზავნა ი. კიშელსკი და პ. კუტაისოვი, რომელთაც დაავალა იგი ქუთაისში დაუყოვნებლივ წასვლაზე დაეყოლიებინათ.

დაახლოებით 2.30 სთ. შატილოვმა კუტაისოვისგან ცნობა მიიღო, რომ ისინი მიხეილ შარვაშიძესთან ერთად სოფელ კვასკესკენ მიემართებოდნენ. ამ ცნობის მიღებისთანავე პ. შატილოვიც იქით გაემართა. როდესაც იგი კვასკეში ჩავიდა, იქ დახვდა დაახლოებით ერთი საათის წინ ჩასული მიხეილ შარვაშიძე. იგი თავის გაქცევას იმ პანიკური შიშით ხსნიდა, რომელიც ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ გამოიწვია. ყოფილი მთავარი დარწმუნებული იყო, რომ ქუთაისში უნდა გაეგზავნათ და აღნიშნა, რომ სრულიად ემორჩილებოდა ბრძანებას, ამასთანავე, მოსამზადებლად და ოჩამჩირეში ქონების გარკვეული ნაწილისთვის თავის მოსაყრელად დრო ითხოვა. პ. შატილოვმა დაუდასტურა მას ქუთაისში დაუყოვნებლივ გამგზავრების აუცილებლობა და აუხსნა, რომ ჯარის მეთვალყურეობის ქვეშ მისი დატოვება ხალხის თვალში უხერხული იქნებოდა. მიხეილ შარვაშიძემ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს შესთავაზა კაზაკთა ასეული და ქვეითთა ჯარი ოჩამჩირეში გაეგზავნა და პირობა მისცა, რომ შეასრულებდა ბრძანებას მხარის დატოვების შესახებ. პ. შატილოვმა ჩათვალა, რომ მის სიტყვაზე დანდობის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ პ. კუტაისოვმა ურჩია არ გამოეცხადებინა მისი დაპატიმრება, თუ ის ბრძანებას დაემორჩილებოდა. ამიტომ პ. შატილოვმა მიხეილ შარვაშიძეს არ გამოუცხადა, რომ ის დაპატიმრებული იყო.

მიხეილ შარვაშიძე კვასკეში და შემდეგ ოჩამჩირეში ჩაყვანამდე უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყველა განკარგულებას, ამიტომ პ. შატილოვს მის მიმართ მკაცრი ზომები არ მიუღია. ხალხის მღელვარება, რაც გამოწვეული იყო 4 ნოემბერს ოჩამჩირიდან კვასკესკენ ჯარის მსვლელობით, ჩვეულებრივი ადმინისტრაციული განკარგულებებით ჩაწყნარდა. პ. შატილოვმა მიხეილ შარვაშიძეს ახსნა-განმარტება მოსთხოვა ოსმალეთთან მისი ურთიერთობის შესახებ. მიხეილ შარვაშიძე თავს იმართლებდა, რომ ეს იყო უბრალო თხოვნა მისი და მისი ოჯახის იერუსალიმში წასვლის შესახებ.

მიხეილ შარვაშიძის ოჩამჩირეში ჩაყვანის შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ ის ქუთაისში უნდა გამგზავრებულიყო. პ. შატილოვის ცნობით, საერთოდ, ხალხში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებული თანაგრძნობა ყოფილი მთავრისადმი. ოჩამჩირეში თავი მოიყარეს სოხუმისა და ბზიფის ოლქების თავად-აზნაურებმა. მათ გამოუცხადეს, რომ ნებას რთავდნენ მთავარი გაეცილებინათ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც მის გაქცევაში მონაწილეობდა, მაგრამ პ. შატილოვმა საჭიროდ არ ჩათვალა მათი დასჯა, რადგან ისინი ყოფილ მთავართან დაახლოებული პირები იყვნენ და ეს სხვანაირად იქნებოდა აღქმული. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ იმიტომ გაიქცა, რომ მაშინ მიხეილ შარვაშიძესთან ერთად იყვნენ კვასკეში და ჯარის მოულოდნელი გამოჩენის გამო, შიშით მოქმედებდნენ.

4 ნოემბერს დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ მიიღო მთავარსარდლის ბრძანება მიხეილ შარვაშიძის ნოვოროსიისკში გაგზავნის შესახებ და აფხაზეთში მაშინვე გააგზავნა საგანგებო დავალებათა მოხელე, შტაბს-კაპიტანი ნ. დობრჟანსკი, შესაბამისი მიწერილობით. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი პ. შატილოვს უბრძანებდა აფხაზეთის ყოფილი მთავარი დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ნოვოროსიისკში, სადაც ის შემდგომ განკარგულებას დაელოდებოდა. ბრძანება უსათუოდ უნდა შესრულებულიყო, თუნდაც იარაღის გამოყენებითაც კი. მიხეილ შარვაშიძე ნოვოროსიისკში უნდა გაეცილებინა

სანდო ოფიცერს, რომელიც მას იქაურ გარნიზონის უფროსს ჩააბარებდა. სურვილის შემთხვევაში, ყოფილ მთავარს შეეძლო თან წაეყვანა მცირეწლოვანი შვილი და სამი მოსამსახურე. მთავარსარდალმა მიიღო გადაწყვეტილება, მიხეილ შარვაშიძე ნოვოროსიისკიდან სტავროპოლში გაეგზავნათ, სადაც იმპერატორის შემდგომ განკარგულებას დაელოდებოდა. 5 ნოემბერს დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ შატილოვს აცნობა, რომ მეფისნაცვალმა აფხაზეთის ყოფილი მთავრის გამცილებლად ნოვოროსიისკამდე და იქიდან სტავროპოლამდე საგანგებო დავალებათა მოხელე, შტაბს-კაპიტანი, თავადი მიხეილ ამირეჯიბი დანიშნა.

გადასახლება ოჩამჩირეში მიხეილ შარვაშიძემ შეამჩნია, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. ამაში ის კიდევ უფრო დარწმუნდა, როდესაც ოსმალეთთან ურთიერთობის გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. 6 ნოემბერს მან დ. სვიატოპოლკ-მირსკის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ ასეთი მოპყრობა გაუკვირდა. ის თავს იმართლებდა, რომ ოსმალეთიდან გემი იერუსალიმში წასასვლელად მოითხოვა და ვერაფრით იფიქრებდა, რომ მთავრობისთვის ეს მიუღებელი იქნებოდა, მითუმეტეს, რომ მთავარსარდალს იერუსალიმში გამგზავრების ნებართვა ადრევე სთხოვა. ,,მენდეთ, – წერდა იგი, – მე ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ასე მიუღებელი იქნებოდა და არ იყო არაფერი საიდუმლო. იფიქრეთ, შემეძლო გამგზავრება საიდუმლოდ? რატომ მთვლიან მე ასეთ არაკეთილგონიერად? ამის შემდეგ რაა ჩემი სიცოცხლე!“

მიხეილ შარვაშიძის გამგზავრების დღედ 7 ნოემბერი დაინიშნა. ოჩამჩირის ნავ-სადგურში იდგა კორვეტი ,,სოკოლი“, რომელსაც ყოფილი მთავარი უნდა წაეყვანა. სანაპიროზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. პ. შატილოვიც ნაპირზე უცდიდა მიხეილ შარვაშიძის მოსვლას. როცა მთავარი ნავმისადგომზე მოვიდა, პ. შატილოვმა ის გემზე ააცილა. მიხეილ შარვაშიძემ ნაღვლიანად გადმოხედა ნაპირს, თითქოს გრძნობდა, რომ უკანასკნელად ხედავდა მშობლიურ მხარეს, გული აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა და მზერა მოარიდა. გემი დაიძრა და ფოთის მიმართულებით გაემართა, მაგრამ მალე კურსი შეცვალა და ნოვოროსიისკისკენ აიღო გეზი. ოჩამჩირის ნავსადგურში თავმოყრილმა ხალხმაც დაინახა გემის კურსის შეცვლა და მიხვდა, რომ უკანასკნელად ხედავდნენ მთავარს, მაგრამ დაბაში დატოვებული ჯარის შინით პროტესტის გრძნობა გულში ჩაიკლა.

იმავე დღეს პ. შატილოვმა დ. სვიატოპოლკ-მირსკის დეპეშით აცნობა, რომ 7 ნოემბერს, ნაშუადღევს, 5 საათსა და 30 წუთზე მიხეილ შარვაშიძე კორვეტ ,,სოკოლით“ ოჩამჩირიდან ნოვოროსიისკში გაამგზავრა შტაბს-კაპიტან ნ. დობრჟინსკის თანხლებით. შტაბს-კაპიტანი მ. ამირეჯიბი, რომელსაც მიხეილ შარვაშიძე უნდა გაეცილებინა, თბილისიდან მხოლოდ 5 ნოემბერს საღამოს ჩავიდა ქუთაისში, სადაც მას გადაეცა მიწერილობები ნოვოროსიისკიდან სტავროპოლამდე სამხედრო გარნიზონების უფროსებისადმი და დაუყოვნებლივ გაიგზავნა ოჩამჩირეში, თუმცა ყოფილ მთავარს ვერ ჩაუსწრო და მის კვალდაკვალ გაემგზავრა.

მიხეილ შარვაშიძეს მხოლოდ რამდენიმე მსახური ახლდა. ნებართვის მიუხედავად, მას მცირეწლოვანი შვილი მიხეილი (არზაყანი) თან არ წაუყვანია. დ. სვიატოპოლკ-მირსკი თვლიდა, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა ბავშვის თბილისში გაგზავნა უფროს ძმასთან გიორგისთან, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი წოდების შესაფერისად აღზრდა.

პ. შატილოვის დეპეშის მიღებისთანავე, დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ 7 ნოემბერს ასევე დეპეშით აუწყა მთავარსარდალს მიხეილ შარვაშიძის ნოვოროსიისკში გადაგზავნის შესახებ. აქვე აღნიშნავდა, რომ ამას წინააღმდეგობა არ მოჰყოლია და აფხაზეთში სიმშვიდე იყო. თავის მხრივ, დიდმა მთავარმა დ. მილიუტინს აცნობა, რომ მიხეილ შარვაშიძის დაპატიმრება და აფხაზეთიდან გაყვანა მშვიდობიანად დამთავრდა და საზოგადოებრივი წესრიგი არ დარღვეულა.

მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთიდან გაყვანის შემდეგ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა შეიმუშავა ღონისძიებების გეგმა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელი იყო აფხაზეთში სიმშვიდის შესანარჩუნებლად და ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად. ეს წინადადებები მან კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ა. კარცოვისადმი 10 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა. დ. სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, აუცილებელი იყო: აფხაზეთის ყოფილი მთავრისა და მისი შვილებისათვის აეკრძალათ ამ ქვეყანაში ცხოვრება; მისი მამულები გადაცემოდა ხაზინას; საგანგებო კომისიას შეეფასებინა მამულები და შესაბამისი თანხა ყოფილი მთავრის მემკვიდრეთა ქონებად ჩაეთვალათ; მიხეილ შარვაშიძეს შენარჩუნებოდა საკუთარი მოძრავი ქონების სრული განკარგვის უფლება.

დ. სვიატოპოლკ-მირსკის გეგმა მთავარსარდალმა მოიწონა, ხოლო აფხაზეთის ყოფილი მთავრის უძრავი ქონების შესაფასებლად საგანგებო კომისია შეიქმნა სამი კაცის შემადგენლობით. მის თავმჯდომარედ მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, გენერალ-მაიორი ი. ბართოლომეი დაინიშნა.

აფხაზი თავად-აზნაურები. XIX ს. მე-2 ნახევარი

მიხეილ შარვაშიძე ნოვოროსიისკში ჩაიყვანეს და იქაური გარნიზონის უფროსს ჩააბარეს, მაგრამ მალევე, შტაბს-კაპიტან მ. ამირეჯიბის თანხლებით, ის სტავროპოლში გადააგზავნეს უკვე ყოველგვარი პატივის გარეშე. 23 ნოემბერს მიხეილ შარვაშიძე სტავროპოლში ჩაიყვანეს და სასტუმრო ,,ევროპაში“ დააბინავეს, სადაც აფხაზეთის ყოფილ მთავარს შვიდი ოთახი ეჭირა ცალკე შესასვლელით. მასთან იმყოფებოდა მ. ამირეჯიბიც. მიხეილ შარვაშიძეს პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობა დაენიშნა, ამასთან ორი კაზაკი მიუჩინეს შიკრიკად. სასტუმროში ღამით ორ გუშაგს აყენებდნენ თითქოსდა წესრიგის დასაცავად, რომელთაც დღისით ხსნიდნენ. ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ მიხეილ შარვაშიძისთვისაც ცნობილი იყო. ხელისუფლება ფრთხილობდა: ამირეჯიბი ავად იყო. მას თვალები სტკიოდა, აფხაზეთის ყოფილ მთავარს კი შვიდი მოსამსახურე ახლდა. ამითაც იყო გამოწვეული ეს სიფრთხილე, თუმცა ალბათ უსაფუძვლოდ. მიხეილ შარვაშიძე სერიოზულად იყო ავად და ნაცნობების გარდა არავის იღებდა. სტავროპოლში ის მოინახულა მამედ გირეი იასოვმა, რომელიც ადელ გირეი ნაჩაევთან და კიდევ რამდენიმე ყარაჩაელთან და ნოღაელთან ერთად ა. კარცოვთან თბილისში მიემგზავრებოდა.

7 დეკემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწემ, გენერალ-ლეიტენანტმა ა. კარცოვმა ყუბანის ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ მ. ოლშევსკის მისწერა, რომ მიხეილ შარვაშიძე სტავროპოლში დარჩენილიყო შემდგომ განკარგულებამდე, სანამ მისი საცხოვრებელი ადგილი საბოლოოდ განისაზღვრებოდა.

1865 წლის 15 იანვარს მიხეილ რომანოვმა დ. მილიუტინს ვრცელი წერილი გაუგ-ზავნა. ის წერდა, რომ, რადგან მიხეილ შარვაშიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სუსტი იყო და ჩრდილოეთის კლიმატს ვერ გადაიტანდა, შესაძლებლად მიაჩნდა მის საცხოვრებლად განსაზღვრულიყო ხარკოვი, ვორონეჟი ან სამხრეთ რუსეთის რომელიმე სხვა ქალაქი. ამასთანავე, იგი შეეხო მიხეილ შარვაშიძის ოსმალეთთან კავშირის საკითხს, რაც შეუფერებლად მიაჩნდა მისი წოდებისთვის, და რადგანაც აფხაზეთში ყოფნისას იგი სამსახურიდან დათხოვნას ითხოვდა, წინადადება წამოაყენა მისთვის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტის წოდება ჩამოერთმიათ; აგრეთვე, აღძრა შუამდგომლობა, მისთვის პენსიის დანიშვნის თაობაზე. მეფისნაცვლის აზრით, ყოფილი მთავარი არ უნდა შეეზღუდათ ოჯახის წევრებისა და თანმხლებ პირთა შერჩევაში, რომელთაც ის თან წაიყვანდა. მითუმეტეს, როდესაც მას შესაბამისი ანაზღაურება დაენიშნებოდა, თანმხლებ პირებზე ხარჯები უკვე არა ხაზინის, არამედ მისი პირადი საქმე იქნებოდა. სულ მალე, 2 თებერვალს დ. მილიუტინმა მიხაილ რომანოვს აცნობა, რომ იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე დათხოვნილია სამსახურიდან მიზეზის დაუსახელებლად, ხოლო მის საცხოვრებლად ქ. ვორონეჟი განისაზღვრა. ვორონეჟის გუბერნატორს უნდა დაჰკისრებოდა თვალყურის დევნება მის გაუსვლელობასა და შემდგომ ქცევაზე; მიხეილ შარვაშიძეს და მისი ოჯახის წევრებს ენიშნებოდათ შესაბამისი ჯამაგირი.

სტავროპოლის ცივმა კლიმატმა უარყოფითად იმოქმედა მიხეილ შარვაშიძის ჯანმრთელობაზე. იგი უფრო ცუდად გახდა და დახმარების გარეშე ოთახში გადაადგილებაც არ შეეძლო. 7 მარტს მან კავკასიის არმიის მთავარსარდალსა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარს მიხაილ რომანოვს წერილი გაუგზავნა და თავისი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა აუწყა. ის იმპერატორთან შუამდგომლობას ითხოვდა, რათა ნება დაერთოთ მისთვის სამკურნალოდ გერმანიაში ან საფრანგეთში წასულიყო, ხოლო დაბრუნებულისთვის საცხოვრებლად განესაზღვრათ კავკასიის მხარე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ვლადიკავკაზი ან პიატიგორსკი, სადაც კლიმატი უფრო ასატანი იქნებოდა როგორც მისთვის, ისე მისი შვილებისთვის, რომლებთანაც სურდა დარჩენილი დღეები გაეტარებინა. ყოფილი მთავარი მთავარსარდალს სთხოვდა გაეთვალისწინებინა 60 წლის მოხუცის თხოვნა, მისი 42 წლის არცთუ უსარგებლო სამსახური და დიდი ხნის ავად-მყოფობა. ამასთანავე, ის სურვილს გამოთქვამდა სამშობლოში დაეკრძალათ.

8 მარტს მიხეილ შარვაშიძემ ასეთივე შუამდგომლობის თხოვნით მიმართა სამხედრო მინისტრს დ. მილიუტინს, მაგრამ მისგან უარი მიიღო. მთავარსარდალიც ნაწყენი იყო მისი ოსმალეთთან ურთიერთობის გამო. როგორც ა. კარცოვმა მიხეილ შარვაშიძეს აუწყა, დიდი მთავარი საზღვარგარეთ მისი გაშვების წინააღმდეგი იყო, მითუმეტეს, რომ უკვე მოსული იყო იმპერატორის ბრძანება აფხაზეთის ყოფილი მთავრის საცხოვრებლად ვორონეჟის განსაზღვრის შესახებ. ამის შემდეგ მას შუამდგომლობის თხოვნით ვორონეჟის გუბერნატორისთვის უნდა მიემართა.

უკანასკნელი გზა

მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ არ კარგავდა აფხაზეთში დაბრუნების იმედს, მაგრამ ამაოდ. 1865 წლის 25 მაისს სტავროპოლიდან გავიდა კოლონა, რომელსაც აფხაზეთის ყოფილი მთავარი ვორონეჟში უნდა ჩაეყვანა. ნოვოროსიისკიდან როსტოვამდე გზად მიხეილი ცუდად გახდა. 23 ივლისს მან როსტოვიდან დეპეშით აუწყა სამხედრო მინისტრს, გენერალ-ადიუტანტ დ. მილიუტინს თავისი მძიმე მდგომარეობა და იმპერატორთან შუამდგომლობა სთხოვა. ყოფილი მთავარი ითხოვდა დაეტოვებინათ სამხრეთ რუსეთის რომელიმე ქალაქში: როსტოვში, ტაგანროგში, ოდესაში ან ნოვოჩერკასკში, რადგან ცენტრალური რუსეთის მკაცრი კლიმატი მასზე და მის სამ არასრულწლოვან შვილზე ცუდად იმოქმედებდა. მიხეილ შარვაშიძე დარწმუნებული იყო, რომ მთავრობისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა სად იცხოვრებდა ის, ვორონეჟში თუ სამხრეთ რუსეთის რომელიმე ამ ქალაქში, ამიტომ ჩათვალა, რომ მის თხოვნას დააკმაყოფილებდნენ და როსტოვში ჩამოაყვანინა ბავშვები – არზაყანი (მიხეილი) და ნინო, ელოდა უმცროს ასულსაც. 25 ივლისს დ. მილიუტინმა მიხეილ შარვაშიძეს აცნობა, რომ მისი თხოვნა ალექსანდრე II-ს გააცნო, მაგრამ ამ უკანასკნელმა განკარგულების უსიტყვოდ შესრულება ბრძანა. იმავდროულად, დ. მილიუტინმა კავკასიის არმიის მთავარსარდალს მიხეილ შარვაშიძის დეპეშის შინაარსი და იმპერატორის გადაწყვეტილება აუწყა.

1865 წლის 29 ივლისს როსტოვიდან გავიდა კოლონა, რომელმაც აფხაზეთის ყო-ფილი მთავარი 17 აგვისტოს ვორონეჟში ჩაიყვანა. მიიწურა ზაფხული, გაილია სექტემბერ-ოქტომბრის შედარებით თბილი დღეები და ნოემბრიდან უკვე საკმაოდ აცივდა. შესაბამისად, მიხეილ შარვაშიძის მდგომარეობაც დამძიმდა. ბავშვები ვერ იტანდნენ რუსეთის მკაცრ კლიმატს და 30 გრადუსიან ყინვაში მუდმივად ავადმყოფობდნენ, რის გამოც მოხუცი, ავადმყოფი მთავრის ტანჯვა კიდევ უფრო იზრდებოდა. 23 დეკემბერს მან წერილი გაუგზავნა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, დიდ მთავარს მიხაილ რომანოვს, აუწყა მისი და შვილების მძიმე მდგომარეობა, შეახსენა, რომ სტავროპოლში ყოფნისას სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაშვებას ითხოვდა, რაზეც უარი მიიღო და ამჟამად ითხოვა უფროსი შვილის გიორგის შვებულებით დათხოვნა სამსახურიდან ერთი წლით, რათა მა-მასთან ჩასულიყო; მოხუცს სასიამოვნოდ დარჩებოდა, რომ გიორგი სიკვდილის წინ მის გვერდით იყო. იმავე დღეს მიხეილ შარვაშიძემ გიორგის შესახებ ასეთივე შუამდგომლობა კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწეს ა. კარცოვს სთხოვა.

1866 წლის დასაწყისში, ძმამ, კონსტანტინემ, მიხეილს ვორონეჟში უმცროსი ასული ბარბარე ჩაუყვანა, რაც ავადმყოფს დიდად ესიამოვნა. მარტში ა. კარცოვმა აფხაზეთის ყოფილ მთავარს აუწყა, რომ მისი საზღვარგარეთ გაშვება მთავარსარდლის უფლებებს აღემატებოდა, ამიტომ ასეთი თხოვნით მას შინაგან საქმეთა ან სამხედრო მინისტრისთვის უნდა მიემართა ვორონეჟის გუბერნატორის შუამდგომლობით. რაც შეეხება გიორგის შვებულებით გათავისუფლებას ერთი წლით, იგი ატყობინებდა, რომ მთავარსარდალმა ეს შეუძლებლად ჩათვალა მას-ზე დაკისრებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალების შესრულებამდე.

შეიძლება ეს იყო ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აფხაზეთის ყოფილი მთავრის სიმწრის ფიალა შეავსო. მალე, 16 აპრილს, მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გარდაიცვალა. ივლისში მისი ნეშტი აფხაზეთში ჩამოასვენეს, რათა ანდერძისამებრ სამშობლოში დაეკრძალათ.

გიორგი შარვაშიძეს მამის დაკრძალვაზე აფხაზეთში ჩასვლის ნება დართეს. ხელისუფლება არეულობას მოელოდა. ყოფილი მთავრის ძმამ კონსტანტინემ თავდებობა იკისრა, რომ წესრიგი და სიმშვიდე იქნებოდა, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ პრევენციული ზომები მაინც მიიღო და საეჭვო პირები წინასწარ დააპატიმრეს.

მიხეილ შარვაშიძის დაკრძალვაზე მოქვში თავი მოიყარეს აფხაზეთის მმართველობის შეცვლით უკმაყოფილო ძალებმა. მთავრის დატირებამ ადგილობრივი წესით, მისი ოჯახის წევრებისა და, განსაკუთრებით, უფროსი შვილის გიორგის იქ ყოფნამ ხალხში გააცოცხლა მოგონებები და ნოსტალგია წარსულზე. დაკრძალვაზე სრული წესრიგი იყო, თუმცა ხალხი ფარული უკმაყოფილების გრძნობით დაიშალა. სულ მალე, 26 ივლისს, რუსული მმართველობის დამყარებიდან ორი წლის თავზე, აფხაზეთში კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყება დაიწყო.

მიხეილ შარვაშიძე მოქვის ტაძარში დაკრძალეს მეუღლის – ალექსანდრა გიორგის ასულ დადიანის გვერდით. უკანასკნელი სურვილი მაინც შეუსრულდა აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს – მშობლიურმა მიწამ მიიბარა მისი ნეშტი. საფლავის ქვაზე ქართული ასომთავრული წარწერა გვაუწყებს: ,,აქ განისვენებს მთავარი აფხაზეთისა მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძე, მიცვალებული 1866 წელსა“.

ირაკლი ნადარეიშვილი

ხატის ყმა

ჰეი, შენ, შავჩოხიანო!
რად გაგიხვითქავს ქურანი?
საით გიჭირავს გზა-კვალი,
ან რად ხარ აგრე მდუმარი?!

ჩამოქვეითდი, აქ მოდექ,
წარბი გახსენი, მჭმუნვარი,
ლუკმა გატეხე მთის წესით,
იყავ მოხუცის სტუმარი.

ფხოვის ხატის ყმა გახლავარ,
ჯვარს მივალ, ამაღლებასა,
უნდა შევსთხოვო, მომასწროს
ამ ქვეყნის გალაღებასა.

ძე მომცეს კოშკის დარაჯად
და მეციხოვნედ ხევისა,
ხატისშვილობის მადლის და
მცველად წინაპართ წესისა...

დაგლოცავთ, მერე ნუ მიწყენთ
ვშიშობ, არ დამიგვიანდეს,
დღეობას ვეღარ მივუსწრო,
თვალები ამიწყლიანდეს,

ხევისბერს ვეღარ შევკადრებ,
ხატ ჩემად დაბრძანებასა
ნაგვიანები ვერ მივალ,
ვერ გავუბედავ მთხვევასა...

მშვიდობით დარჩი, მოხუცო,
გფარავდეს მადლი ჯვარისა,
იმედად გაუჩენიხარ უფალს,
დამაშვრალ მგზავრისა...

სახელი მითხარ, უცნობო,
ხატს რომ ვახსენო ლოცვისას,
შენად დავანთო სანთელი
ზვარაკ-სამსხვერპლოს ხოცვისას.

სიკვდილი მქვია, ხატის ყმავ,
სახელი ყველა გლოვისა,
შენს წასაყვანად მოვსულვარ
იმედო ფშავ და ფხოვისა.

ძაძები უნდა მეხილა
შენი დედის და ცოლისა,
საფლავს რომ დარდით ჩამედე,
სასურველ ძის არ ყოლისა.

მაგრამ შემძარი, მომნუსხე…
ყმა გავხდი სიტყვის ძალისა,
ჯვრის ძალით რაკი დამლოცე,
შენც გდევდეს ძალა ჯვარისა,

მშვიდად გასწიე სალოცავს,
იყავ მოწილე ლხინისა,
ჯვართამაღლებას, ვინა სთქვა
სიკვდილი ხატის შვილისა?

ყველა წადილი აგიხდეს
გამრიგე ღმერთის ნებისა,
არ გადაშენდეს ამქვეყნად
ყმა შენი ჯიშ და გენისა...

ჰეი, შენ, შავჩოხიანო!
მადლი ჯვარ-ხატის ყმობასა,
მოგასწროს ბერი ლუხუმის
შედგომას ლაშარ-გორასა…

ნუ დაყოვნდებით

მე მომიტევეთ, არ ვიღებ სტუმრებს,
არ გიმასპინძლებთ, თუნდაც ჩამქოლოთ,
ჰო, ეს სამყარო მუზების სისხლით
ჩემთვის შევქმენი მხოლოდ და მხოლოდ.

ჩემს სამყაროში ნუ დაყოვნდებით,
არ ღირს შემთხვევით შემოხეტებად,
აქ უსახლკარო ძრწიან ქარები
და ნერვები აქვთ აფრებს ღვედებად.

აქ უნიღბობის დგას ობელისკი,
აქ უწყლოდ ხარობს მუხა და ცაცხვი,
აქ უფეროა ყოველი ფერი…
არც ჭრილობაა, არც მისი საცხი.

აქ ზღვის წყლით ვიკლავ
ყოველღამ წყურვილს
და სირინოზთა ვისმენ სიმღერებს,
აქ ყველა ურჩხულს ნიშა აქვს მისი
და ამ ნიშებში ვხედნი ქიმერებს.

აქ, საშიშია, ნუ შეყოვნდებით!
აქ არ ხვდებიან ღიმილით სტუმართ,
აქ გულგრილობის დგას შადრევანი,
არავინ სძულთ და არავინ უყვართ.

ღამისსათევად ვერ ჰპოვებთ კუთხეს,
აქ არვინა სთვლემს და არვის სძინავს,
აქ მზე არ ათბობს, არ სუსხავს ყინვა,
აქ არვინ კვნესის და არვინ გმინავს.

ჰოდა, გასწიეთ, აბა, მშვიდობით!
ადგილს ვერ ნახავს ჩემთან ზრდასრული,
რადგან სამყაროს, რომელსაც მე ვქმნი,
არც საწყისი აქვს და არც სასრული...

აქ უსახლკარო გრძნობები ძრწიან,
აქ ყველა საგანს მე ვურჩევ ფერებს,
მე ვარქმევ სახელს მდაბალს და დიადს
ოდესღაც, მანდ რომ ვერ შეიფერეს.

აქ ცა მწვანეა და მინა ლურჯი,
აქ ძოწისფერი ქუხან ჩქერები,
ქარვისფერ მინდვრებს აქ ათოვს წითლად
და წვიმისფერი ფრენენ ბგერები.

აქ მე ვარ მხოლოდ არსთა გამრიგე,
მეფეც და მონაც, მიუსაფარი,
ჰო, ეს სამყარო შევქმენი ჩემთვის
და შემარჩინეთ ჩემად ზღაპარი.

გზაკვალარეულთ,
შემთხვევით მომხდურთ,
მორალის ნიღბით, ,,სპეტაკ“ სამოსში,
გაფრთხილებთ,
დიდხანს ნუ დაყოვნდებით,
რომ არ შთაინთქათ აზრთა ქაოსში...

აქ არ არსებობს მცნება-წესები,
დასარღვევი და დაურღვეველი,
რასაც ვგრძნობ, ამ წამს, ის არის წესიც,
დაწერილიც და დაუწერელიც.



მე მომიტევეთ, მივხურავ კარებს…
გზა გააგრძელეთ და სხვას ეწვიეთ,
ორპირში დგომა არ მხიბლავს, დღემდე,
ორპირებს მანდაც ვერ შეგეწიეთ...

ჩემს სამყაროში ნუ დაყოვნდებით,
აქ უსახლკარო გრძნობები ქრიან,
და ყველა ,,სტუმარს“ ერთი აქვს ბოლო,
აძრობენ ,,გვირგვინს“ და ნიღაბს ხდიან.

,,მიყვარხარს“ ნუ მეტყვი...

,,მიყვარხარს“ ნუ მეტყვი, აღარ მწამს
ამ სიტყვის,
,,მინდიხარ“ მითხარი, ნაკლებად ყალბია,
დღეს ყველა ,,მიყვარხარ“ ულმობელ
პრაგმატიზმს,
შემომხმარ ფოთლებად ,,ცალ ტოტზე“ აბია...

პირველი დუხჭირი გრიგალის ქროლვა და
იხილავ ,,მიყვარხარს“ ზნე-ფერის ცვალებას,
მოკვეთენ საშოდან, ისე, ვით ემბრიონს,
ვინ უცდის მის გაზრდას და გარდაცვალებას?!

გახდები მტვრიანი არქივის ნაწილი
და წამში, წარსულად ვინც გადაგაქცია,
ბანალურ სიტყვებით და პირზე ღიმილით,
იდგება უტიფრად შენს წინ, ვით მაქცია.

ფული და ვნებები მართავენ სამყაროს,
ერთმანეთს ვიყენებთ ხმარებად ნივთებად,
სტატუსებს ვმონებთ და გვირგვინებს
ვადიდებთ,
გულწრფელი გრძნობები ვაქციეთ მითებად...

ჩამოცხა, გრძნობებზე შეგვახმა ფოთლები
და ბოლო ყველაფრის თუ კუპრის ქვაბია,
იკმარე ცოდვები, ნუ მეტყვი ,,მიყვარხარს“,
,,მინდიხარ“ მითხარი, ნაკლებად ყალბია.

შ ე ჩ ე რ დ ი!

შეჩერდი!
ხელები სისხლით მაქვს მოთხვრილი,
საკუთარ გრძნობების ჯალათად მაქციე,
დღეიდან აღარ ვარ იღბალის მორჩილი,
ლილიტად ღალატით შენ გადამაქციე.

გამშორდი!
მეყოფა მე ჩემი ცოდვებიც….
გამშიგნე და ვითომ მიცოდებ ნაწამებს,
მკერდიდან გრძნობები შენ ამომაცალე,
ახლა კი ფრჩხილებით ვიფლითავ ნანლავებს.

ნუ შიშობ!
შენ მაინც არ გავნებ არაფერს,
თუმც შურისძიება გონს ბინდად ჩამოწვა,
დღეს სისხლით ვიხეხავ, სადაც კი მეფერე
და ყველა ნაკოცნი შანთით მსურს ამოვწვა...

შეჩერდი!
მანდ იდექ! შორიდან მიმზირე,
სისხლისგან დაცლილი გულით რომ ვიცინებ,
ყველაფერს, რასთანაც შენ გქონდა შეხება,
ჭუჭყივით ტანიდან რომ ჩამოვიცილებ...

მიყურე!
ვისერავ საკუთარ შეცდომებს,
აგითლი ხორციდან სარკასტულ ქილიკით,
უყურე! ერთ დროს რომ ანგელოზს ეძახდი,
თუ როგორ იცვლება ის ქალი ლილიტით...

მშვიდობით!
შენს თვალწინ მოგკალი ჩემს თავში,
იხილე შენდამი გრძნობების ხელყოფა,
ახლა კი გამშორდი და დიდხანს იცოცხლე,
ტანჯვისთვის შენ ჩემი სახელიც გეყოფა.

ნადიდგორალი გენისა...

ამ მთის გადაღმა ხევია,
ხევის პირს კოშკის ნაშალი,
დედაბრის ციხედ იცნობენ,
დროშად ეკიდა თავშალი...

ხევს ჩამოუდის ცხრა წყარო,
ცხრა ვაჟის ცხედრის განმბანი,
ცხრა სამარის ლოდს ახურავს
ხავსით ნაქარგი საბანი.

ცხრა მუხა უდგათ დარაჯად,
ცხრა თასი სავსე ღვინითა,
წყურვილმა რომ არ გასტანჯოთ,
მთვლემართ საღათას ძილითა...

მკათათვეს, მარაბდის ველზე,
ნათიბნი ავი ჟამისა,
ცხრა გმირი ჩამოასვენეს
ხერხეულიძის გვარისა...

წინ მოუძღოდათ ურემი
მათი დითა და დედითა,
ნადიდგორალი ალამის
მცველნი საკუთარ მკერდითა.

ძმებს მოუწვინეს ქალები,
ვით ძუ ლომები გვერდითა,
მიწა დატბორა ნაგვალი
ცრემლმა მნახველთა ფერხთითა...

მხოლოდ დედაბრის თვალები
ამაყი იყო რძალ-წულით,
ცხრა ძმის ნაფერებ-გამოზრდილ
იმ ნაბოლარა ქალწულით.

ცხრა ძმას რომ თავთან ესვენა,
შარავანდედად ნათლისა,
გმირი შვილების გამზრდელით,
ქცეულით დედად ქართლისა.

მას შემდეგ დედაბრის სული,
როგორც გუშაგი ღამისა,
დარაჯად უდგას სამარეს
დედის, დისა და ცხრა ძმისა.

დღესაც ბევრია მომგონი
მათი გმირობის ამბისა,
ცხრა ნასკვით გამონასკვული
დროშად ქცეული თავშლისა.

ღმერთო, დალოცე ქვეყანა…
ძმის გვერდით მებრძოლ დებისა,
რომ კვლავაც იბადებოდნენ
ნადიდგორალი გენისა.

მაკოცე!

მაკოცე! თიხისგან მოზელილ ტუჩებში,
მაქციე ხელახლა ასაზელ აყალოდ,
ნეკნისგან კი არა, გულისგან შეგქმნიდი,
ფეთქვისას რომ გეგრძნო თავი ჩემს
სამყაროდ...

მაკოცე! მოიკალ ჟინი და წყურვილი,
მაქციე საკუთარ სხეულის ნაწილად,
მაკოცე! დაგახრჩობს ეგ ჩუმი სურვილი,
მოიღე წყალობა სამგზის და სამწილად...

მაკოცე! იგრძენი იმ მიწის სურნელი,
იმ პირველყოფილი გრძნობებით მიგემე,
რაც გვქონდა შექმნისას, ცარიელ ედემში,
ის ცოდვის ნაყოფი ვიდრემდე იგემე.

როგორი იყავი?! შენ, ალბათ, წითური,
მზის სხივად გეფინა დალალი გავაზე,
მე, ალბათ – ჯმუხი და გონებით ბითური,
რაკიღა ვიარე შენს ნათქვამ-ნავალზე...

მაკოცე! შევერთდეთ ერთსულ და
ერთხორცად,
ხელახლა მოსაზელ გადვიქცეთ აყალოდ,
იმ პირველ სიშლეგით ჩაგიკრავ ძალუმად,
რომ თავი სამოთხის კარებზე ვახალოთ...

მაკოცე! ვით ევამ, სიმორცხვით კი არა...
და მეც ადამივით პირველად გიგემებ,
დამირჩი ჩემს ფერდზე პატარა იარად
და უედემობას არასდროს ვიგვემებ.

სიბერის მტერი...

ნესტოებს მივსებს, მიბიდნავს ფილტვებს,
ჩემგან გაქცეულ რითმების მტვერი,
ვერდასრულებულ ბავშვობის ტყვე ვარ
და შემოპარულ სიბერის მტერი.

ყოველ რიჟრაჟზე თავს ვუწყობ ამბოხს
და დღის მიწურულს ვმარცხდები ისევ,
დროის მდინარის დამშრალ კალაპოტს
ილუზიების ნაკადით ვივსებ...

საკუთარ გრძნობის, საკუთარ ,,მინდას“
ლეგიონები მოვსრე და ვლეწე,
კაცი, რომელიც სხვა სულით იშვა,
გადავზილე და ხელახლა ვძერწე...

დამიბრუნეო – მომძახის ქარი,
არა ხარ ღირსი გაუშლელ ფრთების..
გვიღალატეო – ჩამესმის ექო,
უხმოდ მყვირალი გაბუტულ მთების...

მე კი ყოველდღე კალენდრით ხელში,
მორიგ ამბოხის თარიღებს ვარჩევ
და ყოველ ღამით, კვლავ მარცხნაწვნევი,
თვალს გარდაუვალ სიბერეს ვაჩვევ.

ვერ ვეგუები, მიბინდავს სარკეს,
ჩემგან გაქცეულ რითმების მტვერი,
ვერდასრულებულ ბავშვობის ტყვე ვარ
და ჩასაფრებულ სიბერის მტერი...

ულამაზესი ქვეყნის საგანძური

თამაზ ჩიკვაიძე

1978 წელს ჩრდილოეთ ავღანეთში, ქ. *შიბირჯანის* გარეუბანში, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა უცნობ მეფეთა სამაროვნები. აღმოჩენა, რომელიც მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებმა საუკუნის აღმოჩენად მონათლეს. გაზეთი „ნიუ-იორკ *ტაიმსი*“ წერდა, რომ ავღანეთში აღმოჩენილი საგანძური მეტოქეობას უწევს ფარაონ *ტუტანჰამონის* აკლდამის საგანძურს. „დაახლოებით ოქროს 20 000 ნაკეთობა აღმოაჩინა საბჭოთა-ავღანურმა ექსპედიციამ ძველი *ბაქტრიის* ტერიტორიაზე“, – წერდა გაზეთი „*ტრუდი*“. „არავის შეეძლო ეოცნება ბამბის მინდვრებში მდებარე უბრალო მაღლობზე ასეთი საგანძურის აღმოჩენა“, – წერდა ამერიკული „*ტაიმსი*.“

ჩრდილოეთ ავღანეთში მდებარეობდა ძველი *ბაქტრიის* სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების მანძილზე გარკვეულ როლს ასრულებდა შუა აზიის სახელმწიფოთა ისტორიაში. არქეოლოგიური მასალები დოკუმენტური სიზუსტით გვიჩვენებს, რომ *ჩვ.* წ. აღ-მდე II ათასწლეულებში *ბაქტრიის* ტერიტორიაზე ყვაოდა მაღალგანვითარებული *მიწათმოქმედური* კულტურა. გამოვლენილია *ბაქტრიული* საზოგადოების მძლავრი კავშირები ინდოეთთან, ირანთან, ჩინეთთან. *ჩვ.* წ. აღ-მდე I ათასწლეულებში *ბაქტრიის* მეზობლად მდებარე ირანის ტერიტორიაზე შეიქმნა აქემენიდთა გვარის მეფეთა მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც ძალით დაიმორჩილა *ბაქტრიის* სახელმწიფო. ყოველწლიურად *ბაქტრიიდან* მძიმედ დატვირთულ ქარავნებს სპარსეთში მიჰქონდათ ხარკით გათვალისწინებული საქონელი. აქემენიდების სახელმწიფოს ძველ დედაქალაქ პერსეპოლისში დღესაც არსებობს ძველ სასახლეთა ქვის ბარელიეფებზე გამოსახული *ბაქტრიიდან* მომავალი ქარავნები.

ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნის დასაწყისში დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა თავის ცნობილ აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, დევნიდა რა უკანდახეულ სპარსელთა ჯარის ნაწილებს, მიაღწია აქემენიდთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრებს, რის შედეგადაც სხვა დაპყრობილ ტერიტორიებს შორის მოხვდა *ბაქტრიაც*.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისმა თანამებრძოლებმა დაინაწილეს დაპყრობილი ტერიტორიები, რის შედეგადაც მისმა სარდალმა *სელევკემ* შექმნა ახალი სელევკიდების სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც მოხვდა *ბაქტრიის* სახელმწიფო. *ახლადშექმნილი* სამეფოს ცენტრიდან დიდი დაშორების გამო უკვე ჩვენ წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში *ბაქტრიამ* დამოუკიდებლობა მოიპოვა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ბერძნულ-*ბაქტრიული* სახელმწიფო, რომლის ბირთვს შეადგენდნენ ბერძენი კოლონისტები და *ბაქტრიელი* დიდებულები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფომ მხოლოდ 100 წელი იარსება, მან მაინც ღრმა კვალი დატოვა ელინისტური მსოფლიოს ისტორიაში ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხანაში მისი ზეგავლენა ვრცელდებოდა როგორც სამხრეთ ავღანეთის, ისე ინდოეთის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რაც იწვევდა ამ კულტურების და ტრადიციების შერწყმას.

მდინარე ამუდარიის მარცხენა სანაპიროზე ბერძნებმა დააარსეს ქალაქი აი-ხანუმი. ეს იყო წმინდა ბერძნული ქალაქი და იგი იმეორებდა საბერძნეთის სხვა ქალაქების იერ-ასხეს. ანტიკური ავტორები *ბაქტრიას* ეძახდნენ „ათასი ქალაქის ქვეყანას,“ რაც ნათლად გვიხატავს ამ სახელმწიფოს აღმავლობას. მაგრამ ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნის შუალედში *ბაქტრიაში* იჭრებიან უთვალავი მომთაბარე ველური ტომები, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს ქვეყანას, დატოვეს რა გაძარცვული და დაფერფლილი ქალაქები. ამ ტომებს ბერძნები ეძახდნენ სკვითებს, ხოლო სპარსელები *საკებს*. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ აი-ხანუმს ჰქონდა მძლავრი, ერთი შეხედვით აუღებელი ციხესიმაგრეები და *ქალაქი* შემოსაზღვრული განიერი დამცავი კედლებით, რომელზეც თავისუფლად მოძრაობდა ოთხცხენშებმული ეტლი.

გადიოდა წლები და დამპყრობლებმა თვით დაიწყეს ქალაქის აღდგენა და ნელ-ნელა შეითვისეს ელინისტური კულტურის ელემენტები, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი *ქუშანის* იმპერია, რომლის ცენტრი გახდა *ბაქტრია*. არქეოლოგებმა ქალაქ *შიბირგანის* გარეუბანში, ძველ დასახლება ტილია-*ტეფეში* გადაწყვიტეს სამუშაოების ჩატარება. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, ტილია-*ტეფე* ნიშნავს ოქროს მაღლობს. მის გვერდით ბამბის მინდვრებში ისინი პოულობენ ოქროს ბევრ ნივთებს, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა, თაგვებს გამოჰქონდათ მეფეთა სამარხებიდან. 1978 წლის ნოემბრის დასაწყისში ექსპედიცია შეუდგა მუშაობას. ორკვირიანი მუშაობის შემდეგ გამოისახა მონუმენტური ნაკეთობის კონტური, რომელიც გამოირკვა, რომ იყო ამ ნაგებობის გამოქარვის შედეგად წარმოქმნილი მაღლობი. პირველი დღეების მუშაობის შედეგად ექსპედიციამ იპოვა მხოლოდ ერთი საინტერესო ნივთი. ეს იყო რკინის დაჟანგული სამაგრი, რომელშიც გაყრილი იყო მსხვილი ლურსმანი.

15 ნოემბერს ექსპედიციის წევრებმა შეამჩნიეს, რომ ერთ-ერთი მუშის ნიჩაბზე ყვითლად გაიბრწყინა პატარა მონეტის ზომის დისკომ. დაუყოვნებლივ შეწყდა მუშაობა და მუშები გადაყვანილი იქნენ სხვა უბანზე, ხოლო არქეოლოგებმა ჯაგრისებით სათუთად დაიწყეს ამ ადგილის გასუფთავება. ჩქარა გამოჩნდა ცუდად შენახული ძვლები და ნახევრად დაშლილი თავის ქალა. დაიწყო სამარხში ჩატანებული ოქროს ნივთების გულდასმით დასუფთავება და ამოღება. სასწრაფოდ ეცნობა ავღანეთის მთავრობას და ჩქარა უბანი დაიკავა გასამხედროებულმა დაცვამ. გაყვანილ იქნა ელექტროენერგია, დადგეს პროჟექტორები. მოიტანეს ორი საველე ვაგონი და დაწესდა 24 საათიანი მორიგეობა. სამარხი ორმო მიწის ზედაპირიდან 2 მეტრის სიღრმეზე იყო ზომებით 2,5 მეტრი და 1,3 მეტრი სიგანით. არქეოლოგების გაკვირვება გამოიწვია სამარხის პრიმიტიულმა მდგომარეობამ. მისი კედლები თიხითაც კი არ იყო შელესილი. სამაგიეროდ დადგინდა, რომ კუბო მთლიანად შეფუთული იყო ოქრომკერდით ნაქსოვი ქსოვილით, რომ მიცვალებული განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანი იყო. ეს ადვილად დადგინდა, ვინაიდან მისი საფლავიდან ამოღებული იქნა ოქროს 2,5 ათასი ნივთი. გვამი რამდენჯერმე იყო გახვეული ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში, რომელზეც დამაგრებული იყო ოქროს რამდენიმე ასეული გულსაბნევი.

მიცვალებულის ნივთებმა ექსპედიციას საშუალება მისცა დაედგინა გარდაცვლილის სქესი. პირველ რიგში ეს იყო სპილოს ძვლისაგან დამზადებული მინიატიურული ყუთი, რომელშიც ჩალაგებული იყო კოსმეტიკური ნივთები ისეთი ხარისხის, რომ დღევანდელი ქალბატონებიც არ იტყოდნენ უარს მასზე. ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ სამარხში ესვენა 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალი. ყელზე მიცვალებულს ეკეთა ოქროს მასიური ჯაჭვი, ხოლო ყურებთან ასევე ოქროს მასიური საყურეები. მათზე კონტრასტს ქმნიდა მარცხენა ხელის თითზე წამოცმული საკმაოდ გაცვეთილი ოქროს უბრალო ბეჭედი.

ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი „ოქროს“ სამაროვნის პირველი აღმოჩენით გამოწვეული აღფრთოვანება, რომ მალე გამოჩნდა მეორე სამაროვანი, რომელიც 2 მეტრის სიღრმეზე იყო. მიცვალებული აქაც შეფუთული იყო ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში, რომელზეც ერთ დროს დამაგრებული იყო ოქროს რამდენიმე ასეული გულსაბნევი. როდესაც თავთან გაწმენდილი იქნა მიწა, გამოჩნდა ტიარის მსგავსი ოქროს მასიური თავსაბურავი, რომელზეც ჩამოკიდებული იყო იშვიათი სილამაზის ოქროს ბურნუკები, ძველი ოსტატების ნამდვილი შედევრები. თითოეული ბურნუკის ცენტრში მოთავსებული იყო ადამიანის *მინიატიურული* ფიგურა, რომელსაც ფოცხვერის მსგავსი თვალები ჰქონდა. ის რომ სამარხში ნამდვილად მონარქი იყო დაკრძალული, ამაში არქეოლოგები მაშინვე დარწმუნდნენ, როცა ფიგურის თავზე ნახეს ასევე მინიატიურული გვირგვინი. გვირგვინის ორივე მხარეს დამაგრებული იყო დრაკონის მსგავსი ფრთოსანი ფანტასტიკური არსებები. ასეთი გვირგვინები ჰქონდათ ჩვენი წელთაღრიცხვის IV-VI საუკუნეების სასანიდურ მონარქებს და არქეოლოგებმა ივარაუდეს სამარხის ამ პერიოდში არსებობა. მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ მალე დაადგენდნენ რომელ პერიოდში იყო დაკრძალული *ბაქტრიელი* მონარქი. მიცვალებულს ყბის არე აკრული ჰქონდა ოქროს ლენტით, რომ სიკვდილის მომენტში იგი არ ჩამოვარდნილიყო. ლენტის მოხსნის და მიწაში ღრმად ჩასვლის შემდეგ გამოჩნდა მასიური ოქროს ფრთოსანი ქალის ფიგურა. მის მარცხენა მხარეს გამოჩნდა ასევე ფრთოსანი *ეროტის* ფიგურა, რომელსაც ხელები ჰქონდა წინ გამოშვერილი მშვილდით ხელში. მთელი ეს კომპოზიცია ეჭვს არ ბადებს, რომ ეს არის ბერძენი ქალღმერთი აფროდიტეს ტიპის ფიგურა, მხოლოდ არაპროპორციული ნაკვთებით, მოკლე ფეხებით და ვულგარულად გამობერილი მუცლით. რა თქმა უნდა, ამ დროს *ბაქტრიაში* იყვნენ ელინისტურ ხელოვნებას ნაზიარებია როგორც *ბაქტრიელი*, ისე ბერძენი ოსტატები, რომლებიც აფროდიტეს ასეთი მახინჯი ფორმებით არ შექმნიდნენ. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ აქ საქმე გვაქვს მომთაბარე ტომებში გავრცელებულ ქალღმერთის ფიგურასთან. და კიდევ ერთი მკვეთრად განსხვავებული შტრიხი. *ბაქტრიულ* აფროდიტეს მხრებზე წამოსხმული აქვს ფრთები. არც ბერძნული აფროდიტე, არც რომაული ვენერა არსად არ გვხვდება ფრთებით. ასეთი ფრთოსანი ქალღმერთები გავრცელებული იყო ბრინჯაოს ხანის *ბაქტრიაში*, რაც დოკუმენტურად დასტურდება ამ პერიოდის ბეჭდებზე. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ მე-2 ათასწლეულიდან მოხდა *ბაქტრიული* და ელინისტური კულტურების შერწყმა, რის შედეგადაც მივიღეთ ასეთი კომპოზიცია. *ბაქტრიულ* ქალღმერთს ხელში უჭირავს ბროწეული, აღმოსავლეთის ქალღმერთ *ანაჰიტას* განუყოფელი ატრიბუტი.

ყელზე მიცვალებულს ეკეთა მასიური ოქროს ყელსაბამი, რომელზეც ოქროს ფირფიტებთან ერთად ასხმული იყო სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი მძივები. სხეულის მთელი ზედა ნაწილი დაფარული იყო სხვადასხვა ფორმის ოქროს გულსაბნევებით. განსაკუთრებულად მდიდრულად იყო გაფორმებული ადრე არსებული ტანსაცმლის სახელოები, რომელზეც ჩაკერებული იყო მასიური ოქროს ამულეტი – *ტალისმანები*, რომლებსაც ჰქონდა სხვადასხვა ცხოველების ფორმები, თითოეულის წონა იყო 300 გრამი. მკერდზე მიცვალებულს ედო მრგვალი სარკე, რომელიც აჭრელებული იყო ჩინური იეროგლიფებით, რაც მის წარმომავლობას უეჭველს ხდიდა.

მიცვალებულს ფეხებთან იდო დიდი ვერცხლის ჭურჭელი და კალათი, რომელშიც ელაგა რკინის დიდი საბრძოლო ნაჯახი და სკვითური ტიპის დანა. როგორც ჩანს, აქ დაკრძალული იყო მეომარი. ფეხებთან იდო მასიური ოქროს წვივსაკრავები, რომელთა წონა 350 გრამი იყო. სამარხეულის მდიდრული ინვენტარის გათვალისწინებით აქ უეჭველად საზოგადოების განსაკუთრებით მაღალი მდგომარეობის პირი იყო დამარხული.

14 დეკემბერს არქეოლოგებმა მიაკვლიეს მესამე სამარხს. მიწის უკანასკნელი სანტიმეტრების მოცულობის შემდეგ, მათ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშალა. მთელი სამაროვანი განადგურებული იყო თაგვების მიერ. მათი არაერთი შთამომავლობა ღრღნიდა როგორც თვლებს, ისე ოქროს ნივთებს. გამოჩნდა სამი დიდი სორო, რომლებიც სამი მეტრის სიღრმეზე ჩადიოდა. ყველა სოროდან არქეოლოგებმა ამოიღეს ოქროს 1000-მდე წვრილი ნივთი: გულსაკიდები, მძივები, ღლები. ამ სამაროვნის გამოკვლევის შემდეგ გასაგები გახდა ამ გორაკის დასახლება ტილი-*ტეფე* (ოქროს გორაკი). ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მინდვრებში პოულობდა ოქროს ნივთებს, ალბათ ამ სამაროვნიდან იყო. მიცვალებულის თავთან გამოჩნდა მასიური

გაგრძელება გვ.10 ▶

ნესტან სულავა – მეცნიერი, ლექტორი და პიროვნება

ვახტანგ ინაური

ნესტან სულავა – ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უპირველესი რუსთველოლოგი. იგი იკვლევს ქართულ მწერლობას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება, 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1976-1977 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, ლათინური ენის მასწავლებელი. 1976-1984 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების სწავლული მდივანი. 1990-1991 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მოწვეული ლექტორი. 1993-1998 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიის კათედრის ლექტორი. 1985-1997 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1998-1999 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1998-2006 წლებში – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრის მოწვეული პროფესორი. 1999-2006 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 2006 წელს მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, იყო რუსთველოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 2007-2009 წლებში – საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2017 წელს – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. 2013-2017 წლებში – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის მოწვეული პროფესორი. 2007-2018 წლებში – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით. 2009 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი. არის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი.

საკანდიდატო დისერტაციის თემა — „რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია“. დაიცვა 1978 წელს. სადოქტორო დისერტაციის თემა — „მე-12-13 საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის მხატვრული სპეციფიკა“. დაიცვა 1997 წელს.

პროფესორ ნესტან სულავას ძირითადი კვლევის ობიექტი ძველი ქართული მწერლობაა, რომელიც ფართოდაა ასახული მის წიგნებსა და პუბლიკაციებში. ამ მხრივ მან ახალი საჩუქარი უძღვნა მეცნიერებს, სტუდენტებსა და ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს. თსუ-ის გამომცემლობამ დაბეჭდა მისი ახალი წიგნი ,,IV-X საუკუნეების ქართული ლიტერატურა”. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია როგორც ავტორის სამეცნიერო მოღვაწეობის, ისე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ფილოლოგიური მეცნიერების ისტორიას ამშვენებს მისი ცნობილი მონოგრაფია, შესანიშნავი წიგნი ,,ქართული ჰიმნოგრაფია ტრადიცია და პოეტიკა”, რომელშიც გამოკვლეული და გაანალიზებულია ქრისტიანული ეპოქის საეკლესიო საგალობლები. ამ ფუნდამენტური ნაშრომით ავტორმა განაგრძო და განავითარა სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის მეცნიერული კვლევის კორნელი კეკელიძისა და პავლე ინგოროყვას ტრადიციები. გამოიკვლია X-XVIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება-დღემდე შემონახული საგალობლები. შეისწავლა ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლები ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, მუსიკალური და პოეტიკური თვალთახედვით. გამოიკვლია ჰიმნოგრაფიის პალესტინური და სინური, ტაო-კლარჯეთის, ათონის სკოლები და იქ შექმნილი ჰიმნოგრაფიული შედევრები და ის დიდი ჰიმნოგრაფები, რომლებიც ამ ქრისტიანულ კერებს ქმნიდნენ და თავიანთი შემოქმედებით ავითარებდნენ და ამდიდრებდნენ ქართულ ჰიმნოგრაფიას.

ნესტან სულავამ ჩამოაყალიბა ჰიმნოგრაფიის ცნებისა და მნიშვნელობის სრულყოფილი, ორიგინალური და საერთო ქრისტიანული სამყაროსათვის გასათვალისწინებელი განმარტება. მკვლევრის აზრით, ჰიმნოგრაფია ორთოდოქსული თეოლოგიის პოეტური გამოხატულებაა, რომელიც რელიგიურ განწყობილებას, ემოციას მუსიკის თანხლებით გადმოგვცემს. ლიტერატურულ დანიშნულებასთან ერთად იგი გალობით შესრულებული თეოლოგიური, მხატვრული, საღვთისმეტყველო, მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც ათავისუფლებს მსმენელს ამქვეყნიური ვნებებისა და განცდებისაგან, მისი მახასიათებელია სრულქმნილებისაკენ სწრაფვით შინაგანი ამაღლება, სულიერი სისავსე და იდუმალება, რა თქმა უნდა, ჰიმნოგრაფიის ასეთი ამომწურავი დახასიათება არსებითია ყოველი ქრისტიანული ქვეყნის ჰიმნოგრაფიისათვის. ასევე, ზოგადად, საქრისტიანოსათვის რელიგიურადაც და ლიტერატურულადაც მნიშვნელოვანია ნესტან სულავას მიერ გამოკვლეული ცალკეული ჰიმნოგრაფები და მათი შემოქმედება, რომლებიც მსოფლიო თეოლოგიურ კულტურას ამაღლებენ. ამ საკითხების შესწავლა და უცხოურ გამოცემებში დაბეჭდვა ქართული ქრისტიანული მიღწევების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

ქართული ჰიმნოგრაფია, ტრადიცია და პოეტიკა, რომლის შესწავლა მნიშვნელოვანია არამარტო ცხოვრების ქრისტიანული წესების და თავად ჰიმნოგრაფიული ხელოვნების ისტორიისათვის, არამედ შორეული ქართულ-ასურული და ქართულ-ბერძნული ურთიერთობის გასაგებლადაც.

ქართული ჰიმნოგრაფიის შექმნისა და განვითარების საკითხების კვლევისას წიგნის ავტორი მსჯელობს მის ქრისტიანულ საფუძვლებზე აღმოცენების შესახებ, რასაც მოწმობს ლოგიკური არგუმენტები და ფაქტები. ქრისტიანობა პალესტინიდან შემოდის საქართველოში. ეს ისტორიული ფაქტია, თუნდაც ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა საქართველოში და ქრისტეს სჯულის გავრცელება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უკავშირდება იერუსალიმ-პალესტინის სივრცეს, სადაც ქრისტეს სხვა მოციქულებიც ერთმანეთთან კონტაქტს ამ მხარეში ამყარებდნენ. ძნელია გავარკვიოთ, როგორი იყო ჩვენი წარმართული რელიგია? როგორ სრულდებოდა რელიგიური რიტუალები? ჰქონდათ თუ არა საგალობლები? იყო თუ არა ზოგადად ჰიმნოგრაფია? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ გვაქვს, არ გვაქვს წყაროები, ცნობები ამის შესახებ, ამდენად, მისი შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს ფაქტი არ ჩანს არც მატიანეში და არც ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ამდენად, რეალური და მართებულია, რომ ნესტან სულავა იკვლევს ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიას. ობიექტურად აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ ქართული მწერლობის ყველაზე ადრეული პერიოდის შესასწავლად მდიდარ მასალას გვაწვდიან პალესტინური წარმომავლობის ქართული ხელნაწერები, რომელშიც შემონახულია *საბაწმიდისა* და *სინაწმიდის* სკრიპტორიუმებში. მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია არა მხოლოდ ქართული, არამედ ბიზანტიური საღვთისმეტყველო ლიტერატურის შესასწავლად და გასააზრებლად. ამ ფაქტის დასტურად მკვლევარს მოჰყავს უცხოელი მეცნიერ ქართველოლოგების ნააზრევთა ციტირებები, რომლებიც მოწმობენ სინური და პალესტინური კოლექციების მნიშვნელობას მეცნიერებისათვის. ჟერარ *გარითი* წერს: ,,ქართული ხელნაწერების სინურმა კოლექციამ შემოგვინახა ქართული მწერლობის უძველესი ტრადიციები, რომლებსაც ქართული მწერლობის სათავეებთან *მივყევართ*”.

წიგნში საგალობლების შექმნისა და დამკვიდრების ისტორიის განხილვისას ავტორი სხვადასხვა პერიოდებისა და სხვადასხვა სახის ჰიმნების ანალიზს იძლევა და ყურადღებას ამახვილებს ტროპარის ფორმაზე, რომელიც V საუკუნიდან იმკვიდრებს ადგილს პალესტინის მონასტრებში, სადაც ფსალმუნები და პოეტური მონოსტროფული ტროპარები ერთად *იგალობებოდა*, რაც აისახა ქართულ ენაზე შემონახულ უძველეს იადგარში.

ეს ორი უძველესი და უწმინდესი ჰიმნოგრაფიული სკოლა ქართული კულტურის, მწიგნობრობის კერები და დიდი ხუროთმოძღვრული ძეგლებია, რომლებიც გამოირჩევიან თავისი დიდებული რელიგიური და ისტორიული მნიშვნელობითა და სიწმინდით, რაც ღირსეულად აისახა *ნ*. სულავას წიგნში, რომელშიც საფუძვლიანად წარმოჩნდა მათი როლი საქრისტიანოს ჰიმნოგრაფიის ისტორიაში და, ამავე დროს, დაფიქსირდა სინას მთაზე უფლის გამოცხადება და ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის მოღვაწეობა, რაც ასევე წმინდა მონასტერს დიდებასა და ავტორიტეტს მატებს ყოველი ქართველისა და ქრისტიანის გულსა და ცნობიერებაში.

ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლა და ამ მხარეში ქრისტიანობის აღორძინება და განმტკიცება განუხრელად უკავშირდება გრიგოლ ხანძთელის სახელს. ნესტან სულავა მსჯელობს წმინდა გრიგოლის ღვაწლის შესახებ და *საწელიწადო* იადგარის ავტორობასაც დამაჯერებლად ამტკიცებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”. რომელშიც ფიქსირდება გრიგოლის მიერ *საწელიწადო* იადგარის დაწერის ფაქტი. მერჩულის თხზულება უდავოდ პირველი და ყველაზე სანდო ისტორიული და ლიტერატურული წყაროა და მასში ასახული რაიმე ფაქტის იგნორირება და უარყოფა, მიუტევებელია. ეს იყო საბჭოური პრინციპი. იმ პერიოდში უარყოფდნენ, ბიბლიას, ,,ქართლის ცხოვრებას” და სხვა უძველეს წყაროებს. დღეს დემოკრატიულ სამყაროში მსგავსი პოლიტიკური შეზღუდვები არ არის. ამ წიგნშიც მერჩულის ცნობების ისტორიული, ლიტერატურული, რეალური და ობიექტური შეფასება გვაქვს . მკვლევარი აანალიზებს ლეგენდარული ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის ღვაწლსა და მის მიერ შექმნილ და შეკრებილ საგალობლებს. ნათლად ჩანს, რომ ის დიდი პოეტური ნიჭითაა დაჯილდოებული და ანდერძსაც კი პოეტურად წერს: ,,შეწევნითა დიდად *საიხიერისა ღმრთისაითა* მე, *გლახამან* და ფრიად *უდებებით ცხოვრებელმან*, ღელვათა სოფლისათა *დანთქმელმან* და სიმძიმითა ბრალთა *სიმრავლისაითა დალონებულმან*, მიქაელ *მოდრეკილმან ვიღუაწე* და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა *შრომაი ვაჩუენე* და *შედრიბენ* საგალობელნი ესე წმინდისა *აღდგომისანი*, რომელნი *ვპოვენ* ენითა *ქართველითაითა მეხურნი*: ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისამებრ *საეკლესიოისა*: უფალო ღაღადვყავით, *ოხითა*, *მოიხილითა* და *აქებდითაით*”. ამ ანდერძში ნათლად ჩანს ავტორის თავმდაბლობა, რასაც მისი ზედწოდება „მოდრეკილიც“ მიგვანიშნებს.

ამ ციტატაში რომელიც ნესტან სულავას მოჰყავს წიგნში, ბევრი თანამედროვე პოეტიკური ნიშანი გვხვდება: ბგერათა ალიტერაცია, *რითმულობა*, მეტაფორული ფრაზები და შედარებები. ანდერძს რომ ასე მხატვრულად წერს მიქაელ მოდრეკილი, ცხადია საგალობლებს უფრო პოეტურად დაწერდა. ამიტომაც მკვლევარი მის შემოქმედებას ორი მიმართულებით აფასებს – ჰიმნოგრაფიული და ჰიმნოლოგიური. ერთი მიმართულებაც იკმარებოდა, რომ მიქაელ მოდრეკილი უდიდესი საეკლესიო და ლიტერატურულ მოღვაწედ მიგვეჩნია, მით უმეტეს, მკვლევარი მას მუსიკოსადაც მიიჩნევს – ,,მიქაელ მოდრეკილი და მისი უახლოესი წინამორბედნი თუ თანამედროვე ჰიმნოგრაფები – სტეფანე *სანანოის* ძე -ჭყონდიდელი, იოანე *მინჩხი*, იოანე მტბევარი და სხვანი, ერთდროულად პოეტი შემოქმედნიც იყვნენ და მუსიკოსებიც” (*ნ*.სულავა).

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი დონის საეკლესიო მოღვაწენი – პოეტები, მგალობელნი, მუსიკოსები, მთარგმნელები, გრიგოლ ხანძთელის თავდადებული, მაღალ-გონივრული და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგია. მან შექმნა პირობები რომ ეპოვათ თავიანთი თავი ნიჭიერ მესხებს, გამოევლინათ და განევითარებინათ უფლისაგან ბოძებული ტალანტი. ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლა კულტურისა და სასულიერო შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური კერა იყო. მისი ჰიმნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლაც ცხადად წარმოაჩენს იქ მოღვაწე ქართველ მამათა მხატვრულ ნიჭსა და სასულიერო ღვაწლს ქართულ მწერლობასა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში – იოანე ათონელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ბასილი მთაწმინდელი და უდიდესი სარდალი თორნიკე ერისთავი. აქ დაწერილი და შედგენილი წიგნებით იმ პერიოდის რამდენიმე ბიბლიოთეკაა შევსებული. იქ შედგენილი ,,*თთვენი*” და ,,პარაკლიტონი”, რომლებსაც იხილავს *ნ*.სულავა. დიდმნიშვნელოვანი კრებულებია, რომლებშიც შეტანილი რამდენიმე საგალობელი ბიზანტიურ და ევროპულ ეკლესიებშიცაა გავრცელებული. გარდა ამისა ის ძველი ქართული თხზულებები, რომლებსაც ჩვენ ვასწავლით სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში, ათონის საცავებშია შემონახული. ნესტან სულავა განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იკვლევს XVIII საუკუნის უდიდესი მეცნიერის, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, ანტონ კათალიკოსის ღვაწლს ქართული სულიერი კულტური-

სა და ქრისტიანულ-ეროვნული ისტორიის წინაშე. იგი ყველაზე მაღალი რანგის, სტატუსის მქონე მოღვაწეა – კათალიკოსი. მანამდე განხილული ჰიმნოგრაფები და სასულიერო პირები წინამძღვრის თანამდებობაზე მეტი არავინ ყოფილა. ანტონი, შეიძლება ითქვას, პირველია კათალიკოსთა შორის, რომელიც ლიტერატურულ, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას ქმნის და, ამავე დროს, იკვლევს ძველი ქართული მწერლობის პრობლემებს. ის სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო, იესე მეფის შვილი, ვახტანგ მეექვსის ძმის შვილი, ერეკლე მეორის დედის ბიძაშვილი. მაგრამ იესეს შვილი დიდი პატრიოტი, მეფისა და ტახტის ერთგული, ქართული მწერლობის, პოლიტიკისა და რელიგიის ყველაზე დიდი მოღვაწე გახდა. ჩვენს ისტორიაში ფიქსირდება ანტონის პოზიციაში მყოფი ბატონიშვილებისაგან ტახტზე პრეტენზიის წამოყენების ფაქტები. მან კი ქვეყნისა და მეფის სამსახურს შეალია მთელი თავისი ცხოვრება. საბჭოურ პერიოდში იგნორირებული იყო მისი ღვაწლი თავისი სამეფო წარმომავლობის გამო. მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერება, დიდი შემოქმედებითი შრომა, არ იკარგება და დღეს ანტონ კათალიკოსს თავისი კუთვნილი ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. მისი ავტორიტეტის ამაღლებას ნესტან სულავას წიგნი ,,ქართული ჰიმნოგრაფიაც" უწყობს ხელს. მან ერთი თავი უძღვნა ანტონ კათალიკოსის ნაშრომებს. საფუძვლიანად განიხილა ანტონის ,,წყობილსიტყვაობა", რომელსაც მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს. ,,ანტონ კათალიკოსი ძველი ქართული მწერლობის პირველი სისტემატიზატორია, ხოლო მისი ,,წყობილსიტყვაობა ქართული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველი სერიოზული და წარმატებული ცდა" (*ნ.*სულავა). მას მოჰყავს კორნელი კეკელიძის ციტატა ანტონ კათალიკოსის პიროვნებისა და მის ნაშრომების მნიშვნელობის წარმოსაჩენად. „როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონ კათალიკოსის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განცვიფრებაში მოვდივართ, როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც, ამასთანავე, პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული, ამდენ თხზულებათა თარგმნა და შეთხზვა„(*კ.* კეკელიძე).

ნესტან სულავა ყურადღებით იხილავს ,,წყობილსიტყვაობაში" შეფასებულ ჰიმნოგრაფებს – შიო მღვიმელს, ანტონ მნათის, ბასილი ბაგრატის ძეს, გიორგი მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს, იოანე *ტარიჭისძეს*, დავით აღმაშენებელს, დიმიტრი მეფეს, იოანე პეტრინს, თამარ მეფეს, იოანე შავთელს, პეტრე გელათელს, გრიგოლ ხუცეს მონაზონს და სხვებს, რომელთა შემოქმედების *ანტონისეული* ანალიზის ფიქსირებით ნათლად წარმოაჩენს ამ დიდი ქართველი სწავლულის ღვაწლსა და დამსახურებას ერის წინაშე. ნესტან

სულავას დიდი წვლილი მიუძღვის რუსთველოლოგიაში. ეს თითქმის მსოფლიოში აღიარებული დარგი განავითარა და ახალი ლიტერატურულ-მეცნიერული სახით წარმოადგინა. მან პოეტიკური პოზიციებიდან განიხილა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ,,ვეფხისტყაოსანი". ამ მიმართულებით ჩვენ წინამორბედ მეცნიერებს, მათ შორის რუსთველოლოგიის კორიფეებსაც, არ უკვლევიათ იმდენი, რაც მან გააკეთა. ისინი უფრო ისტორიულ-იდეური მხარეს იხილავდნენ, რადგან ქვეყნის იდეოლოგიიდან გამომდინარე ასეთი საკითხები იყო წინა პლანზე წამოწეული, მაგრამ ამ დიდებული ნაწარმოების მხატვრული და პოეტური ღირებულებები ჩრდილში, მკითხველის ყურადღების მიღმა რჩებოდა. გასული საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნეში ,,ვეფხისტყაოსნის" კვლევის უპირველეს მიმართულებად იქცა მისი ლიტმცოდნეობითი თეორიული მეთოდებით კვლევა, რაც დაგვირგვინდა ნესტანის შესანიშნავი წიგნით ,,ვეფხისტყაოსანი", მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია. ენიგმა", რომლითაც გამოიკვეთა არა მარტო პოემის მხატვრული დონე, არამედ ყოველი მხატვრული სიმბოლო. მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული სათანადო მაგალითებითა და პარალელებით, ფაქტებითა და არგუმენტებით.

ავტორს განხილული აქვს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პოეტიკური საკითხები, მათ შორის ,,შოთა რუსთაველის პოემის სათაურის გააზრების საღვთისმეტყველო-თეორიული საფუძვლები," ,,ვეფხვის მეტაფორის გენეზისისთვის", ,,,ვეფხვის ფერთამეტყველებისთვის", ,,ტარიელის *ვეფხისტყაოსნობა* – გამოქვაბულის და უდაბნოს მკვიდრობა," ,,*სამოსელის* სიმბოლიკისთვის", ,,*კრავის* სიმბოლიკა", ,,კიდობანი და ზღვა", ,,ნადირობის მხატვრული ფუნქცია", ,,ვეფხვის ხატ-სახე და მისი მხატვრული ფუნქცია", ,,ლომის მეტაფორა" და სხვა, რომლებიც ძირითადად პოემის მთელ სიუჟეტს მოიცავენ. ეს არის პოემა ,,*ვეფხისტყაოსანის*" ფართო მასშტაბებით მხატვრულ-თეორიული კვლევა, ავტორი აქ ჩანს, როგორც მკვლევარი, ისე დიდი პოეტური სულის მქონე ლიტერატორი.

წიგნი „ვეფხისტყაოსანი" – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა", წარმოადგენს ამ დიდებული პოემის პოეტიკური, ლიტმცოდნეობითი და თეორიული შესწავლისა და კვლევის ნიმუშს. ავტორი აანალიზებს თეორიული კატეგორიების მნიშვნელობას პოემაში და მჭიდროდ უკავშირებს მათ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებს. შოთა რუსთაველის თხზულებაში ერთ-ერთი უმთავრესი სახე – სიმბოლო ვეფხვია. იგი ფიქსირდება სათაურშიც და წამყვან როლს ასრულებს სიუჟეტის განვითარებასა და პერსონაჟთა ურთიერთობაში. ამიტომაც უთმობს მკვლევარი დიდ ადგილს ვეფხვის სიმბოლოს განხილვას, სხვადასხვა კონტექსტსა და განსხვავებულ ლიტერატურულ სპექტრში.

შესატყვისი სათაურის შერჩევა ნაწარმოებისთვის, საქმის ნახევარზე მეტიაო – ამბობენ.

პროფესორ ნათელა ბერიძესთან ერთად

ამდენად, მნიშვნელოვანი იყო მისი სემანტიკური, მხატვრულ-მეტაფორული გაანალიზება. ეს, ფაქტობრივად, გასაღებია იმისთვის, რომ სწორად გავიგოთ წიგნის შინაარსი, დაწერის მიზანი და პრობლემატიკის თავისებურება.

ვეფხისტყაოსანი, ფაქტობრივად, ვეფხვის ტყავში შემოსილი გმირია, რომელსაც ტანზე ვეფხვის ტყავისაგან შეკერილი მამაკაცის კაბა აცვია და „თავზე ვეფხის ტყავისა" ქუდი ეხურა. გარეგნობასა და ჩაცმულობაშიც ვლინდება მისი მეტაფორული სახე-სიმბოლო. XII საუკუნეა, ცივილიზაციის სათანადო დონე და ჩაცმულობის მაღალი ასორტიმენტია. ამ დროს სტავრა, ატლასი, აბრეშუმი, შალი, ბამბა და სხვა მასალისგან შეკერილი მოდა ფიგურირებს. ნადირის ტყავები მთაში მეცხვარეებს, მეთევზეებსა და მონადირეებს შეიძლება ეცვათ. ჩვენ კი ვიცით, რომ მას ნესტანის გამო აცვია ვეფხვის ტყავი, ეს ფაქტიც არის და არგუმენტიც, მკვლევარი ამ საკითხს შვიდ თავს უთმობს თავის წიგნში. ეს ლოგიკურიცაა, რადგან პოემის სიუჟეტური ღერძი სწორედ ტარიელზე, ნესტანსა და ვეფხვის მეტაფორულ და რეალურ სახეებზე დგას. მათ ირგვლივ ტრიალებს იგი და ამ მოძრაობაში მათთან კონტაქტში წარმოჩნდებიან სხვა პერსონაჟთა სახეები. ეს სამი სახე – ტარიელი, ნესტანი, ვეფხვი, მთავარი ეპიცენტრია პოემის შინაარსში. ავტორიც სწორედ იმ ეპიზოდებს იხილავს, რომლებშიც ნათლად ჩანს მათი მეტაფორული ფუნქცია. გარდა ამისა, განხილულია ვეფხვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მითოსსა და ზეპირსიტყვიერებაში, სადაც ჩანს, რომ ლომი, ვეფხვი და ჯიხვი, საკულტო ცხოველებია. ასევე ქართულ ცნობიერებაში ვეფხვი სიძლიერის, სისხარტისა და მშვენიერების განსახიერებაა. ვეფხვი, ნესტან სულავას აზრით, თავისი ძლიერების, მოქნილობის, გრაციოზულობისა და მომხიბვლელობის გამო, ერთი მხრივ, ქალური მშვენიერების, ხოლო მეორე მხრივ, სისასტიკის სიმბოლოდ წარმოიდგინება და მას მითოსურ-საკრალური ტრადიცია განაპირობებს. აქვე ფიქსირდება ის ფაქტიც, რომ ვეფხის ტყავით შემოსილი კაცი მისი რჩეულია. გარდა ამისა, იგი იხილავს ვეფხვის ზოოლოგიურ სახე-სხვაობებს და დაასკვნის, რომ ზოლებიანია ვეფხვი, ეს ზოლები ჭრელ ჰარმონიასა და მშვენიერების ესთეტიკას ქმნის. ამით განსხვავდება იგი ჯიქისგან, ლეოპარდისა და გეპარდისგან.

მკვლევარი ნესტან-დარეჯანის ხატ სახეებიდან გამოყოფს ვეფხვის ხატ-სახეს. იხილავს სათანადო ეპიზოდებს და დაასკვნის: „ვეფხვის სისასტიკე და მრისხანე თვისება, შემდეგში იცვლება მისი მშვენიერებით, *„პირგამეხებულობა"* – სათნოებით. მისი გათხოვების საკითხთან დაკავშირებული მოსაზრება ობიექტური, რეალური ვითარებით იყო გამოწვეული. ნესტანს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მოეცილებინა ხვარაზმშა ძე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეყვარებულები ერთმანეთს დაკარგავდნენ და ქვეყანა *ხორეზმელთა* ფაქტობრივ გამგებლობაში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ფარსადანის ქმედება ახსნილია იმ პერიოდის იერარქიული პრინციპით, მეფის ძემ მეფის ასული უნდა შეირთოს და მეფის ასული მეფის ძეს უნდა გაჰყვეს ცოლად. მაგრამ ტარიელიც მეფის ძეა და მასაც მეფურად ზრდიდნენ ფარსადანის კარზე. ასე რომ, ბოლოს დატრიალებული ტრაგედია, ნესტან სულავას სამართლიანი და ობიექტური აზრით, ფარსადანის არასწორი ქმედების შედეგია და არა ნესტან-ტარიელისა. მამის მიერ შექმნილი სიტუაციის შედეგი იყო ხვარაზმშას ძის სიკვდილი, რომ არ ჰქონოდა ნესტანს ვეფხვის მრისხანე და „პირგამეხებული" თვისებები, ისინი ვერაფერს შექმნიდნენ და ვერც სახელმწიფოს მმართველობას შეინარჩუნებდნენ. შესაძლოა სიცოცხლეც საფრთხეში ჩაეგდოთ

ხვარაზმშას ძის მოკვლა ნესტანს უნდა გადაეწყვიტა. ის იყო მოქმედი მეფის ასული, მის მომავალსა და მის სამშობლოს ეხებოდა საკითხი, ტარიელი კი მხოლოდ ამირბარია, მეფის ასული მასზე მაღლა დგას სტატუსით. ის მოვალეა, ნესტანის დავალება შეასრულოს. ამ აზრს ამყარებდა მათი სიყვარულიც. შეყვარებული ქალი რაინდს რომ მოუწოდებს მოკლას მოცილე, თუ მართლა გიყვარს, უნდა მოკლა, როგორ ცოდვადაც არ უნდა დაგეკისროს.

გამოქვაბული და უდაბნო რელიგიურად წმინდა ადგილებად ითვლებიან. ამდენად, ნესტან სულავას წიგნში ამ თემის ცალკე თავად გამოყოფა მართებული და აუცილებელი იყო. ავტორი თავის მეცნიერულ შეხედულებებს ავითარებს ამ გეოგრაფიული ადგილების შესახებ. გამოქვაბული და ვეფხვის ტყავის სამოსი ერთმანეთთან ახლო კონტექსტში განიხილება. მღვიმის მრავალმხრივი გააზრების შემდეგ ავტორი იხილავს მის ძირითად მხატვრულ ფუნქციას, რომელიც ამოდის მითური, რელიგიური, ისტორიული და *ანთროპოლიური* საწყისებიდან. ეს არის „სიცოცხლე, სიკვდილი, აღდგომა ". ამდენად, ნათლად ჩანს,რომ მხოლოდ ბოროტი ძალები არ უკავშირდებიან მღვიმეს, გამოქვაბულსა და სკნელს. ცნობილი ფაქტია, რომ გამოქვაბულში დაიბადა ზღაპრული გმირი ამირანია, ასევე ბეთლემში, გამოქვაბულში, ანუ მღვიმეში იშვა იესო ქრისტე, მღვიმეში ცხოვრობს ტარიელი. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითობა არ არის. ამ ფაქტების მიღმა დგას ისეთი მნიშვნელოვანი რელიგიური, მითოსური, ფილოსოფიური და ლიტერატურული საკითხები, რომლებიც გაანალიზებული და განხილული აქვს მკვლევარს თავის ნაშრომში. ამ პრობლემას იგი მთელი სიღრმე-სიგანით ასახავს. დაწყებული ანტიკური პერიოდის მითებიდან და ფილოსოფიური აზროვნებიდან „ვეფხისტყაოსნის" შოთა რუსთაველის მხატვრულ-მეტაფორული და ფილოსოფიური აზროვნების ჩათვლით. ამ პრობლემებზე მსჯელობისას თვალსაჩინო და გასაგები ხდება ტარიელის უდაბნოში ყოფნა და უდაბნოში არსებულ გამოქვაბულში ცხოვრების მხატვრული ფუნქცია. ამ მხრივ ავტორი „ჭაში ჩავარდნილი კაცის" იგავის საინტერესო და მნიშვნელოვან ანალიზს იძლევა, სადაც ირკვევა ჭის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც ახსნილია ტარიელის გამოქვაბულში ცხოვრების პარალელებით. ჭა - იგივე მღვიმეა, ხილული სამყაროს მიღმაა,ისე, როგორც მღვიმე-გამოქვაბული. ჭაში ჩავარდნა იგივეა,რაც მღვიმეში მოხვედრა. ორივე შემთხვევაში პერსონაჟს დამხმარე სჭირდება იქიდან მზის სინათლეზე გამოსაყვანად, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ავთანდილია ის, ვინც ტარიელს დაეხმარება ისინი დამეგობრდებიან და ერთმანეთს ეხმარებიან.

ასევე საყურადღებო მსჯელობაა ნაშრომში ტარიელის სამოსის შესახებ, ვეფხვის ტყავი მას უდაბნოსა და ქვაბულში ყოფნისა და გმირის სულიერი მდგომარეობის მაჩვენებელია. ამიტომაც არის,რომ სიმბოლური დანიშნულების კიდობანში სიმბოლური აღჭურვილობის ნახვის შემდეგ, როდესაც უკვე იცის ტარიელმა ნესტანის ადგილ-სამყოფელი, ვეფხის ტყავის სამოსის ნაცვლად საბრძოლო აღკაზმულობას იცვამს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ავთანდილმა იგი გამოიყვანა გამოქვაბულიდან და ქვეყნიურ ცხოვრებას დაუბრუნა ანუ ნესტანის დაკარგვამდე რაც იყო, ის ტარიელი აღდგა მის პიროვნებაში, რომლის წინაშე უკვე ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებს,.ის სუპერ გმირი და უძლეველი სარდალია და ნესტანთან შეყრის საკითხი გადაწყვეტილია. ნესტანმაც და ტარიელმაც მკაცრი სასჯელი მოიხადეს.ნესტანმა ტყვეობაში, ხოლო ტარიელმა უდაბნოს გამოქვაბულში ყოფნით და მათ დაიმსახურეს ერთად ყოფნისა და სამშობლოში დაბრუნების უფლება.

მნიშვნელოვანი მხატვრული ფუნქცია აქვს პოემაში ნადირობას, რომელიც არა გართობის მიზნით ეწყობოდა, არამედ მას ჰქონდა საყოფაცხოვრებო, საბრძოლო დანიშნულება. შეიძლება ითქვას,რომ ნადირობით იკვანძება „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი. ამ საკითხსაც მკვლევარი ბიბლიურ, ფოლკლორულ და მითური წყაროებიდან იხილავს და მეცნიერულად უკავშირებს მის ასახვას შოთა რუსთაველის თხზულებაში. ნადირობა არაბეთში მეფე როსტევანისა და ავთანდილის მონაწილეობით, ნადირობა ინდოეთში ხატაეთის ომის შემდეგ, ნადირობა მულღაზანზარში ფრიდონის წინამძღოლობით და სხვა, ნადირობა მეფეთა რიტუალური წესი იყო ძველ სამყაროში. ყოველ ნადირობას თავისი მიზანი და ტაქტიკა ჰქონდა. პოემაში ნადირობის შემდეგ ერთი სიუჟეტური მონაკვეთი მთავრდება და მერე იწყება მომდევნო ეპიზოდები.

არაბეთში ნადირობა, როგორც წერს ნესტან სულავა, უცხო მოყმის – ტარიელის, ახალი პერსონაჟის,ხოლო ფარსადანის ნადირობა ახალი პერსონაჟის ხვარაზმშას შვილის შემოყვანის მხატვრული ხერხია, ხოლო მანამდე ფარსადანისა და ტარიელის ნადირობა ნესტანისა და ტარიელის შეხვედრის საფუძველია.

ნესტან სულავას წიგნში „ვეფხისტყაოსანი" მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა," საფუძვლიანად და ღრმა მეცნიერულ დონეზეა გამოკვლეული პოემაში მოცემული თეორიული და მხატვრული კატეგორიები, რომელთა ანალიზი არის ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში რუსთაველის პოემის პოეტიკური შესწავლის მიმართულებით. ავტორს განხილული აქვს პოემის არსებითი მხატვრული თემატიკა და პრობლემატიკა, საფუძვლიანად შესწავლილი და გამოკვლეული აქვს დიდმნიშვნელოვანი, ძირეული საკითხები: შოთა რუსთაველის პოემის სათაურის გააზრების საღვთისმეტყველო-თეორიული საფუძვლები; ვეფხვის მეტაფორის გენეზისისთვის; ვეფხვის ფერთამეტყველებისათვის; ნესტან-დარეჯანი-ვეფხვი; ტარიელის *ვეფხისტყაოსნობა* – გამოქვაბულისა და უდაბნოს მკვიდრობა; სამოსლის სიმბოლიკისთვის; კარვის სიმბოლიკა; კიდობანი და ზღვა; ნადირობის მხატვრული ფუნქცია – ტარიელის გამოჩენა; მეფის ხატ.სახე და მისი მხატვრული ფუნქცია; ლომის მეტაფორა და პოემაში ასახული სხვა საკითხები, რაც სრულ სურათს იძლევა „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ღირებულებისა და პოეტის მაღალი ოსტატობის გასააზრებლად. წიგნი, ფაქტობრივად,მნიშვნელოვანი ფურცელია არა მარტო რუსთველოლოგიაში, არამედ ლიტერატურის თეორიის ისტორიაში. ნესტან სულავამ თავისი სამეცნიერო ნაშრომით – „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები," 2016 წელს გაიმარჯვა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" მიერ შოთა რუსთაველის 850-ე საიუბილეო წლის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ნომინაციით „რუსთველოლოგია."

ნესტან სულავა – ადამიანი, მეცნიერი, ლექტორი, ერთი მთლიანი პიროვნებაა. მისი სამეცნიერო ნაშრომების სტილი და მეთოდი აკადემიურია, ასევე აკადემიურია იგი ლექციებზე, სტუდენტებთან ურთიერთობაში. ჰუმანური, მაღალი პედაგოგიური ზნეობის, გულთბილი, პასუხისმგებლობით აღსავსე და შრომისმოყვარე. ძნელია ნესტანის ნაშრომებისა და პუბლიკაციების ჩამოთვლაც კი,.იმდენად მრავალი გამოკვლევა აქვს; მხოლოდ სათაურების დასახელებას ერთი ბროშურა არ ეყოფა. იგი ნაყოფიერი და ავტორიტეტული პროფესორია, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

◀ დასაწყისი გვ. 7

ფურცლოვანი ოქროს ფირფიტებისაგან შემდგარი ასაწყობ-დასაშლელი გვირგვინი. თაგვებმა ამ ფირფიტების სოროში ჩატანა ვერ შეძლეს, მათი სიმძიმის გამო. მიცვალებულის ფეხებთან იდო ოქროს დიდი ჭურჭელი, რომელიც სავსე იყო ოქროს სხვადასხვა ნაკეთობებით. მათგან აღსანიშნავია თხელი ფურცლოვანი ოქროსაგან გამოჭედილი ნახევარმთვარე, რომელზეც ჩამოკიდებული იყო ოქროს სამი ბურნუკი.

კისრის არეში იდო მასიური, 850 გრამიანი ოქროს ფაფარი, რომლის ღირებულება მხოლოდ მისი წონა იყო. არავითარი მხატვრული ღირებულება მას არ გააჩნდა. მის შიგნით მოთავსებული იყო ჩინური იეროგლიფებით აჭრელებული სარკე, რომელიც ასევე მისი სიმძიმის გამო თაგვებმა სოროში ვერ ჩაიტანეს. ხელის მტევნების და ფეხის ტერფების არეში იდო წყვილი 300 გრამიანი ოქროს სამაჯურები. როგორც ჩანს კუბო ისე იყო გადატენილი ოქროს ნივთებით, რომ თავისუფალი ადგილის უქონლობის გამო მიცვალებულის ფეხებთან იდო კერამიკულო სამი ჭურჭელი, სავსე სარიტუალო ნივთებით.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალები მეცნიერებს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევდა, რომ სამარხები ანტიკური პერიოდის იყო, მაგრამ მათ ეს უკვე არ აკმაყოფილებდათ. საჭირო იყო მონეტის პოვნა და ეს საშუალება მათ მოოთხი ათასზე მეტი ნივთების გასუფთავებას, ფიქსაციას და დაბინავებას. მესამე სამარხის ზღაპრული სიმდიდრე და მიცვალებულის თავზე ოქროს გვირგვინი აშკარად მიუთითებდა, რომ აქ დედოფალი იყო დაკრძალული. არქეოლოგებმა მალევე აღმოაჩინეს მეოთხე სამარხი, რომელშიც პირველი, რაც შეხვდათ, იყო ცხენის თავი და წინა ფეხების ძვლები. როგორც ცნობილია მომთაბარე ტომებს ჩვეულებად ჰქონიათ მიცვალებულისთვის საფლავში ჩაეყოლებინათ ერთი ან რამდენიმე ცხენი. გადაიწმინდა განსვენებულის თავზე მიწის ზედა ფენა და საფლავში გამოჩნდა ორმეტრიანი გიგანტური სხეული საბრძოლო აღჭურვილობით. იგი გახვეული იყო ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში. ქსოვილი დალპა და მხოლოდ ოქროს წვრილი ძაფები



უსახელო მეფეთა სამგზნეური

ეცათ. ერთის მაგიერ მათ ორი მონეტა იპოვეს. ეს იყო ოქროს რომაული მონეტა, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო რომის იმპერატორი *ტიბერიუსი*, ხოლო მეორე მხარეს სავარძელში მჯდომი ქალის ფიგურა, რომელსაც ერთ ხელში ტოტი ეჭირა, ხოლო მეორე ხელით ეყრდნობოდა მაღალ კვერთხს. მონეტაზე იყო წარწერა: „კეისარი *ტიბერიუსი*, ღვთაებრივი ავგუსტუსის შვილი, დიდი „პონტიფიკოსი“. ასეთი მონეტები მზადდებოდა რომის იმპერიაში, გალიაში, ქალაქ ლუგდუნუმში *ჩვ.*წ *აღ*–ით 16-21 წლებში. შორეულ ფრანგულ ქალაქ ლიონიდან მონეტამ გაიარა რამდენიმე ათასი კილომეტრი და მოხვდა ცივილიზებული სამყაროს განაპირა *ბაქტრიაში*.

მეორე ვერცხლის მონეტაზე გამოსახული იყო წვერიანი მონარქის სახე , რომელსაც თავზე დიადემა ეკრა. მონეტის მეორე მხარეს გამოსახული იყო მშვილდოსანი, რომელსაც გამოშვერილ ხელში მშვილდი ეკავა. მასზე იყო ბერძნული წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ იგი მოჭრილი იყო პართიაში მითრიდატეს მეფობის დროს, რომელიც მართავდა პართიის სახელმწიფოს *ჩვ.* წ. აღმდე 123-88 წლებში. ამრიგად ორი მონეტის აღმოჩენამ დაათარიღა სამარხები.

ეს იყო მშფოთვარე პერიოდი, როცა პართიის სახელმწიფო იწყებს აღმოსავლეთში დაპყრობით ომებს და ნაწილობრივ იპყრობს ბერძნულ-*ბაქტიულთ* სახელმწიფოს ნაწილს, თუმცა შემდეგ უკან იხევს. მხოლოდ მითრიდატეს დროს ხდება პართიის სახელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვრების დასტაბილურება.

ამის შემდეგ მეცნიერთა წინაშე იდგა ამოცანა, ვინ იყვნენ დამარხულნი ამ საფლავებში? მესამე სამარხიდან ამოღებულ რამდენიმე ათას ოქროს ნივთს შორის ობლად იყო ხმარებისაგან გაცვეთილი ოქროს პატარა ბეჭედი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, პატრონს ხელიდან არასოდეს არ მოუხსნია. ასეთივე ბეჭედი ამოღებულ იქნა პირველი სამარხიდან. ორივე ბეჭედი იდენტურია, პატარა ზომისაა, თანაბრად გაცვეთილია, ორივეზე გრიფირებულია ერთნაირი კომპოზიცია. ამ ვერსიას მხარს უჭერს კიდევ ის, რომ ორივე სამარხში არ იყო საბრძოლო ინვენტარი. ამრიგად, მეცნიერთა აზრით ორივე სამარხში – პირველში და მეორეში, ქალია დაკრძალული. თვე-ნახევარი მოუნდნენ არქეოლოგები აძლევდათ მეცნიერებს წარმოდგენას მის ჩაცმულობაზე. ოქროს არცერთი ძაფი არ იყო გაწყვეტილი. წინა სამარხებში აღმოჩენილი გვირგვინების ნაცვლად მიცვალებულს თავის ქვეშ ამოდებული ჰქონდა 638 გრამიანი ოქროს თასი, რომელიც თავისი ღირებულებით ყველა გვირგვინზე უფრო ძვირფასი იყო. საუკეთესო ბერძნული ტრადიციებით გაკეთებულ ამ ნივთზე იყო ბერძნული წარწერა „*სტამა*.“ იგი დაფარული იყო სხვადასხვა კომპოზიციების ორნამენტებით. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ კომპოზიციების სტილი ძალიან ახლოს იყო ძველ რუსეთში სამარხებიდან ამოღებულ ოქროს ნივთებთან.

XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ციმბირში გაიმართა ნამდვილი „ოქროს ციებ-ცხელება.“ ძველი სამარხებიდან შემთხვევით აღმოჩენილმა ოქროს ნივთებმა გამოიწვია ციმბირის მდინარეების გასწვრივ მდებარე მაღლობებზე მდებარე სამარხების ყაჩაღური ძარცვა. ამ სამარხებიდან ამოღებული ნივთები გაჰქონდათ ევროპაში გასაყიდად, თუმცა ისინი ხშირად ხელში უვარდებოდათ მეკობრეებს. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ პეტრე I-ის შვილის დაბადების გამო ბედნიერ დედოფალს არ მიართვეს ამ გზით მოპოვებული ოქროს ნივთები.

პეტრე I-მა ჯერ სიტყვით, ხოლო 1718 წელს ბრძანებულებით დააწესა, რომ მოპოვებული ნივთების მფლობელები დაეჯილდოებინათ მაღალი საფასურის გადახდით, ხოლო ნივთები ჩაებარებინათ სახელმწიფო ხაზინისათვის. ბრძანებულებაში იყო სპეციალური პუნქტი, რომ შეედგინათ სამარხების ნახაზები და დეტალურად აეწერათ აღმოჩენილი ნივთები. ამ საიუველირო კოლექციას დაერქვა „პეტრეს კოლექცია“ ანუ „ციმბირული ოქრო“. და იგი დღეს პეტერბურგის ერმიტაჟის თაროებს ამშვენებენ.

მიცვალებულს ტანზე შემოხვეული ჰქონდა ოქროს სარტყელი, რომელიც მეცნიერთა აზრით *ბაქტრიული* საიუველირო ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს. იგი ოქროს ძაფებით მოქსოვილი იყო და ნამდვილ შედევრს წარმოადგენდა. მასზე დამაგრებული იყო მინიატიურული ლომი, რომელზეც იჯდა ქალღმერთი, რომელიც ერთი ხელით ეყრდნობოდა და ლომის კისერს, ხოლო მეორეში ეჭირა ტიპური ბერძნული ტიპის თასი. არქეოლოგებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს იყო ცხოველთა სამყაროს მბრძანებელი ქალღმერთი „*კიბელე*“. მიცვალებულს მაჯებზე გაკეთებული ჰქონდა ოქროს მასიური სამაჯურები, ხოლო ფეხებზე ასევე ოქროს მასიური წვივსაკრავები. მეცნიერთა აღფრთოვანება გამოიწვია კუბოში ჩატანებულმა ხანჯალმა, რომლის ოქროს ტარიც თავისი ორნამენტებით მათ შედევრად ჩათვალეს. მასზე პატარა დათვის გარდა გამოსახული იყო ფანტასტიკური ცხოველები და ფრთოსანი დრაკონები. საფლავის ძირში არქეოლოგებმა ნახეს ოქროს მონეტა, რომელიც მიცვალებულს მკერდზე ედო და შემდეგ იგი ქვევით ჩავარდა. მონეტა ერთ გვერდზე გამოსახული იყო შიშველი მამაკაცი, რომელიც აგორებდა ე.წ. ცხოვრების ბორბალს. მასზე იყო ძველი ინდური წარწერა: „როგორც უშიშარი ლომი.“ ეს მონეტა იმით იყო უნიკალური, რომ არცერთ კატალოგში ან ცნობარში არ იყო დაფიქსირებული. სპეციალისტებმა ჩათვალეს, რომ იგი ეკუთვნოდა ინდო-ბერძნულ ეპოქას და ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს.

ტილია-ტეფეს მეხუთე სამარხი მაშინ აღმოჩნდა, როცა ჯერ კიდევ იწმინდებოდა მესამე და მეოთხე სამარხები. მიცვალებული აქაც გახვეული იყო სარიტუალო ქსოვილში, მაგრამ მასზე ოდესღაც დამაგრებული იყო მხოლოდ ვერცხლის გულსაბნევები. პირველი ოქროს ნაკეთობა გამოჩნდა მაშინ, როცა დაიწყეს თავის მიწისაგან გაწმენდა. ეს იყო ყბის ასაკრავი ოქროს ლენტი. კისერზე მიცვალებულს ჰქონდა მასიური ოქროს ძვირფასი ყელსაბამი, რომელიც მიუთითებდა მის სამეფო გვარის კუთვნილებაზე. ანთროპოლოგიური ცდებით დადგინდა, რომ ის იყო დაახლოებით 20 წლის ქალი. მის სქესს ისიც ადასტურებდა, რომ საფლავში იპოვეს ძვირფასი საყურეები, ქალის კოსმეტიკური საშუალებები და იქ არ იყო საბრძოლო იარაღები. როდესაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეექვსე სამარხი, ისინი ფიქრობდნენ, რომ ისიც ისეთივე ღარიბი იქნებოდა, როგორც წინა და მასში მდიდრულ სარიტუალო ნივთებს ვერ იპოვიდნენ. მაგრამ ისინი მაშინვე დარწმუნდნენ, რომ ცდებოდნენ. მეექვსე სამარხი აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდრული სხვა სამარხებთან შედარებით. მიცვალებული კუბოში იწვა ზურგზე თავით დასავლეთის მიმართულებით. იგი გახვეული იყო ძვირფას ოქრომკერდით ნაქსოვ ნაჭერში, რომელზეც დამაგრებული იყო ოქროს ასეულობით გულსაბნევით. თავს უმშვენებდა ასევე ოქროს ასაწყობი გვირგვინი. სახეზე შემოვლებული ჰქონდა ოქროს ბუნიკები ერთნაირი გამოსახულებით. ბუნიკებზე ჩამოსხმული იყო ფეხზე მდგომი ქალის ფიგურა. მას ჰქონდა მრგვალი სახე, სწორი ცხვირი და თვალების ვიწრო ჭრილით თავზე ეკეთა მასიური ოქროს დიადემა. ქალის ფიგურის ორივე მხარეს გამოსახული იყო ფანტასტიკური ცხოველები. არქეოლოგები აღნიშნავენ, რომ ქალის ფიგურა წააგავს აღმოსავლეთ ირანის ქალღმერთს *ანაჰიტას*, რომელიც წარმოადგენს წყლის და მოსავლის ქალღმერთს. მასზე ჩამოსხმულია მოღიმარი *ეროტის* ფიგურა და შუბლზე ოქროს ნახევარ მთვარე.

მიცვალებულის ნიკაპი აკრული იყო ოქროს ლენტით, კისერზე ეკეთა მასიური ოქროს ყელსაბამი. იგი გამოხვეული იყო ოქრომკერდით ნაქსოვ ქსოვილში, რომელზეც დამაგრებული იყო თავის დროზე ოქროს ასეულობით სამაჯური. მარჯვენა ხელში ეკავა ეკავა ძალიან თხელი ოქროს ფურცლისაგან დამზადებული კვერთხი. კუბოს გვერდით მიმობნეული იყო ოქროს უამრავი სარიტუალო ნივთები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოქროს ბუდეში ჩასმული ჩინური სარკე.

ანთროპოლოგების დასკვნით იქ ესვენა დაახლოებით 30 წლამდე ასაკის ქალი, რომელიც განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უეჭველი იყო. ოქროს გვირგვინის და კვერთხის არსებობა მიუთითებდა, რომ ის იყო დედოფალი, ხოლო იმ დროს დედოფლები ჰყავდათ მომთაბარე ტომებს.

ყელთან მიცვალებულს ელაგა ვერცხლის რომაული მონეტები., ხოლო მეორე მხარეს ამოტვიფრული იყო ტახტზე მჯდომი მეისრე, მონეტაზე იყო ბერძნული წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ იგი ეკუთვნოდა პართიის მეფე *ფრაატ* IV-ს, რომელიც მართავდა სახელმწიფოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 38-2 წლებში.

დედოფალს მარცხენა ხელში ჩაბღუჯული ჰქონდა კიდევ ერთი ოქროს მონეტა ბერძნული წარწერით. აქაც მოხსენებული იყო პართიის მეფე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ *ბაქტრიის* სახელმწიფო გარკვეულ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო პართიის სახელმწიფოსი. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი ოქროს მონეტები სავაჭრო ბრუნვაში არ იყო. იგი, როგორც მონეტა-მედალიონი ამშვენებდა დედოფალს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მაღალ სტატუსზე. არქეოლოგიური სამუშაოები მთავრდებოდა, როცა მუშებმა აღმოაჩინეს მეშვიდე სამარხი, მაგრამ ექსპედიციის გასავათებულ წევრებს უკვე აღარაფერი შეეძლოთ. სამუშაოები საბოლოოდ დამთავრდა და მთელი ექსპონატები ჩაბარებული იქნა ქაბულის სახელმწიფო ბანკში.

მთლიანად ექვსი სამარხიდან ამოღებული იქნა 20 ათასზე მეტი ოქროს ნივთი. არაფერი ამის მსგავსი აზიის ამ რეგიონში მსოფლიო არქეოლოგიის პრაქტიკაში არ ყოფილა. მეცნიერები სვამდნენ კითხვას, თუ სად იყო ამ მეფეთა რეზიდენცია? ისინი ვარაუდობენ, რომ *ტილი-ტეფეს* მახლობლად არის ქალაქი *ემში*, რომელიც იყო ერთ დროს ამ რეგიონის დედაქალაქი. იქ იყო ადგილობრივი მმართველის რეზიდენცია, რომელიც მდებარეობდა აგურის პლატფორმის ციტადელზე. ამ ციტადელიდან კარგად ჩანს *ტილი-ტეფეს* მაღლობი. ფაქტია, რომ მიცვალებულთა დაკრძალვა ხდებოდა საიდუმლოდ, ღამის საათებში ისეთი სისწრაფით, რომ საფლავები იჭრებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. საფლავის კედლები უბრალო თიხითაც კი არ იყო შელესილი, ამიტომ გადაურჩა იგი მძარცველებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არსებობდა კიდევ ერთი ბუტაფორიული სასაფლაო, სადაც იმართებოდა ყალბი დაკრძალვის პროცესიები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციტადელიდან მმართველებს შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ *ტილი-ტეფეს* მაღლობზე ნამდვილი სამარხებისათვის.

ტილი-ტეფეს გათხრების მასალები ცხადყოფენ, რომ *ბაქტრიის* სახელმწიფოზე დიდი გავლენა ჰქონდა ჩინეთს და ინდოეთს (ჩინური სარკეები, ინდური სპილოს ძვლის ნაკეთობები) ჭეშმარიტებაა, რომ ამ მასალებმა უნიკალური როლი შეასრულეს მსოფლიო არქეოლოგიის ისტორიაში.

70 წელი შეუსრულდა შესანიშნავ ბორჯომელ პოეტს იზო სარქისიანს. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება გაზეთ „ბორჯომისა“ და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და მკითხველებში დიდ ინტერეს იწვევს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია და სამცხე-ჯავახეთის მწერალთა კავშირის რეგიონული ორგანიზაცია სულითა და გულით ულოცავს საიუბილეო თარიღს ქალბატონ იზოს და უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

აქვე გთავაზობთ მის რამდენიმე ახალ ლექსს.

იზო სარქისიანი

დასაწყისი და ბოლო

ცხოვრებას ერთნაირი აქვს
დასაწყისი და ბოლო,
გასავლელი და გავლილი
დიდ ზღაპარსა ჰგავს მხოლოდ.
შვილი რომ დაიბადება,
დედა ღვრის ალალ ცრემლებს,
მამა დაასხამს ღვინოს და
დალოცავს სახლის კედლებს.
ბებია სანთელს აანთებს,
ღმერთს შეავედრებს სათქმელს,
ყველა ერთ მუშტად შეკრული
ჩვილს შეურჩევენ სახელს.
ცხოვრება მიჰქრის რაშივით, –
თავის ნაკვალევს აჩნევს,
ბედი ჩარხივით ტრიალებს,
რჩეულს არავის არჩევს.
მოტრიალდება ღრიალით
პირდაღებული ლომი,
თვალის ხამხამს ვერ მოასწრებ,
წაგებულია ომი.
იქ დავბრუნდებით რა გზითაც
გამოვიკვლიეთ გზები,
სულ უგზო-უკვლოდ გაქრება
წარსულის მძიმე წლები.
მიგვაცილებენ მეგზურნი, –
ცრემლი, სანთელი, ღვინო,
და ერთადერთი სახელი
აქ უნდა დაირჩინო.
მინა კვლავ მიწად იქცევა, –
თავის ნაშიერს ვერ თმობს,
ცრემლი, ღვინო და სანთელი,
არვინ წაბილწოს, ღმერთო.

მეგობარი?!

სიტყვა „მეგობარს“ ხმარობენ,
აზრი კი არ იციანო,
პირში ერთმანეთს აქებენ,
ზურგს უკან დასცინიანო.
ერთმანეთს ხშირად ქიშპობენ
და არც კი განიცდიანო,
ყველა ხერხს, ღონეს ხმარობენ,
თმენას არ დაიცდიანო.
შენს სასარგებლოდ სიტყვის თქმას
განძივით გამადლიანო,
რეპლიკებს ისრად გესვრიან,
იერიშს გადმოდიანო.
მაშინ სჭირდებით თუ თქვენგან
სარგებელს მოელიანო,
ქცევით ამაყნი, მკვახენი,
ქონივით დადნებიანო.
მეგობარს დიდი ძალა აქვს
თუ დაგიდგება გვერდშიო,
თუ მართლა ადამიანის
გული უფეთქავს მკერდშიო.
მეგობარს ბევრს ვერ უწოდებ,
გულის გადაშლა ძნელია,
სახეში ენამზიანებს,
ფიქრი აწვალებთ ბნელია.
ისეთ მეგობარს შეჰყროდეთ,
მსურველს სიკეთის მქნელისა,
რომ ერთგულება შეგეძლოთ
„რწყილის და ჭიანჭველისა.“

ნუ მიწყენ, გვირილავ!..

მახსოვს,
ბავშვობაში მინდორში დავრბოდით,
ყიჟინით და ლხენით
ვკრეფავდით გვირილებს,
მის ნაზი ფურცლებით
საბედოს ვეძებდით,
ერთმანეთს ვუძღვნიდით
ალალ, წრფელ ღიმილებს.
ფურცლებს ვაწყვეტდით და
ხმამაღლა ვიძახდით,
– „ვუყვარვარვარ!“ „არ ვუყვარვარ!„–
გვირილავ, მითხარი და,
როცა ღეროზე „ვუყვარვარ“
გვრჩებოდა,
ლაღი და უზომოდ ამაყი ვიყავით.
მერე,
დიდობაში ვარდებმა მაცდუნა
და სადღაც გაფრინდნენ
წუთები ნეტარი,
ვარდის ფურცლები უღონოდ
ჩამოჭკნენ,
ხელთ შემრჩა ბასრი და
მჩხვლეტავი ეკალი.
ნუ მიწყენ გვირილავ,
თუ ვარდს ვამჯობინებ,
სურნელი მძაფრი აქვს და
თანაც საამო,
სურვილი აღარ მაქვს,
ფურცლები გაწიწკნო,
ჩუმად მომპარვია
ცხოვრების საღამო.
ისევე მივყვები ციცაბო ბილიკებს,
აღარ მსურს კვლავ ბედის
სიმებთან შეხება,
უაზროდ დამჭკნარი
ყვავილი მწყინს,
თორემ,
რა უნდა დამაკლოს ჩხვლეტია
ეკლებმა?!

წარსულის ფურცლები

ბორჯომის ხეობის გლეხების საქმე

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ბორჯომის ხეობაში მცხოვრებელ გლეხობას უარი უთხრა საგლეხო საკრებულომ, თქვენ ხიზნები-კი არა, იჯარადრები ხართო.

დაწვრილებითი გარემოება ამ საქმისა ასეთია. 1872 წელს ბორჯომის ხეობა ებოძა ჩვენში ნამესტნიკად ყოფილს დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს. კავკასიის კომიტეტის განჩინებაში, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა, ნათქვამია, რომ ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებული 84 კომლი ჩაირიცხონ ხაზინაში და მიეცეთ ნედელი, როგორც სახაზინო გლეხებს. ამ დროიდგან ამ გლეხებს განაგებს ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულის გამგეობა და ბორჯომის მამულის გამგეობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

ამ 84 კომლის გარდა ბორჯომის ხეობაში სცხოვრობდენ 166 კომლი, რომელნიც დროებით იყვნენ მოსულნი ტყის სამუშაოდ. ამის შესახებ იმავე უმაღლესად დამტკიცებულ განჩინებაში ნათქვამია, რომ დროებით მოსულთ არავითარი უფლება არა აქვთ, ითხოვონ სახნავ-სათესი და თუ მოისურვებენ ისარგებლონ მამულით, უნდა პირობით შეეკრან ხოლმე ბორჯომის მამულის გამგეობას.

პირველში დროებით მოსულნი სიტყვიერ პირობებს უდებენ მამულის გამგეობას, შემდეგ კი წერილობით პირობებს აძლევენ ექვსექვსი წლით. ამასთანავე დროებით მოსულნი მკვიდრად მოეწყვნენ. გააშენეს რამდენიმე სოფელი, ააგეს ეკლესიები. ააშენეს ქვითკირის სახლები და ფიქრადაც აღარ მოსდით, რომ როგორც იჯარადრებს შეუძლიან უთხრან, წადით, ახლა სხვა უნდა დავაყენოთ, ან ისეთი ხელშეკრულობა მოგვეცით, როგორიც



ბორჯომის ხეობა
XIXს. 90-იანი წლები

ჩვენ გვინდაო.

ასეც მოხდა. 1889 წელს გავიდა ვადა უკანასკნელის ხელშეკრულობისა. ბორჯომის ხეობის გამგებელმა ბ-ნმა მარკგრაფმა გადასახადს მოუმატა და ამის მიხედვით ახალი ხელშეკრულობანი უნდა დაიდვასო. გლეხებმა იტკიცეს, მამა-პაპას აქ უცხოვრია, მკვიდრად დავბინავდით, რაც გვიძლევია, დღესაც გადვიხდით. ჩვენთვის აუტანელ პირობებს ხელს არ მოვაწეროთო და უარი სთქვეს. ამის შემდეგ რამდენიმე არზა მიართვეს როგორც მთავარ-მართებელს, აგრედვე გუბერნატორს, დახმარება და მფარველობა გაგვიწიეთო. ასე აირ-დაირია საქმე და გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, როდესაც გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული 3 თიბათვეს 1891 წელს ხიზანთა დებულება. გლეხებმა ისარგებლეს ამ კანონით და უწოდეს თავიანთ თავს ხიზნები.

საქმე გაირჩა ჯერ მომრიგებელ შუა კაცთან, რომელმაც უარი უთხრა გლეხებს, თქვენ ხიზნები კი არა, იჯარადრები ხართ და თქვენი საქმე ექვემდებარება საგლეხო დაწესებულებას – კი არა, არამედ სასამართლო დაწესებულებას. ამ განაჩენზე გლეხებმა საჩივარი მიართვეს საგლეხო საკრებულოს, რომელიც თითქმის 3 დღეს მოუნდა მათის საჩივრის განხილვას და ბოლოს შემდეგ დიდის ბაასისა და სჯისა, დაადგინა ხმის უმეტესობით: უარი ეთქვას ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებულ 203 კომლ კაცს ხიზნობაზე, რადგან უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის კომიტეტის განჩინებაში ისინი მოხსენებულნი არიან, როგორც დროებით მოსულნი ტყის სამუშაოდ და აგრედვე იმ საფუძვლის მიხედვით, რომ 1888 წელს დიდის მთავრის მამულში დაწესდა მაიორატი. ამ გვარ მამულებში კი არავითარი შეზღუდვა მამულის მესაკუთრესი კანონით არ შეიძლება.

ხიზნობის მაძიებელნი ამბობდენ, რომ როცა ხიზანთა დებულება დამტკიცდა, ჩვენ წერილობით ხელშეკრულება არა გვქონდა მამულის გამგეობასთან. მაგ კანონის პირველი მუხლის ძალით ჩვენ ხიზნებად უნდა ვიქნეთ ცნობილნი.

სჯა-ბაასის დროს საგლეხო საკრებულოში გამოირკვა, რომ პირველი მუხლი ახალის კანონისა შეეხება მათ, ვინც წინადაც იყო ცნობილი და არა იმათ, ვინც მაგ კანონამდე იჯარადარი იყო. ამ აზრს არ ეთანხმებოდა უმცირესობა და ამტკიცებდა, რომ რადგან 3 თიბათვეს 1891 წელს მაგათ ხელწერილები არა ჰქონდათ, ხიზნებათ უნდა იყვნენ ცნობილნი.

საქმე, როგორც მოხსენებულ იყო, გადასწყდა ხმის უმეტესობით.

ხიზნობის მაძიებელნი უკმაყოფილონი დარჩნენ საგლეხო საკრებულოს გარდაწყვეტილებით და აპირობენ საჩივარი მიართვან უმართებულესს სენატს. სენატის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, დიდი და პრინციპიალური მნიშვნელობა ექმნება, რადგან განმარტებს, როგორ უნდა გვეყურებოდეს პირველი მუხლი.

„ივერია“, 1893 წელი, N258

მოწერილი ამბავი

ღაბა და სოფელი

ქობლიანი (ახალციხის მაზრა); ქობლიანს უძახიან ახალციხის მაზრის დასავლეთს ნაწილს. ქობლიანში ორი სოფლის საზოგადოებაა – ადიგვნისა და უდისა. მცხოვრებლები ადიგვნის საზოგადოებაში მთლად ქართველნი მაჰმადიანნი არიან, უდისაში-კი ნახევარი ქართველ-კათოლიკენი არიან, ნახევარი მაჰმადიანნი. ქობლიანში ორი სახალხო სასწავლებელია, სოფ. ადიგვენში ორ-კლასიანი და სოფ. უდეში ერთ-კლასიანი. ზოგიერთ სოფელში მეჩეთებთან სამრევლო სკოლებიც არის, სადაც მაჰმადიანთ ყმაწვილები თუთიყუშებივით თათრულსა და არაბულს კითხვას გარდა, არასფერს სწავლობენ. მთელს ქობლიანში შესანიშნავი სოფელი უდეა.

ამ სოფელს ძველად „დიდი მეიდანი“ ჰრქმევია, აქაურები ამბობენ, რომ უდე ქალაქი ყოფილაო. აქ არსებობს ერთი ციხე, ორი ეკკლესია, სადაც წირვა-ლოცვა სრულდება და ხუთიც ნასაყდრევი. აქა-იქ ნანგრევი ქვით-კირის შენობაც არის, ათასში ერთხელ ამ ნანგრევებში მცხოვრებლები პოულობენ თიხის ჭურებსა და ჯამებს. ხალხის გადმოცემით, ყიზილბაშებს აუოხრებიათ, შემდეგში ჯინუეზები (გენუელები) მოსულან და ვაჭრობა უწარმოებიათ. უდეში ორი წილი მეტი კათოლიკენი სცხოვრობენ (200 კომლამდე) და რამდენიმე კომლიც მაჰმადიანნი. ცხრა წელიწადია, რაც უდეში საერო სკოლა დაარსდა და დიდი სარგებლობაც მოუტანა ხალხს: უწინ, ვიდრე სკოლა დაარსდებოდა, 20 კაცს ძლივ სცოდნია ქართული წერა-კითხვა, ახლაკი თითქმის კომლზე ერთმა კაცმა მაინც იცის. მოსწავლეთა რიცხვი ამ სასწავლებელში თანდათან მატულობს. ამ ჟამად სასწავლებელში 76 შეგირდია, ეროვნებით მთლად ქართველთ ტომისანი არიან, სარწმუნოებით – კათოლიკენი, წოდებით 3 მოქალაქეა და 73 გლეხის შვილნი. სამწუხარო ისაა, რომ შეგირდები ცხრა თთვეს წაფლად (მეხრეთ) მიდიან, მარტის პირველიდამ გიორგობის დამლევამდე. ზოგი წაფლად სხვას უდგება 10-20 მანეთად. მაჰმადიანთ არ მოჰყავთ თავიანთი შვილები სკოლაში. ამის მიზეზი ფანატიკოსობაა. სულ ორმა მაჰმადიანმა, გვარად ლორთქიფანიძეებმა დაასრულეს სწავლა ამ სასწავლებელში. რომ ჰკითხო მაჰმადიანს, რატომ არა ჰგზავნი შვილს სკოლაშიო, გიპასუხებს: „ჯერ ჩემი შვილი პატარაა, მოლასთან კითხულობს, მერე ჩემთვის არის საჭიროო. ალბად სწავლა კარგია, კაცმა რამდენი ენაც იცოდეს, იმდენი უფრო კარგიაო. სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ხალხი ძლიერ ეტანება ქართულ წიგნების კითხვას, თუკი იშოვა სადმე წიგნი, სამწუხაროდ, აქეთკენ ძლიერ ნაკლებად მოიპოვება ქართული წიგნები.

ამ ოთხის თთვის წინად აუკრძალეს აქ კათოლიკეთ ეკკლესიებში ქართული გალობა წირვა-ლოცვის დროს. ამის გამო ხალხი ძლიერ სწუხს, რადგან სომხური ენა არ ესმით, ამის გამოც ეკკლესიებშიც მლოცავნი ნაკლებად დაიარებიან. ძნელია თუ ამისთანა ხალხს გრძნობა სარწმუნოებისა შეუსუსტდა. მისი ნუგეში და იმედი ხომ მარტო ღმერთი და ღვთის ვედრებაა!

ი. პაატაშვილი

„ივერია“, 1891 წელი, N266

ბავშვის მოვლისა და აღზრდის ტრადიციები სოფელ ხიზაბავრაში

***

ბავშვის დაბადებას ყველა სიხარულით ვხვდებოდით, ოჯახის ყველა წევრი ზრუნავდა მის ჯანმრთელობაზე. პირველ რიგში ბავშვი ავი თვალისაგან უნდა დაგვეცვა. ამიტომ, კარებზე ნალს დაამგრებდნენ მამაკაცები, ზღურბლთან კი რკინის ჯაჭვს დავტოვდით. აკვანში რკინის რაიმე ნივთს ჩავდებდით და ცოცხს მივაყუდებდით. მაჯაზე და სამოსზე თვალის მძივს გავუკეთებდით. ჩვილს შევაბამდით გულის ფორმის მსგავს რკინის ჩარჩოს, მასში სახლის მიწას ჩავყრიდით, ლურჯ ქსოვილში ჩავდებდით და ლურჯი ფერის პატარა ბალიშსაც (ფათენთა). ბალიშში ჩავყრიდით პურის და ქერის მარცვლებს, სანთელს, ნიშადურს და ბზას. ყველა ეს წმინდა ნაწილი იყო. შემდეგ მივუტანდით მღვდელს, ის აკურთხებდა და ბავშვს აკვანში, ლეიბის ქვეშ ამოუდებდით.

ოჯახის წევრები ვცდილობდით, გვიან ღამით, სახლში რომ შევიდოდით, ბავშვთან არ მივსულიყავით და არ გვენახა. სიბნელეს „გავლილი“ დაჰყვება და შეიძლება ბავშვის დაღუპვაც გამოეწვია. თავი რომ დაგვეზღვია, ღამით სახლში შემოსულ ადამიანს, წესისამებრ, ნატისუსალს დავუხრჩოლებდით ხოლმე. ბარის პირზე დავტოვებდით ქათმის ბუმბულს, ღორის ჯაგარს, ყველს და ცეცხლს წავუკიდებდით – დავახრჩოლებდით. ვინც გარედან შემოვიდოდა, კარებშივე დახრჩოლებულ ნატისუსალზე გადავატარებდით და ისე შემოვუშვებდით სახლში, გავლილი რომ არ შემოჰყოლოდა.

ბავშვს როცა „გავლილი გაუვლიდა“, მაშინვე შავ ქათამს დავკლავდით და სისხლით შუბლზე და ლოყებზე ჯვარს გავუკეთებდით. როცა ბავშვი თვალს აიღებდა პატარა კოვზზე ცოტა თაფლს დავტოვებდით, ცოტა ნიშადურს დავაყრიდით, დედის რძეს დავაწვეთებდით და ბავშვს ვასმევდით. თუ მივხვდებოდით თვალი ვისგან აიღო ბავშვმა, მისგან მალულად მისი ძველი ტანსაცმლის ნაგლეჯს ავიღებდით, დავწვავდით, ბავშვს ზემოდან შემოვატარებდით და ბავშვიც მოიხედავდა – თვალისაგან გათავისუფლდებოდა.

ბავშვი ჯანმრთელი რომ გაზრდილიყო, დაიბადებოდა თუ არა, ბებიაქალი მას მაშინვე მარილს შეაყრიდა ტანზე გასამაგრებლად, მარილი ბავშვის კანს წინასწარ ამზადებდა, რომ გამონაყარი არ ჰქონოდა და დასველებისაგან სიდამწვრე არ მიეღო. გარდა ამისა, ახალდაბადებულ ბავშვს თაფლიან ან შაქრიან ერბოს შევაჭმევდით, რათა ბავშვის ორგანიზმს, რომელიმე საკვებზე, რომელსაც დედა მეძუძურობისას მიირთმევდა, ცუდი რეაქცია არ ჰქონოდა და ფაღარათი არ დამართნოდა. ასევე, ბავშვის ფაღარათისგან დასაცავად, დედა თბილი წყლით იბანდა მკერდს იქამდე, სანამ ბავშვს აჭმევდა. რძის დაწმენდის მიზნით დედა სვამდა ნავთსაც.

ბავშვს დაბადებიდან ორმოცი დღის განმავლობაში, სახეზე მანდილს გადავაფარებდით და არ ავხდიდით, რომ ცუდი ჰაერი არ ჩასვლოდა ფილტვებში და თვალები არ დაელმებოდა. როცა პატარას ჭიპი მოძვრებოდა, ის მიგვქონდა სკოლის ეზოში, ან წიგნში ვტოვებდით – კარგად რომ ესწავლა.

თუ შეხედავდნენ რომ ბავშვი გონიერი იყო, უფროსები მას ნაკლებად ასაქმებდნენ სახლის საქმეებში და ხელს უწყობდნენ, რომ სკოლაში ევლო და ესწავლა.

მთქმელი ქალა (ეკატერინე) ხუციშვილი, 65 წლის, ასპინძის რაიონის სოფელი ხიზაბავრა.

***

ოჯახში, როცა ერთ წლამდე ბავშვი გვყავდა, ყოველთვის ვცდილობდით თავიდან აგვეცილებინა ბავშვის „დაქელვა“ – დამბლა, დაკუტება, დაბრმავება, დამუნჯება. როცა სახლში შემოგვქონდა რაიმე ახალი ნივთი ან საკვები: ქსოვილი, ფული, ხორცი, თევზი ან სხვა რამე, ბავშვს ზემოდან შემოვატარებდით ან ნივთებზე ფეხით დავაყენებდით ხოლმე. ყურადღებით ვიყავით, როცა სოფელში მიცვალებულს კრძალავდნენ. მიცვალებულის დაკრძალვის დროს ბავშვს აკვანში არ ვაწვენდით. თუ ეძინა, მაშინ აკვნის თავს ქვაზე ვდგამდით.

ბადრ მთავრეს ბავშვს არ ვანახებდით, რომ არ დაექელა. ბავშვს სახეზე აბრეშუმის მანდილს ჩამოვაფარებდით და ანთებულ ფურნეში ორ-სამჯერ შევახედებდით ხოლმე. ბავშვებს ჩვილობაშივე ვანათლინებდით მღვდელს. მონათლულ ბავშვს გავლილი არ დახედავდა და არც ადვილად დაიქელებოდა.

ბავშვი, სანამ აკვანში ჩავაწვენდით, „ხოჭიჭი“ იყო; მერე სანამ ერთი წლის გახდებოდა – „ჩვილი“; მერე – „ყმარწვილს“ ვეძახდით. ცოტა რო წამოიზრდებოდა – „მორბედი“ იყო, მერე კი ვაჟკაცი და გასათხოვარი.

ადრე ბავშვები სახლშივე სწვლობდნენ ყველაფერს: შრომას, ზრდილობას, უფროს-უმცროსობას. როცა თავისუფლები იყვნენ, თამაშს არ ვუშლიდით. თამაშობდნენ: ვეკა-ვეკას, ყოჩი-თანხლას, ხელ-ბრუდიანას, ტანტრა-ჩილიკს, თავმოვლიანას, ლახტს, ლამლუხს. ყველა დღესაწაულზე პატარა ბიჭებიც და ვაჟკაცებიც ჭიდაობდნენ.

ბავშვებს ოჯახში ვაჩვევდით შრომას. პატარა ბიჭები მეხრეები იყვნენ ხვნა-თესვის დროს, ხბოსა და კრავში დადიოდნენ. გოგონები სახლში სწავლობდნენ მატყლის დართვას, დაჩეჩვას, ქსოვასა-და ქარგვას. ბევრი ჭრა-კერვასაც სწავლობდა. გოგონებს სახლის საქმეების გარდა პატარაობაშივე გვასწავლიდნენ ცხვარ-ძროხის მოვლას და მოწველას, ყველის ამოყვანას. რო წამოვიზრდებოდით, ქალს კარგი ხელსაქმე და კარგი მოქცევა უნდა სცოდნოდა. ქალი ფეხზე უნდა წამოსდგომოდა თავისზე უმცროს მამაკაცსაც კი. მისთვის პატივი უნდა ეცა. თავშიშველი და ფეხშიშველი ოჯახის წევრებსაც არ უნდა დანახვებოდა. ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი კარგი საქციელი არ იყო... მამაკაცები ქალისა და ბავშვების თანდასწრებით არ შეიგინებდნენ და უხამს სიტყვას არ იტყოდნენ – სირცხვილად ითვლებოდა. ვახშმობის დროს ჯერ უფროსი მამაკაცები ვახშმობდნენ და მერე ბავშვები და ქალები. „მამაო ჩვენოს“ თქმის გარეშე სუფრასთან პურს არავინ გატეხდა. კვირა დღეს დიდიან-პატარიანად ეკლესიაში მივდიოდით. დედები გვასწავლიდნენ სახლში ლოცვებს. ოჯახის უფროსს ყველა უჯერებდა და ემორჩილებოდა: დიდიც და პატარაც... ოჯახის უფროსი უნაწილებდა დილით ყველას იმ დღის საქმეს: ვინ უნდა წასულიყო ყანაში, ვინ წისქვილში, ვინ მწყემსად და ა.შ. ბავშვები ოჯახში, რასაც ვუყურებდით, იმას ვსწავლობდით, უფროსებს ვბაძავდით.

მთქმელი გარანა ყრუაშვილი, 70 წლის, ასპინძის რაიონის სოფელი ხიზაბავრა. ჩაიწერა ნატო ყრუაშვილმა 1990 წელს

მესხური დარბაზი

საქრფიალო სიმღერა

შენ სტვირი დაუკარ,
მე კი აგყვები,
გულში რომ დარდი მაქვს,
ეხლა მოვყვები:
ოშორას აქებენ ერთ
ლამაზ ქალსა,
გზასაც გადვუჭრი,
მოუკლავ ქმარსა,
ცრემლით აუვსებ
იმ ჟუჟუნ თვალსა.

მთქმელის თავგადასავალი

ჩვენ რო თათრებმა დაგვარბიეს, მე თათარმა წამიყვანა. მშობლები დამიღუპეს. წამიყვანა თავისთან სოფელ მუგარეთში. მოვწონდი და შინამოსამსახურედ დამიყენა. თოთხმეტი წლის ვიყავი მაშინ და ჩემი გათათრება მოინდომა. სულ ოთხი თვე ვიყავი მანდ. რო გავიგე გათათრება უნდაო, გაქცევა გადავწყვიტე. დრო-დროზე რომ მოვიდა, ნათლიაც დამიყენა. მაშინ ეშმაკურად ცხვარი დავკარგე. საძებნელად ქართველებისკენ ახლოს გამგზავნეს. ამით ვისარგებლე, შორსა ვარ-მეთქი და ტყეს შევაფარე თავი. ძალიან დიდხანს მშიერ-მწყურვალი დავდიოდი ტყე-ტყე. გზაც ამებნა, არ ვიცოდი სად მივდიოდი. გამეგონა იმერეთი და იქ მოხვედრა სამოთხეში მოხვედრად მიმაჩნდა.

იმერეთში მოვხვდი ისე, რომ მე თითონ არ ვიცოდი თუ სად მოვხვდი. კინაღამ თათრების მიგზავნილი ვეგონე. მერე დარწმუნდნენ ვინც ვიყავი და კარგად დამაპურეს და შემინახეს. გალა იყო ტეგსუიძე, იმან გადამარჩინა და მიშველა. ეგ იყო და ეგ, შვილო, თათრებს ძლივს გადაურჩი. ბევრი წვალება და შიმშილი გადავიტანე.

მთქმელი** გიორგი ეძვთიმეს ძე ზედგინიძე, **65 წლის, რაიონის სოფელი ძველი. ჩაიწერა** ნ.რევიშვილმა **1965 წელს. თსუ ფა4084

***

ეს რა საქმე მოახდინეს,
მთლად მირონი დააქციეს,
ჩახრუხაძის მზექალაი
არტანუჯში გააქციეს.

შაირები

ჩვენს ეზოში გადვიხედე,
კაცი ქსოვდა გუდურასა,
გოგოვ, ისე მოგედები,
როგორც ცეცხლი ფუტურასა.

***

ყველა ხე რომ გაიშლება
შენ რას უცდი მუხაო,
გოგოვ, ერთი მაკოცნინე,
უკულმართი ნუ ხარო.

***

გაღმა-გამოღმა ბაღები,
შიგ შესევიან ქალები,
ერთი შეხედვით შევატყობ,
რომელსაც შევებრალები.

მთქმელი ვახტანგ არჩილის ძე ზედგინიძე, 30 წლის, ახალციხის რაიონის სოფელი ძველი. ჩაიწერა ნ.რევიშვილმა 1965 წელს. თსუ ფა4086-4089

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com